645
1966/გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბერი
№ 9 1966 წ.

# საქართველოს ქალი



ეროვნული ბიბლიოთეკა



კუმურდო

ფოტო დ. იაკობაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა რუსთაველი 800 წლის იუბილე



15.653.

# საქართველოს ქალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

№ 9 სექტემბერი 1966 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთაობა

*წიგნი კი არა — ბაღი ხარ,*
*ოქროს ცვარჩამოწვეთილი;*
*გაშლილი ბაირაღი ხარ,*
*ლექსის ფრთაგაუცვეთელი!*

*გ. ლეონიძე*

ქართველი ხალხი მეორედ იხდის დიდი შოთა რუსთაველის იუბილეს, იხდის მთელ საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობასთან ერთად. ესაა ზეიმი ჩვენი კულტურის, აზროვნების, მოწინავე იდეებისა და კეთილშობილი გულისა, რაც ქართველ ხალხს საუკუნიდან საუკუნემდე დროშად უტარებია.

„ვეფხისტყაოსანი!“ — იგი სისხლია და ხორცი ჩვენი. ძუძუა და ძარღვი ჩვენი. სიბრძნით დადინჯებულმა და სიყვარულით გულანთებულმა დიდმა პოეტმა უბოძა ეს წიგნი მშობლიურ საქართველოს — ნესტანივით პირმშვენიერს, ტარიელივით გულოვანსა და ავთანდილივით მეგობრის გამტანს.

შოთა! — აბა, მოძებნეთ ქართველი, ვის ბაგესაც ნეტარებით არ დაცდენია ეს სათაყვანო სიტყვა! აბა, მოძებნეთ ქართველი, ვისაც ცრემლიანი თვალით არ შეუხედავს ახლახან მოპოვებული მისი სურათისათვის: ვაგლახ, რომ ამ სურათზე წელთა დაღი თეთრად დაჩენია მის თმა-წვერს. მაგრამ ეს კია, — უფრო განუსპეტაკებია მგოსანთა მგოსნის ღვთაებრივად ჩამოქნილი ნაკვთნი სახისა.

შოთა! დღეს შენი ობაა, შოთაობაა შენს ძვირფას მამულში, მოვსულვართ, შევკრებილვართ, შენი მინდვრის ყვავილები მოგვიტანია და ჩვენი წინაპრების ამონაკვნესს ვიმეორებთ: „სად არის შოთას საფლავი?“ მაგრამ ზეკაცებს საფლავი არა ჰქონიათ. შენ ყველგანა ხარ, წარსულის დიდებულ ნაშთებსა და აწმყოს ზეიმში. შენს მადლიერ მშობელ ხალხს გულში უზიხარ და ეამაყები: „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზე დაწერილია, — თქვა შენმა ერის კაცმა, დიდმა მამულიშვილმა ილია ჭავჭავაძემ. — დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი, ასე ერთიანად, ერთპირად შეჰხაროდა და შეჰხარის დღესაც, როგორც დიდ რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაჰკნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დავიწყებულსა“. — ამ უჭკნობ, არდავიწყებულ საუნჯეს სცემს თაყვანს ქართველი კაცი, თაყვანს სცემს ამ უდიდესი პოეტური კულტურის ნაწარმოებს, სადაც ესთეტიკურ ტკბობასთან ერთად, მუდამ პოულობდა თავისი გულის, ცხოვრებისა თუ ყოფის გამოძახილს, შიგ ეძიებდა შეჭირვების მალამოს, ბრძნულ რჩევას, ლხინში სათქმელ ფრთიან სიტყვას და ამაღლებულ სამიჯნურო-სატრფიალო ზაირს. შოთას გენიალურ აფორიზმს ცხოვრების ყოველ მომენტს მიუსადაგებდა ქართველი. ძუნწად და ბრძნულად ნათქვამი:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, —
არსება მისი გრძელია!“

იმედის შუქს აციალებდა საწუთროს უკუღმართობით გატანჯული კაცის გულში; მომხდურ მტერს ქართველი ხმალშემართული ხვდებოდა და დედის ძუძუდან შერგებულ სიბრძნეს ყიჟინებდა:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი
სახელოვანი!“

უკეთილშობილესი, კაცობრიობის სიყვარულით გამთბარი, მაღალი ჰუმანური თვისებებით აღსავსე პოემის გმირები ასულდგმულებდა, ავსებდა და ამდიდრებდა ქართველის გულს; მშვენიერებითა და პატიოსნებით საქვეყნოდ განთქმულმა ქართველმა ქალმა იცოდა, რომ იგი მამაკაცთან გაბედულად გაათანასწორა ბრძენმა პოეტმა, რომ იგიც ლომის ბოკვერია, საგმირო საქმეთათვის შობილი და აღზრდილი. მგოსანმა აკაკიმ, „ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობისას, განსაკუთრებულად აღნიშნა:“... იქ დედათ სქესს შეუძლია იპოვოს თავისი სიმართლე მით, რომ რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ გამოყვანილ ქალებს აძლევს არა თუ თანასწორ ღირსებებს და მნიშვნელობას მამაკაცებთან, თითქმის უმთავრეს მოქმედების მიზეზად ისინი გამოჰყავს. განა შეუძლია ქალს, რომ ეს ლექსი წაიკითხოს და გული მადლობით არ აევსოს:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ
მართ ღმრთისა დანაბადია...
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

და რუსთაველის ლექსით დაქალებული ძუ ლომი აკვნიდანვე უნერგავდა შვილს მამულის სიყვარულს, ჭირსა შიგან ქვიტკირივით გამაგრების უნარს, რაინდული მიჯნურობის კოდექსს; ასწავლიდა და აყვარებდა ვეფხის ტყავით მოსილი მოყმის ამბავს; „ვეფხისტყაოსნვე“ ატანდა მზითვად ასულს.

და რაღა გასაკვირია, რომ დიდი პოეტის ბრწყინვალე იდეებით ბავშვობიდანვე სულჩადგმული ქართველი მტერს მტრულად ხვდებოდა, მოყვარეს მოყვრულად, სწამდა რაინდული, ამაღლებულ-გაფაქიზებული მიჯნურობა, კეთილშობილება, და ყოველ სხვა მოსახვეჭელთა შორის სახელის მოხვეჭას ანიჭებდა უპირატესობას.

კიდევ მრავალ, უმრავლეს საუკუნეებს გადაწვდება სახელი „შოთა“, ვით სიმბოლო ძმობის, მეგობრობისა და ჭეშმარიტი პოეზიისა. „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების“, — თითქოს ამას გვესიტყვება ფრესკიდან ხელაპყრობილი რუსთაველი. და მისი ერი, რომელსაც უდიდესი ბედნიერება აქვს მინიჭებული: იმეტყველოს რუსთაველის ენით, ზარ-ზეიმით, ქართველურად, ხელგაშლილად იხმობს მეგობრებს, რადგან ამაზე უდიდესი ბედნიერება არ არსებობს ქვეყნად: გიყვარდეს მოყვასი, პატივი სცე უმაღლეს ადამიანურ გრძნობას — მეგობრობას. აკი დიდმა რუსთაველმა ასე დაგვიბარა:

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ
დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და
ხიდად.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველის მოსვლა

მარიკა ბარათაშვილი

ცადატოტვილი მწვანე ხელებით
ლიკანის ტყეში დგანან ფიჭვები.
ფიქრით ადგილზე არ ესვენებათ,
მტკვრის ორღობეში მიაბიჯებენ.

ცერზე შემდგარა ხეობა მთელი,
ვერავის ნახავთ მდუმარს და მოცლილს.
ამბობენ მოდის დიდი რუსთველი,
ლოცვად დამდგარი საქართველოსთვის.

— მობეზრებია, თურმე, შორეთი,
— მონატრებია კერა ქართული.
— დაგვბრუნებია ბრძენი პოეტი,
უფრო მაღალი და დადაფნული.

— როგორ გალია წელი რვაასი?
— როგორ გაუძლო წელთა გამოცდას?
— რომელ გზით მოვა, რომელ დარბაზში
გადაშლის ახლად „ვეფხისტყაოსანს?“

— უთუოდ ნახავს თავის ვარძიას!
— როგორ არ ნახავს თბილისს და მცხეთას,
სად დამალული გულის განძი აქვს
და ჰყავს მოწმენი გარდასულ დღეთა.

მოივლის სოფლებს, ქუჩებს, მოედნებს,
მარჯვენს შეუქებს ყველას, ლომგულებს,
შემდეგ ფეხს შესდგამს სამრეკლოებზე
და დაარისხებს ხალხის ორგულებს.

— თამარის საფლავს იცნობს გუმანით,
ეამბორება სამარის კალთას.
— რომელ გზით მოვა დიდი სტუმარი
სათაყვანებელ სამშობლოს კართან?

— უკვე მოსულა?
— სად არის?
— ყველგან, —
სად მაღალ აზრთა ძალა მმართველობს.
ვუსმენთ მის სიტყვებს ბრძნულსა და მედგარს—
სმენად ქცეული დგას საქართველო.



„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეულსა,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

მხატვარი მიხაი ზიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველი და მსოფლიო კულტურა

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე

რუსთაველის ადგილის შესახებ მსოფლიო კულტურაში არსებობს რამდენიმე წერილობითი საბუთი, რომელთაგან არც ერთი ქართული წარმოშობისა არ არის.

რუსი საბჭოთა მეცნიერები და მწერლები, უცხოელი მკვლევარნი და კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ: რუსთაველი განსაკუთრებული მოვლენაა მსოფლიო შემოქმედებასა და აზროვნებაშიო, და მას არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო თვალსაზრისით უდგებიან. ეს განუყრელობა ქართული კულტურისა და მსოფლიო კულტურის თვალსაზრისისა, რომელიც ახასიათებს მათ, ვინც დღეს რუსთაველზე ლაპარაკობს, ამართლებს საკითხიძ დასმას რუსთაველისა და მსოფლიო კულტურის შესახებ. ამრიგად, სასარგებლო და საჭიროა რამდენიმე ძეგლის განხილვა, რომლებიც შეიცავს მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით რუსთაველის შეფასებას, და საქმეში ჩავერიოთ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ფაქტიური ვითარების სისწორით გადმოცემა იქნება საჭირო.

დავიწყოთ ისეთი ძეგლის განხილვით, რომელიც არაა პირდაპირ დაკავშირებული რუსთაველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, განხილვასთან, მაგრამ ეხება რუსთაველის სამშობლოს — საქართველოს და ამდენად ამოსავალ მომენტად შეიძლება გამოდგეს.

გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ჰერმან ლეი თავის წიგნში — „ნარკვევები მატერიალიზმის ისტორიისა საშუალო საუკუნეებში" — წერს: „საზოგადოების განვითარების უკვე ადრინდელ საფეხურებზე სხვადასხვა ერები შედიან ერთმანეთთან კავშირში. ძველ ბერძენთა სულიერი ცხოვრება დამკვიდრდა იმ კულტურის ელემენტების შეთვისების შედეგად, რომელიც შეიქმნა ეგვიპტიდან საქართველომდე მდებარე ტერიტორიაზე" (ჰ. ლეის დასახ. ნაშრომის რუსული თარგმანი, გვ. 24).

ცხადია, აქ საქართველოზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევია და ის ნაწილი უნდა ვიგულოთ საქართველოსი, რომელსაც ბერძნები იცნობდნენ. აკი ერთ-ერთ კოლხურ თასზე სწორედ ბერძნულად აწერია: „კოლხოს მე ეპოიესა", — ე .ი. კოლხმა გამაკეთაო.

ჰ. ლეი დასძენს, არაბები ინდოეთის და ჩინეთის მემკვიდრეობითაც სარგებლობდნენო. ეს თანამიმდევრობა რენესანსის გადმოსაცემად დაცულია რუსთაველის მიერ:

„ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი"...

ამავე გზას გამოჰყვა საბჭოთა აკადემიკოსი კონრადი აღმოსავლეთის რენესანსის გზის დასადგენად. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიკოსი კონრადი, ჩალოიანის წიგნის — „სომხური რენესანსის" ბოლოსიტყვაობის შესავალში, წერს:

„აღმოსავლეთის რენესანსზე პირველად აღმოსავლეთის მეცნიერებს უნდა დაეწერათ. ამიტომ ბუნებრივია, რომ შ. ნუცუბიძემ დააყენა რუსთაველთან დაკავშირებით საკითხი აღმოსავლეთის რენესანსის შესახებ".

იმ გარემოებას, რომ ჩემს ნაშრომს სათაურად ჰქონდა „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი", აკადემიკოსმა კონრადმა ის ახსნა მოუნახა, რომ თითქოს ჩემს წიგნში, რომელიც 1947 წელს თბილისში გამოვიდა რუსულ ენაზე, აღნიშნული იყო, რენესანსის საკითხი რუსთაველის მიერ იყო მიგნებულიო. თვითონ აკადემიკოსი კონრადი კი ფიქრობს, მართალია, რენესანსი აღმოსავლეთიდან იწყება, მაგრამ ავტორის აზრით, უფრო ადრე — VIII საუკუნეში და არა საქართველოით, არამედ ჩინეთით უნდა იწყებოდესო. ამდენად ისმება საკითხი: თუ რენესანსის იდეა აღმოსავლეთში შეიქმნა და ის ჩინეთიდან მოდის შედარებით უფრო ადრე, მაშინ ეს პირდაპირ ეხება რუსთაველის ადგილს მსოფლიო კულტურის ისეთ მოძრაობაში, როგორიცაა რენესანსი.

საკითხის ასე დაყენება ჯერ არ მოუცია საბჭოთა აკადემიკოსს — კონრადს. რუსთაველზე ის იმდენად ჩერდება თავის ზემოთაღნიშნულ ბოლოსიტყვაობაში, რამდენადაც ჩემს მიერ აღმოსავლეთის რენესანსის საკითხთან რუსთაველის საკითხის დაკავშირებას ჰქონდა ადგილი. ამ საკითხზე ავტორი მეტად აღარ შეჩერებულა და მოსალოდნელია, რომ ის ამას შეეხება თავის იმ მოხსენებაში, რომელიც გათვალისწინებულია რუსთაველის საიუბილეო სხდომაზე. ამდენად ამ უკანასკნელზე დღესდღეობით მსჯელობა არ შეგვიძლია.

დღეს ჩვენი თემის („რუსთაველი და მსოფლიო კულტურა") გასამართლებლად საკმარისია ის, რომ აკად. კონრადი შეეხო საკითხს აღმოსავლეთის რენესანსთან რუსთაველის კავშირის შესახებ, რამდენადაც რენესანსის საკითხი მსოფლიო კულტურის ერთი ძირითადი საკითხთაგანია. ასე გაიგო რუსთაველის შემოქმედებისა და ნააზრევის მნიშვნელობა ყველამ, ვინც ასე თუ ისე მიხვდა, რომ რუსთაველის საქმე დაკავშირებულია იმ მსოფლგაგებასთან, რაც, როგორც ჰერმან ლეიმ აღნიშნა, ჩაისახა ანტიკურობაში, იმ მსოფლიო კულტურულ სფეროში, რომელიც ეგვიპტიდან საქართველომდე მკვიდრობდა.

ჰაიმ ვარდი — იერუსალიმში ამერიკული პრესის წარმომადგენელი, რენე ლიაკოტი — საფრანგეთში, ალექსეი ტოლსტოი — რუსეთის ფრიად ნიჭიერი მწერალი, ერუდიტი, გაეცნენ რა ახალი თარგმანის საშუალებით რუსთაველის პოემას და მის სააზროვნო ვითარებას, გადაუდებლად აყენებენ საკითხს რუსთაველის ადგილის შესახებ მსოფლიო კულტურაში.

კიდევ მეტი: აღნიშნული მწერლები დასმულ საკითხზე გარკვეულ პასუხს იძლევიან. ბუნებრივია, რომ ალექსეი ტოლსტოის გარდა, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰქონდა როგორც ჩემი რუსული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა". აგრეთვე ჩემი საკმაოდ ვრცელი შესავალი ამ თარგმანისა, არ არიან სავსებით გარკვეული წამოყენებულ საკითხებში. ამის გამო ისინი, როგორც ჰაიმ ვარდი, ისე რენე ლიაკოტი, რუსთაველის მნიშვნელობის გასაგებად მიმართავენ დანტეს და მის მიღწევებს (რაც მათთვის უფრო ახლო და ნათელია), რათა ამით რუსთაველამდე მისასვლელი მანძილი გაზომონ.

საკვირველია, მაგრამ გასაგებია, რომ ორივე შემთხვევაში საძიებელი მანძილი გამოსახულია თითქმის ერთნაირად. ეს გამოიხატება იმის აღიარებით, რომ ას წელზე მეტი ხნით ადრე ისტორიამ მიუძღვნა საქართველოს თავისი დანტე. ამისი თქმა, ცხადია, კიდევ არ ნიშნავს, რომ რუსთაველი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, ამოხსნილია სავსებით, მაგრამ მთავარია იმის გაგება, რომ ასეთი გზის გარეშე რუსთაველთან არ მიისვლება.

რუსთაველის საქმესთან მისასვლელი გზის თითოეული დასახელებული მაძიებელთაგანი ამავე დროს გრძნობს, რომ კიდევ რაღაც და ძალიან დიდი უნდა ითქვას რუსთაველის ირგვლივ და მის გამო. ამას თითოეული

მათგანი თავისებურად აგნებს. ჰაიმ ვარდიმ თავისი ყურადღება შეაჩერა ფსევდო-დიონისეზე (პეტრე იბერზე), მაგრამ ბევრი რამ ამის შესახებ არ იცოდა, რაც გულწრფელად აღიარა და ქართველ მეცნიერებს — სამეცნიერო ექსპედიციის წევრებს პალესტინაში — სთხოვა, პეტრე იბერზე ჩემი ნაშრომების გაგზავნა. რაც შეეხება ფრანგ კრიტიკოსს რენე ლიაკოტს, ის საკმაოდ ორიენტირებული აღმოჩნდა რუსთაველის იდეოლოგიური დასაყრდენის — პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) საკითხში და პირდაპირ მიუთითა თავის წერილში, რომ რუსთაველი მტკიცედ დგას არეოპაგიტიკის საფუძველზე და ამით განიზომება მისი ადგილი მსოფლიო კულტურის საკითხებშიო.

ფრანგულმა კრიტიკამ ხელგაშლით მიიღო რუსთაველის პოემის საიუბილეო ფრანგული თარგმანი, მას მაღალი შეფასება მისცა და, რაც მთავარია, გაიგო, რომ ეს არის ქვეყნის მთლიანი გაგება როგორც შინაგან ჭიდილზე აგებული ადამიანის სასიცოცხლო და სამოქმედო სარბიელისი. იგი მიხვდა, რომ ქვეყნის შემოქმედებით აღწერაში მთავარია ადამიანის მიერ ბედნიერებისათვის მისი გამოყენება. მართალია, ქვეყანა „მედინია", XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სიტყვა რომ ვიხმაროთ, მაგრამ ეს დაღუპვა კი არა, არამედ ადამიანის კვლავ აღორძინებაა.

ვინც დღეს გაიგო ეს ამბები და გრძნობს მათ სიდიადეს, ძნელია მათთვის ყველა იმ აზრების ნათელყოფა, რაც რუსთაველმა მიიღო, როგორც მემკვიდრეობა ჰერმან ლეის მიერ მითითებული დროიდან, ვიდრე XII საუკუნემდე.

რუსთაველის პოემაში დიდი ადგილი უჭირავს „სიბრძნის" ცნებას. ყოველ კვანძეულ მომენტში ადამიანობა და სიბრძნე ერთიმეორესთანაა გადაკვანძული. იწყება თუ არა პოეტური შექება პირველსავე გმირისა — თინათინისა, პოეტი აცხადებს:

33 სტრ. — „ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული".

უბრუნდება რა იმავე თინათინის შექებას პოემის უფრო მაღალ საფეხურზე, რუსთაველი ასე გამოიყენებს „ბრძენის" ცნებას:

694 სტრ. „მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ ნადევრი,

. . . . . . . . . .

. . . . . . . . . .

მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!"

თვითონ პოეზიას ანუ შაირობას, თავის ძირითად მოწოდებას, რუსთაველი სიბრძნის ერთ-ერთ დარგად თვლის:

12 სტრ. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი".

მჭიდრო კავშირი „სიბრძნის" ცნებასთან, მოცემული პოემის ყველა კვანძეულ მომენტში, მოითხოვს „სიბრძნის" ადგილის გარკვევას პოემაში.

აქ უადგილო იქნება სიბრძნის განსაკუთრებული ხაზგასმის ისეთი განხილვა, როგორიც შეეფერება სიბრძნისადმი იმ დიდ ყურადღებას, რაც მას დათმობილი აქვს პოეტის მიერ. აზროვნების ისტორიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ ადამიანს, რომელმაც სიბრძნისმოყვარეობას პირველად მიაქცია ყურადღება. აზროვნების ისტორიამ არ მიაქცია ყურადღება იმ ამბავს, რომ სიბრძნისმოყვარეობა ანუ ბერძნულად „ფილოსოფია" უკვე გულისხმობს სიბრძნის ცნების აღმოჩენას, მხოლოდ ერთგვარი მოკრძალება სიბრძნისადმი პოლემიკური წარმოშობისაა. იგი უპირისპირდება იმათ, ვინც „სიბრძნე" (ბერძნულად — „სოფია") პირველად აღმოაჩინა.

იმ მოაზროვნეებს, რომელთაც სიბრძნე აღმოაჩინეს, „სოფისტები", ესე იგი, სიბრძნის ოსტატები დაერქვა, არც ეს იყო დიდი დანაშაული, მაგრამ სოკრატე უსაყვედურებდა სოფისტებს, ისინი სიბრძნის სწავლებაში ჰონორარს, ფასს იღებდნენო. არც ეს იყო დიდი ცოდვა და არც ამის ნიადაგზე მეტყველებაში დაოსტატება, თუმცა ლოგიკის აღმომჩენმა — არისტოტელემ — რაც შედარებით გვიან მოხდა, მხარი დაუჭირა „სოფისტების" მოწინააღმდეგეებს და ერთი წერილი მანაც დაწერა სოფისტების წინააღმდეგ.

ეს ისტორია ბურუსითაა მოცული და არც ვაპირებთ ამ საკითხზე მსჯელობას. საქმე ისაა, რომ „სოფისტები", ესე იგი, ბრძენნი, იყვნენ იმის მომხრენი, რომ სიბრძნის წარმომადგენელი, სიბრძნის მატარებელი იყო ადამიანი.

„სოფისტების" მთავარი დებულება იყო.

„ადამიანი არის საზომი ყოველთა ღირებულებათა — არსებულთა, ვით არსებულთა და არ არსებულთა, ვით არ არსებულთა"-ო.

ფილოსოფიის ისტორიამ, ამ სიბრძნის მაგივრად, მხარი დაუჭირა აზრს, თითქოს სოფისტური გაგება სიბრძნისა ანგრევდა მის საფუძველს და სოკრატეზე დამყარებულმა ფილოსოფიამ გადაარჩინა სიბრძნე. მაგრამ ასეთი გაგება სიბრძნისა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბუმბერაზნი აზროვნები-



მხატვარი მამუკა თავაქარაშვილი

სა — პლატონი და არისტოტელე მას მხარს უჭერდნენ, შედგა ერთ ადგილზე, მან სცადა სხვადასხვა სისტემის ერთ — რეაქციულ სისტემაში გაერთიანება, რასაც კ. მარქსმა მიაქცია კრიტიკული ყურადღება. ანტიკური ფილოსოფიის დიდი ისტორიკოსი ცელერი წერს: ფილოსოფია დაიმსხვრეოდა შინაგან წინააღმდეგობებზე, რომ არ გაჩენილიყო მოაზროვნე, რომელსაც ამ წინააღმდეგობათა დაძლევისათვის უზენაესობაში (ბერძნულად „იუპერის") წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალება არ აღმოეჩინა „დაუსაზღვრავის" აღმოჩენითო.

ეს იყო V საუკუნის ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი, რომელიც თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში კულტურის ისტორიკოსებს დიონისე არეოპაგელის სახელით შეჰქონდათ ისტორიაში.

პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისემ) წამოაყენა იდეა თავის მთავარ თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის", რომ უმაღლესი მიზეზი იგივეა, რაც სიკეთე, ანუ უზესთაესად გაგებული „უკეთესი". ეს ტერმინი — სახე მოყვანილი აქვს რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის" 1492 სტროფში:

„თავსა მისსა (სიკეთის) უკეთესსა უზადო ჰყოფს, არ აზადებს".

ეს უკეთესი (ჭეშმარიტება, სინათლე) „დაუსაზღვრელია", რომელზეც რუსთაველი წერს:

— „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰჭრის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად".

რუსთაველს არ ავიწყდება, რომ ადამიანი არაა განყენებული ცნება. ადამიანი ერთი და სიმრავლეა, ანუ ერთი და ასი. სიბრძნის გაგებაში ასეთი შესწორება საჭირო იყო და ასეთი შესწორება ჯერ პეტრე იბერმა შეიტანა. ადამიანები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან იმის მიხედვით, რა საფეხური უჭირავთ მათ ქვეყნის მთლიანობაში. ამიტომ სოფისტები ცდებოდნენ, როცა არ ანსხვავებდნენ ადამიანებს და ისე აცხადებდნენ მათ არსებულის საზომად. არა, მთავარი იყო ის, რაც ერთნაირად „ძეს" ანუ დევს ადამიანთა შორის — არის იგი დიდი თუ მცირე. უსასრულოდ დიდი და უსასრულოდ მცირე — პეტრე იბერისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამ საკითხზე აქ არ შევჩერდებით, ის მე შეძლებისდაგვარად გავარკვიე წერილში — „რუსთაველის სიტყვა-ხმარება და პეტრე იბერი". ამის შემდეგ გახდა გასაგები რუსთაველის ხანა:



მხატვარი სერგო ქობულაძე

— „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის".

ამ შესწორებით, რომ ღმერთია განსხვავების გამომსახველი ადამიანთა შორის, სიბრძნე იმდენად შეიჭრა რუსთაველის პოემაში, რომ ტარიელისა და ავთანდილის დიალოგში იგი ზედი-ზედ იხმარება სტროფებში 875 და 876.

875 სტრ. — „თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა.

. . . . . . . . . . . .

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა".

ეს უმაღლესი წერტილია „ვეფხისტყაოსნისა" და აქაა მოცემული ის მსოფლიო კულტურული ფაქტი, რომ რუსთაველმა ანტიკური ნააზრევის აღორძინების ნიადაგზე კულტურული კაცობრიობის ისტორიაში პირველმა დაწერა ნამდვილი ფილოსოფიური პოემა.

სიბრძნის საწყისზე დამყარებით ავთანდილს — რუსთაველის „ალტერ ეგოს" (მეორე მეს), ესე იგი, მისი აზრების გამომხატველს, შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნოს, რომ ტარიელის ტრაგედია ბრძენთა გზიდან გადახვევის შედეგია.

876 სტრ. — „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ".

აზრთა ამ წყობას მოსდევს ორი დებულება, რაც იმ მსოფლიო გაგებასთანაა დაკავშირებული, რომელთაგან ერთი ამბობს, არაფერი არ ქმნილა ამ ქვეყანაზე, რაშიაც არ ერიოს სახიერების თუნდაც სულ უმცირესი ნაწილი და ეს უნდა ამაგრებდეს ადამიანს ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

877-3 — „მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოჰხდებიან?"

ასეთია პირველი კითხვა ავთანდილისა ტარიელის მიმართ. მეორეა ის, სადაც ნათქვამია, რომ ცხოვრება ბედნიერებისა და უბედურების შერწყმაა:

877-4 — „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!"

აქ დგას დიდი საკითხი, რომლის პასუხში რუსთაველი მიჰყვება V საუკუნის დიდ ქართველ მოაზროვნეს, პეტრე იბერს. სახელდობრ, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ სიკეთე, ანუ კეთილი, რომ ავი ანუ ბოროტება არაა არსებული, არამედ სიკეთის მოკლებაა, არ არსებობა.

„ბოროტიმცა რად შექმნა კეთილისა შემოქმედსა?"—

ათქმევინებს რუსთაველი სიკეთისა და სათნოების განსახიერებას — თინათინს. ანუ კიდევ, უფრო მნიშვნელოვან ადგილზე რუსთაველი თავისი პირით ლაპარაკობს:

1492 — „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს".

ასე გარკვეულად მიჰყვება რუსთაველი თავის თანამემამულეს, ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრესა და ამაღორძინებელს — პეტრე იბერიელს.

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს: ხომ არაა ერთგვარი შეუსაბამობა, შეუფერებლობა პეტრეს ამ დებულების მიღებასა და ზემოთმოყვანილ ადგილს შორის — „ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან-ო". გამოდის, რომ სიკეთის გვერდით მისი საწინააღმდეგო სიავეც, ბოროტება, ეკალი არსებობს. რაღა ეშველება, თუ ეს ასეა, პეტრე იბერის მოძღვრებას — რომ სიავე და ბოროტება არაა არსებობა, სინამდვილე.

ამ შემთხვევაში, რუსთაველი, როდესაც მან პირველმა სცადა მსოფლიო გაქანების პოემა ფილოსოფიურ ძირზე დაემყნა, ისეთივე სიძნელის წინ დადგა, კარგისა და ავის გამოვლენის საკითხში, როგორც სინათლისა და ბნელისა. პეტრე იბერი წერდა, რომ ავს არა აქვს მიზეზი და უმიზეზობა არის მიზეზი ავის არყოფნისაო. ყოვლის მიზეზს, ესე იგი, პეტრე იბერიელის მოძღვრებით, პირველ მიზეზს შეეძლო ავის შექმნაც, თუ საქმე მარტო მიზეზის შემძლებლობაში იყო. საქმე სხვა რამეში იყო: პირველი მიზეზი „ზეშთა სიკეთე" იყო და ეს არ ეგუებოდა ბოროტებას.

რუსთაველმა ეს კარგად ათქმევინა თინათინს. რუსთაველმა ამჯობინა წინ წამოეწია არსებობის ერთი მხარე — მისი დროულობა, ჟამიერება. ზოგს ჰგონია, ამბობს რუსთაველი, რომ გრძელია დრო ანუ ჟამი:

— „ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა".

ანუ

„ავსა წამ ერთ შეამოკლებს და კეთილსა გააკვლადებს"-ო.

სიცოცხლეს რომ თან ახლავს სიკვდილი, და ამ ნიადაგზე დგას საკითხი მათი შედარებითი ღირებულებისა — ეს კაცობრიობის კულტურამ იცის ფილოსოფოს პლატონიდან დღევანდელ ექზისტენციალისტებამდე. ამ დიდ საკითხს მის ისტორიულ-კულტურულ გაშლაში დიდი ამბავი უნდა და აქ მას არ ვეხები.

რუსთაველმა „წამ-ერთ შემოკლებით" დასძლია სიკვდილი, ხოლო მისი, როგორც დროის სიმუხთლის გამოხატულება, ადამიანის ცხოვრების ტრაგიკულობამდე აღამაღლა. აქაა „საზღვრის დაუსაზღვრება", და უსასრულობის ცნებით შეიარაღებულმა რუსთაველმა ანტიკურობის მემკვიდრეობა ტიტანივით ასწია უზეშთაესობამდე.

ამის იქით წასვლა ვერც მანამდე და ვერც შემდეგ ვერავინ შეძლო და ამაშია რუსთაველის უზეშთაესობაც კაცობრიობის კულტურაში. ამ საკითხის ასე გაბედულად შეხება მხოლოდ გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ალექსეი ტოლსტოიმ შეძლო. მისი აზრით, ასეთი დახვეწილი ფორმით და მიუწვდომელი შინაარსით შეეძლო ემღერა მხოლოდ მსოფლიო რენესანსის მოახლოების უდიდეს ოსტატსო. იშვიათი განჭვრეტით მიხვდა რა რუსთაველის პოეტიკის უმაგალითობას, ალექსეი ტოლსტოიმ მის განუმეორებელ ხელოვნებასა და ნააზრევში დაინახა მთელი შნო შორს გატყორცნილ გზაზე მავალი კულტურული კაცობრიობის უმაღლეს ღირებულებათა. ამან ათქმევინა ავტორს, რომ იმ დროს, როცა დასავლეთში იყო სიბნელე საშუალო საუკუნეთა, რუსთაველმა დაანთო ჩირაღდანი აღმოსავლეთის რენესანსისაო. ამით, ცხადია, მიჩნებულია რუსთაველის ადგილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ამის გამო ალექსეი ტოლსტოი მოუწოდებს ყველას, და მათ შორის რუსეთის კულტურის მკვლევართ, მიმოიძიონ რუსული კულტურის ისტორიაში მონაცემები, რომლებიც გააბამდნენ უშუალო კავშირს რუსთაველის მისაბაძ საქმიანობასთან.

რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავის საზეიმო ყრილობაზე, მის სამშობლოში შემოკრბებიან სხვადასხვა ერის კულტურის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ჩვენი დიდი კავშირის ხალხთა შვილები, და ეს იქნება სწორედ ის კავშირი, რომელზეც ოცნებობდა ალექსეი ტოლსტოი. ამ დღეს კაცობრიობის სხვადასხვა ენაზე მოისმენენ ის სიტყვები, გულში ანადუღარი და ფოლადში გამოწრთობილი სიტყვები, რომლებიც თვალმარგალიტივით დაიბნევა რუსთაველის ძეგლზე.

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი, დაადასტურებს რა ერთხელ კიდევ მის მნიშვნელობას მსოფლიო კულტურაში, იქნება რუსთაველის მიერ პოეტურად ნანატრი დღე, როდესაც — „მოვიდიან შესამკობლად ქვეყანით ყოვლნი სულიერნი: ...ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი". რა თქმა უნდა, დღეს კულტურული მსოფლიო შეუდარებლად უფრო ფართოა, ვიდრე ის, რაც გერმანელმა მეცნიერმა ჰერ. ლეიმ ეგვიპტიდან საქართველომდე მოხაზა. სამაგიეროდ, გამართლდება მსოფლიო კულტურის ცენტრში მდგომი რუსთაველის წინათგრძნობა, რომელსაც მან შემდეგი სიმბოლიური სახე მისცა:

„ერთსა მიჰხვდეს საზიაროდ, დიდებანი იასოცნეს".



ლევან გოთუა

# გარეჯული

მოთხრობა

მხატვარი ბელა ბერძენიშვილი

**მას, ვინც თავად განიძარცვა და უკვდავი წიგნი ვეფხის ტყავით შემოსა!**

ამ ფურცლებს რომ ვწერდი, დავით-გარეჯის თავმონგრეულ კოშკთან ვიჯექი. აქაიქ ჩაშლილი გვირაბით თითქოს საუკუნეთა სიღრმეს ჩავყურებდი და ქვაბთა საოცარ სამყაროს თვალს ვერ ვაშორებდი. ლაღად ფიქრი აღარ შემეძლო, აღარც დაკვირვებული ჭვრეტა. ყურში, ოდნავი ჩქამით შეფერებული, დიდი სიჩუმე იდგა. და მეც მარცვალ-მარცვალ ხილვებს ვკრეფდი, როგორც მზის გულზე დაყრილ ნამცეცებს ჩიტი მზეწვია...

...უეცრად, ცხელმა კორიანტელმა, ცოცხალივით, ფეხზე მდგარად გადამიარა. ხელნაწერი წამტაცა და გარეჯის სამყაროში დაფურცლულად მიმოაბნია...

გიცანი, შენ იყავი — გ ა რ ე ჯ უ ლ ა ვ, — ადგილის უკვდავო სულო!

ახლა უფრო გაშმაგებით განჟაგრძე წერა. ფურცლებს, უკვე თავად ვატანდი ქვევით აღელვებულ კაცის სუნთქვასავით, უსწორო ნიავს.

როდესაც გავასრულე, თავადაც ჩავედი ფურცლების მოსაგროვებლად და ქარისმიერად როგორც დაეწყო — ისე დავტოვე... დაე, სტიქიურ ძალის სულჩაბერილად დარჩეს. გარეჯულავ — შენი სახელით ვბედავ შენს დიდ სამყაროში მოკრძალებულად შესვლას!

. . . . . . . . . . . . . .

შორეთში — მოჟანგული ცისარტყელა ქანები, რუხჩაკრული ბორცვები, მუქყვითელა ტაფები და ოდრიკალები... დაუჯერებლად ერთად — გამომთქარული ხილვა და გაქვავებულად გადასული საუკუნენი.

ჩემს გასწვრივ, კიჩოამაღლებულ ზღაპრულ ხომალდად, უმოწყალო მზიან ცას შესდგომია ქვაბებით ამოღეჭილი, ილარიონის უბანი.

სულ ქვევით, აქედან ჭასავით ჩანს, დავით გარეჯელის პირველსადგომი ეზო და ქვაბი. „ჭიდან“ ამოზიდული ხეები მრავალ გარეჯელთა, ზეცისაკენ შენაპყარ ხელებს ჰგვანან. მაინც ერთი, ღრმა ქვაბში ნაზარდი, სულიერ არსებასავით გადრეკილა, გარეთ გამოსულა და ცისკენ სამი მძლე ტოტი — ვით სამი ხელი აღუმართავს! გარეჯულავ — შენ ნიშნად მომემთხვია და ახლა ყველგან გეძებ!

. . . . . . . . . . . . . . .

მაღლა, წყლის უბნის თავზე, ვეება გლუვ კლდეზე ამოტეხილი რუები და წყალსაწრეტები შორიდან ასომთავრულ წარწერებს ჰგვანან და მე ამაოდ ვცდილობ მათ ამოკითხვას. გულისხმიერი ხომ სწორედ ის უფროა, რაც ანბანს იქით რჩება უთქმელ-უწერი!

. . . . . . . . . . . . . . .

ელვასავით ნაკლაკნი ბასრი ნაპრალი, ჩაკვეთილი კლდე და მრავალ ქვაბთა თუ ნაშენთა ზვიადი მდუმარება სულშიაც მყარდება და თითქოს იქაც ქვაბებს აჩენს, გადასული ჩრდილებითა და სახეებით ასახლებს და ჩემი კალამიც უკვე წერაქვია და მეც ქვაბს ვკვეთავ!

ბავშვობიდანვე მიყვარდა კლდესთან ბრძოლა. საფეხურების ჭრა. თავქვეშ, ბალიშის მაგიერ, ქვის ამოდება და ფიქრი. ოცნებასაც ხომ მტკიცე საფუძველი სჭირდება. ქვაზე უსაფუძვლესი კი უმცდარი და გულწრფელი სიტყვა თუ იქნება, დროზე ნათქვამი!

. . . . . . . . . . . . . . .

ბჭის მიღმა, დიდი ლაკვაა კლდეში. ყველგან რომ ამოშრება, აქ მაინც არის წყალი... და ასე ათასხუთასი წელი მაინც!

ამ ლაკვის ქვევით ჩაგანიერებულ ყელში მზეწვიას ბუდე აუწებებია და ყოველ წელს ჩეკავს ბარტყებს. ალბათ მისი მოდგმაც ათასხუთასი წლისაა! ქვევით წყალია და იგი ახლაც პირდაპირ მრგვალ ზეცაში აფრენს ბარტყებს... ამო სტვენითაც მზეს იწვევს. უშველებელი მზეც მუდამ ეწვევა ხოლმე — წამოადგება მზეწვიას ლაკვას!

შენი საგალობელიც ასეთია — გარეჯულავ, — სამხელა ფიქრო და დარდო.

## „ოქროს ხანის“ კუნძული

გარეჯის ირგვლივ უმძიმესი ამბები ტრიალებდა.

მართალია, საქართველოს ამ „შუამდინარეს“ ჯერ უშუალოდ არ განეცადა მონღოლური წარღვნა, მაგრამ მტკვრისა და ივრის შორის უდაბნო ზეგანს უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა თავის ქვეყანასთან.

აქ — უმდიდრეს ქვაბ-სენაკებსა და მთლიანად კლდეში ნაკვეთ ტაძრებში ჯერ კიდევ ჩარჩენილი „ოქროს ხანა“ იმ მილამულ კუნძულს ჰგავდა, რომელსაც აღარც ერთი ჯებირი არ გააჩნდა და პირველივე წყალდიდობა გადალეკავდა.

მონღოლთ ურდოები, როგორც მკალი, მიწაზე გართხმულ ღრუბლებად მოედვნენ და სვლეპავდნენ დედამიწის მრავალ მხარეს, მათ შორის კავკასიონის სამყაროსაც. დიდ გზაზე შემდგარი ერი უეცრად დაიმუმლა და დაისახსრა.

ჩვენი აყვავებული ქვეყანა ერთბაშად დასეტყვილ ვენახს დაემსგავსა. ერთიანეროვნული ბრძოლა და ხერხემალი უკვე კარგა ხანია ჩატეხილი და დაქუცმაცებული იყო. ახლა უკვე პიროვნულ თავის შველაზე და ერში დამარაგებულ სტიქიურ გამძლეობაზე იყო მისული საქმე.

საქართველოში ხან სულ უმეფობა იყო, ხან ორმეფობა. დიდი, არეული, წინაუკმო ხიზნობა ხან აღმა მიგორავდა, ხან დაღმა...

დავით გარეჯის განთქმული უდაბნოები, მწიგნობრული კერებითა და დიდებული ქვაბ-ტაძრებით, თავისი, ჩუმად შეშფოთებული, განაბული ცხოვრებით ცხოვრობდა. დაუცადელ ლოცვაში და ფარულ აბჯარში ჩაჯდნენ... ხმა უკლეს გალობას. ძელის კვრა, ზარის დარისხება, ღამით დიდკელაპტრიანი ლიტანიები, ცეცხლის ნიშნების ანთება სულ აიკრძალეს.

სახელოვანი წიგნები, ძლიერი და მდიდრულად შემკული ხატები და სხვა განძჭურჭელი უკვე საცავებში იყო ჩაფლული. სრული გაშიშვლება და ხიზვნა ვერ შეკბედეს ტაძრებსა და სალოცავებს, მრავალი რამ დრომდე დასტოვეს მაინც მიძინების ქვაბ-ტაძარში. იგი სულ ახლო იყო კიბისქვედა სამალავთან.

მომრავლებულ ხიზნებს ბერები შველოდნენ, მაგრამ არ აჩერებდნენ, უფრო შორს უჩენდნენ და ურჩევდნენ სამალავს. აქ არც წყალი იყო სამყოფი, არც საკვები. მარტოხელა მამაკაცებს კი შერჩევით იტოვებდნენ, ქვაბებს უფრო მიუდგომლად აკვეთინებდნენ... კედელ-გალავნებს უმატებდნენ... მაგრამ გაიოზ წინამძღვარმა ნათლად იცოდა, რომ ეს ყოველივე ამაო იყო და „ოქროს ხანის“ უკანასკნელი კუნძულის გადარჩენას სასწაული სჭიროდა, ისე მისი დღეებიც დათვლილი ჩანდა.

. . . . . . . . . . . . . . .

ამას ვწერდი და წყალი მწყუროდა. აქ წყურვილი ისეთივე მოუპირავი გრძნობაა, როგორც ოცნება! დავამთავრებ და დავითის ცრემლის ქვაბში ავალ, მოჭახჭახე შაშვებს გულუნებურად გავაფრთხობ, წვეთ-წვეთად მოგროვილ სველ ალმასებს დავეწაფები. მართლაც ცრემლივით მლაშეა იგი. წყურვილს ვერ მიკლავს, მაგრამ გარეჯულ გამძლეობას კი მმატებს!

ესეც შენი აბჯარია, გარეჯულავ, ალმასურო ცვარო და წვეთო!

## ჯაჭვის თავი

— მამა სად არის? — განცვიფრებით შეეკითხა წინამძღვარი, მოსული ჭაბუკის ვინაობა რომ გაიგო.

— დანგრეულ ციხეში შებრუნდა და მარტო დარჩა! მე წერილი მომცა, ხიზანქარავანს თბილისისკენ გამომაყოლა... იქიდან მარტო მოვალ! — ჭაბუკმა კისერი წაიგრძელა, გულის უბიდან დახვეული ნუსხა ამოიღო და გაიოზ წინამძღვარს, მის შორეულ ნათესავს გადასცა.

ისედაც ძვალ-ტყავა და მოუშუშებელი, დაღლილი, ძლივს იდგა ფეხზე. მოზარდულად მხრებაჩეჩილს ოდესღაც მდიდრული სამოსი შემოსცვეთოდა.

მხცოვანს მოაგონდა თავისი ახალგაზრდობა, მაგრამ გულისყური სულ სხვაგან ჰქონდა.

— ასე ადვილი მოსაგნები ვართ?

ბერს მონღოლები ჰყავდა მხედველობაში.

—კითხვა-კითხვით იერუსალიმსაც მივა მცდელი კაცი! თქვენი „გარეჯულა“ კი საქართველოს იერუსალიმი არის!

— მამა გეტყოდა!?... და მაინც დავით-გარეჯი და არა „გარეჯულა“, ყმაწვილო!

— მითხრა... მომხიბლა! ისე არ ვტოვებდი, არ მოვდიოდი... წვრილად ვიცი ამ სავანეთა დასაბამი და მნიშვნელობა — მე ხომ ვარძიის ქვეყნიდან მოველ! „გარეჯულა “კი ჩემი შერქმეული ნართაულსახელია!

გაიოზ ბერს არაფრად ეჭაშნიკა საეროდ ზრდილი ჭაბუკის სითამამე. ერთიც მოჰხედა მეტად „დიდურად“ მეტყველს. ცოტა შეწითლებული თვალები შეუმჩნია. შიგ თითქოს აღგზნებაც იყო, ნაპერწკალიც, მაგრამ — სატკივარიც. გაშლილ შუბლზე კულულები გადმოშლოდა, დახვეწილსა და შეფითრებულ სახეს ნაადრევი შავი ღინღლი უსევადებდა...

„ეს უკვე მონღოლთხანის ქართველი ყმაწვილია — ბევრის მცოდნე და ვერას შემძლე!“ — თავისთვის დაასკვნა წინამძღვარმა და ბარათს მიუბრუნდა. შორვით დაიჭირა, წვერის ცმაცუნითა და ოხვრით ჩაიკითხა. თვალი უნებურად გაჰკრა თავის შორეულ ნათესავს, მისხის მისხს, პირველად ნანახს. ბერული ფიქრიცა და სათნოებაც ვეღარ იგუა.

ყმაწვილი თავაწეულად, მაგრამ თვალდახუჭული იდგა.

— რა ჰქნა!.. ბრმა ხომ არა ხარ?

— მირჩევნია, ბრმა ვიყო... ჩემს სანატრელ ქვეყანაში აბა რას ვხედავ!? თქვენთან აქ ჯერ ოქროს ჟამია — თამარისი და შოთაისი! მე კი უკვე დარბეული ვარძია და თბილისი ვნახე!

ახლა გაიოზ ბერმა დახუჭა თვალები, ყური კი გაიმახვილა...

— ვნახე უარესიც! დამონებულთ ქიშპობა, ურთიერთ დაბეზღებაშურისძიება! ნუთუ ჩვენს თაობაში კაცი არ ჩანს — წინამძღვარი — ყველაფერი განჭვრიტოს და ჩვენც გაგვიყოლოს!? თორემ მეფე — ორი, გული — ორი, პირი — ორი, სიმართლეც — ორი! გაორმაგდა ყოველგვარი აქამდე ურყევი ჭეშმარიტება! სად გაგონილა?

— ამას შენ მეკითხები თუ მამაშენი?

— თაობას რა მნიშვნელობა აქვს, თუ შეკითხვა მართებულია?

— რატომ მამაშენს არ ჰკითხავ? — გაგულისდა ბერი.

— ვკითხე და ვერ მიპასუხა... ვიდრე შეეძლო, თავადაც ბევრი სცოდა... სულ რომ დაიბნა, თანაც მიუძლურდა, დანგრეულ ციხეში ჩაჯდა და ძველი წიგნების გადაწერა იწყო... მე კი სულ აღარ გამიკარა!

— რატომ? ალბათ ესეც გეცოდინება!?

— ვიცი! როგორც მისი ცოდვების ცოცხალი მოწმე!

ბერმა ახლა უფრო დიდხანს უმზირა ჭაბუკს, მაგრამ გაგულისებას ვერ სძლია.

— აგრე რამ გაგამწარა და გაგაწიორა? ამ წერილის შინაარსი იცი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მამას არ უთქვამს... ჩემს გვარისკაცს გადაეციო, გიწინამძღვრებსო!

— დავიჯერო, არ წაგიკითხავს დაულუქავი ნუსხა?

— არ ვიცი კითხვა. — ხმადავარდნილად და თავჩაკიდებულად აღმოხდა მოსულს.

— კითხვა არ იცი? სულ ზეპირად ფილოსოფოსობ? მამამ არ გასწავლა? ჩვენს გვარში ყველამ იცოდა... შენ კი რა უწიგნო მწიგნობარი ხარ!?

— ვერა... თვალები მტკიოდა! — ახლა სახეც დაენისლა, კისერიც ხულ დაუწიორდა.

— ბალღობიდანვე ცეცხლში დაგუდული ვარ, მონღოლთ ერთ-ერთი შემოსევისას...

ახლა კი შეებრალა ბერს, დაწყნარებაც დაუწყო:

— ახლა მესმის შენი ადრე დაბრძენების მიზეზი! არც გვიანი, მაგრამ არც ზედმეტიჩარა სულსწრაფობა ვარგა! ნურც გეშინია... მაცხოვარი გვფარავს! აქ არ მოგვივლენ. ვინც მოაოხრეს და ამოწყვიტეს, აბა რაღადა... დანარჩენებმა უნდა ვითმინოთ და გავძლოთ... ზოგ რამეზე თვალიც დავხუჭოთ!

ჭაბუკს შუბლი შეეკრა, თვალები კი სიმწრის ცრემლით აღევსო...

— მე ყველაფერი ვნახე, არც სულსწრაფობით მომდის... არა საშიშ არიან მონღოლები, არამედ ჩვენი ზნეობანი, რომელიც მათ წარყვნეს!

წინამძღვარმა წვერები ჩაიბღუჯა, თვალი არიდა და სულ დაბალი ხმით შეეკითხა:

— მერმე... მამაშენმა იცის ეს თუ არა, ვეჟო?

— მართალი ბრძანებაა! იცის და სცოდავს! აი ეს არის სულსწრაფი ძისათვის ყველაზე მძიმე... მამა — სულიერ მამასაც უნდა ნიშნავდეს ერად!

ჭაბუკმა თვალის კილოებში ამოისვა ხელი და სულ დახუჭა, მაგრამ ბერს სხვანაირად რომ არ გაეგო, უმალ დასძინა:

— მე მხოლოდ სატკივრის გამო ვხუჭავ თვალებს!

— ეჰ, ცხოვრება გასწავლის, შვილო!.. ახლა კი ეს მითხარი — მკურნალობდი?

— ირმის რძითა და მრავალძარღვათი... როდესაც კი გვეშოვნებოდა, მაგრამ ახლა?

— აქ, ჯერჯერობით, ორივე გვეშოვნება... მეტიც. საექიმო წიგნებიც ვნახოთ, მოგირჩენთ ღვთის შეწევნითა... ხუცურსაც გასწავლით, ცოდნის სრულს საფუძვლებსაც მოგცემთ... — და უფრო მნიშვნელოვნად, გადაწურულად დასძინა, — ამიერით მორჩა შენი აზნაურობა, ძველი გვარსახელიც... ჯერ თუნდ — წიორა, თუნდა გარეჯულა გერქვას, ახალმორჩილო! ბინად მიძინების ტაძრის მიჯნის ქვაბი გექნება. ირმების მცირე რემას განდობთ მოსამწყემსავად, რძე შენთვის ალალი იყოს!

— ირმების რემას? ახლაც გყვანან? — ახლა კი ბალღურად შეხალისდა ახალმორჩილი, — ირემი ხომ აქ ადგილის დედაც არის და გარეჯულას ცოცხალი სახეც!

ბერმა მკაცრად გადუწურა სიტყვა:

— პურის ჭამად კი ჯერ ჩემთან მოდი... მარხვა — თავიდან! იცოდე, აქ აღთქმისა და მდუმარების სავანეა!

გაიოზ წინამძღვარი ისევ თავის ჩვეულ კალაპოტში იყო — აღარც ღელავდა, აღარც ედავებოდა მოსულს. ქვამარილი გაატანა და გაუშვა. წერილი კი ისევ გადაიკითხა...

„გაიოზ წინამძღვარო, მეუფებამან თქვენმან... ჩემი გვარტომისა და სახლის კაცო! შეიხვეწე და შეიფარე ძე ჩემი, ერთადერთი გადარჩენილი, შენი მოსახელე, ოდესღაც შენი განათლული. ფრიადი ნიჭისა, მკვირცხლი გონებისა, სწორედ საოცარი მეხსიერებისა, ხოლო უძლური თვალთაგან და ტან-კისრით წიორა. მე აწ ცოდვაწეულ და სნეულ, მონღოლთა და შურისმგებელთა მიძალებულ, ვერცა დავმოძღვრო და ვერც დავიცვა იგი. ერთი საქვეყნო მწიგნობრული საქმე ვიტვირთე თავად და თუ კეთილგავასრულე, რაიცა ფრიად მეეჭვის... მეც მანდ შემოვეფარვი კალთას უფლისას. ძე ჩემი — ამიერით შენი ძე არს და ზეციერმა მოგიზღოს მადლი შენი აწ გაწეული. ძის კვალი დავაბნიე და მანდ, ასე შორს, არა ვგონებ, მოგივიდეს შურისმაძიებელი.. მაინც არიდე ჩემი ძე ბუბაქარ ერუშელს. მისი სისხლი მმართებს, ყელთამდე ცოდვილი ვარ, გვიან შევიგნე...

თაყა ოთაისძე გეთხოვებით და შენდობას ვითხოვ“.

## ქვის ირემი

წიორა დაღლამ დაადინჯა, ყურადღება კი ფხაალესილი დარჩა. ქვაბები ჩამოიარა. ყველაფერს დახარბებულად ჩხრეკდა, ყველა გრძნობებით ისრუტავდა.

... არა, გარეჯი ერთბაშ კლდესართულებად ავარდნილი, ერთსიბრტყიანი ვარძიის მრავალქვაბეთი როდი იყო. აქ მიდამო ახერგილ-ჩახერგილად გაქვავებულ კორიანტელს უფრო სახავდა. ხან ვეება, მხარშეტეხილ თონის მაგვარად იყო ფრიალო და ზედ შავდამწვარ, კუტიპურებივით ჩაკრულ-ჩავარდნილად ჩანდნენ ქვაბები. ხან პირმიწყობით, ხან ზედადგმულად... აღმა და დაღმა, გაღმა და ჩაღმა, ეზო-ეზო შეკრულად, ფერხულჩაბმულად იყვნენ კლდეში შემძვრალნი.

ზოგი ქვაბი, ზომითაც ვარძიისაზე უდიდე იყო, თითქოს უფრო ძველკვეთილიც, უფრო უსწოროც. თითქმის ყველგან ჩანდა შიდა მოხატულობა.

ეზო-ხევში ხეხილიც იყო. ნუში, ლეღვი, ზეთისხილი... ვაზი თუ უსურვაზი კლდეზე გასული. ფშატის ყვავილისა და თაფლის სანთლის სურნელი სუფევდა ირგვლივ. მაგრამ ყველაფერი უდაბნოს ხვატითა და გახურებული ქვით იყო დასუნთქული.

თვალსა და გულს მარტოხელად უწყობდა ახალმორჩილი, ამ „აღთქმისა და მდუმარების“ სავანეს ეგულისხმებოდა, არავის არაფერს არა ჰკითხავდა

ქვაბის პირებსა და ორწოხებში ბერ-წვეროსნები შავ ჩრდილებად მიმოდიოდნენ. სამუნჯეთივით უხმო იყო მათი ყოფა. გაჩრდილულად საქმიანობდნენ. ლოცულობდნენ, მზეზე, ქვაბში ნაკვეთ კიბეებზე, სთვლემდნენ... ქვაბებს ჰკვეთდნენ, ფურცლავდნენ და კითხულობდნენ თუ სწერდნენ წიგნებს... გალობისა და ლოცვის ხმაც სულ ყრუდ და სულ მხარქცეულად გამოდიოდა.

„...გარეჯულას სული მეტყველებს! კლდე და ქართველი ადამიანი ერთად!!“ — თავისთვის დაასკვნა ახალმორჩილმა და სვლა განაგრძო. კედლის ტიხარები განვლო, სულ ახლო ჩაუარა თერთწვეროსნებს. მაგრამ ისინი ისევე ვერ ამჩნევდნენ ახალმოსულს, ვით აქვე, მათ ჰაჰლართლად მოგოგმან მტრედებსა და კაკბებს... ან, ცოტა ქვერელე მზეზე გასუსულ ჯოჯოებსა და ანკარებს.

წიორა ამან კი არ შეაკრთო, უფრო ჩააფიქრა და გაათამამა...

აქ არავინ არ უშლიდა არავის! იქ კი, საიდანაც მოვიდა — ყველა ცოფავდა ყველას!

შუა ეზოში კაცის სიმაღლე ქვასვეტი იდგა. ზედ ყელმოღერებული ირემი ამოეტვიფრა ქვის მხატვარს.

ქორბუდა რქებს შორის ქრისტეს სახე. ქვევით ცხენოსანს მშვილდისარი აღემართა საძგერად, მაგრამ ისარი თავიდანვე გაღუნული და მიზანს აცდენილი ეზრახა შემოქმედს.

„გარეჯულავ, აი შენი სახე — ირემი და ღმერთ-კაცი ერთად!“

მიძინების ტაძრის ეხში, მყუდრო ადგილზე — ირმის წველა იყო მადლიანად გამოხატული.

ახლა კი კუშტად ჩაფიქრდა „ზეპირფილოსოფოსი“. ხელში ქვამარილი კი ჰქონდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ქვის ირემი და კლდეზე მიხატული რემა ნახა!.. ხომ არ დასცინა წინამძღვარმა „ზედმეტიჩარას“ — „იქნებ მთავად უნდა ვლოკო ეს ქვამარილი?“

საკმაო ვიწრო და გრძელ ქვახვრელს იქით, მთლიანად კლდის წიაღში ამოღებული მიძინების დიდი ტაძარი, როგორც ახალი საოცრება, ისე მოევლინა მოსულს.

კუთხურ-ჩაჭრილად ჩამოღვრილმა ზედა სარკმლის შუქმა და სამი კელაპტრის სხივმა თვალი მოუნუსხა. ირიბ ნათელსვეტი — მოოჭვილ, შემკულ ხატებით აღსავსე კანკელს ადგა. მის მიღმა კი ბინდბუნდი და ჩრდილ-მაჩინი მეფობდა.

ქვაბ-ტაძარი სავსე იყო ბერ-მლოცველებით. ახოვანი და გასაკვირად მრავალფეროვანი მრევლი იყო... მათ შორის შუბოსანი მხედრებიცა და ჯვროსანი მანდილოსნებიც... ვგონებ, გვირგვინოსნებიც... კელაპტრების შუქის კანკალი თითქოს მათაც ამოძრავებდა.

მაგრამ სიჩუმე კი სწორედ „მიწისქვეშა“ სუფევდა.

წიორამ უსწორ ჭერზე გაჰლანდა რკალში ჩასმული შავი ჯვარი, შავფრთიან ანგელოზს მხარზე რომ ადგა. ბოლოს თვალიც შეაჩვია და მერმეღა მიხვდა, რომ ქვაბტაძარში არავინ არ იყო.

უხვფეროვანი, განცდილი მოხატულობა და შესაფერისი შუქის შერწყმა აცოცხლებდა და აცხოველებდა კედლის მხატვრობას.

ერთიც სულ ბოლოს შეამჩნია გულშეძრულმა ხიზანმა. კანკელის თავზე კაცის სიფართოვისა და სიმაღლის ჯვარი იყო აღმართული. ზედ ჯვარცმული ეხატა. ეკლის გვირგვინი კი თითქოს იმ ბარდიდან იყო მოჭრილი, რომელიც სარკმლის კლდეზე ამოსულიყო და ჭაღივით შიგნით ეკიდა. ჩანს, მას განზრახ არც ჭრიდნენ ბერები. სვეტი შუქის მიღმა სტოვებდა ჯვარცმულს სხივშეცრილი ბინდი გამოტვიფრულად სახავდა მის შიშველ ტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიორამ შეამჩნია, რომ წამებულსაც მასავით, გრძელ კისერზე ჰქონდა ჩამოგდებული თავი... არც შავხუჭუჭა, მეჩხერი წვერი ჰქონდა მის ღინღლზე მაინცადამაინც დიდი...

ახალმა მწყემსმა კიდევ ბევრი საკვირველება ნახა ამ დღეს... აქვე ახლოს მეორე საკვირველება გარეჯისა — ღვთისმეტყველის ტაძარი. ქვედა ეზოში — ყველა უდაბნოთა მთავარი სალოცავი — დავითისა და ლუკიანეს საფლავი — ფერისცვალების ქვაბში.

ყველგან იყო ირმების კვალი... ქვაში, ნახატში, ერთგან რქებიც კი ნახა, მაგრამ ცოცხალი ირმები კი არსად ჩანდნენ.

უკვე დაისის ჟამს, გარელაკვასთან, ერთ-ერთ დიდ ქვაბს მიატანა წიორამ.

ირმის რემა უკვე მოსული დახვდა. ხარირემი ლაკვასთან, გლუვ ქვის გორაკზე იდგა და რქების ჩხაში ჩამავალი მზე გარჩენოდა.

ჭაბუკს ისევ ქვის ირემი წამოესახა... „გარეჯულავ, შენ ხარ-მზეც შეგემატა!“ მერმე შეეჭვდა... — შენ ხარ მზიანი, თუ მზეა რქიანი!?“

თავისმა ჩურჩულმა შეაკრთო და მიმოახედა... იქვე ჩეროში ფური და ნუკრები ცოხნიდნენ და მას უმზერდნენ.

წიორამ კისერი უფრო წაიგრძელა, უხერხულად მოუფრუტუნა და ქვამარილი ხარირემს გაუწოდა. მან თავი დაჰხარა, მაგრამ არ გალოკა. ფურმა კი მეტი ნდობა გამოიჩინა, ხაოიანი ენა ხელზეც აუსვა და მარილზედაც. ჭაბუკმა შარშანდელ ნუკრს ბალახი და ფშატის ტოტი მოუკითხა, წლევანდელს ქეჩო მოუქავა და ხელად დაიმეგობრა. ახლა მზეწვიას ლაკვადან წყალი ამოუღო, თავის სამწყსოს ასვა და საღამიოდ ირმის ქვაბს კარი გამოუხურა.

# ᲠᲙᲐᲚᲘ ᲯᲐᲭᲕᲘᲡᲐ

უამრავი თავი გაახმო, ბევრი ციხე და ხერხემალი გასტეხა მონღოლთ შემოსევამ. ომის უნახაობა აბა ვით ითქმის კავკასიონის ქვეყანაში, მაგრამ ასეთი ულევი და უდევი ლაშქართა ზვავი და ღვარი, მანამდე სულაც არ ენახა „ქართლის ცხოვრებას“, ყველაფერი შეილეწა... შეირია მიწა და ერი... შეიბღალა სამოთხე, გატიალდა, გაუდაბურდა ვენახი და წალკოტი... მხოლოდ უდაბნოში ჯერ კიდევ ძველსათვალავი ქორონიკონის სული და ნაშთი შეყუჟულიყო. მაგრამ ხილული და უხილავი ჯაჭვის რკალი თანდათან იწურებოდა.

მრავალმა შვებისა და თავშესაფრის მაძიებელმა განვლო გაიოზ წინამძღვრის ქვაბი და ცხრილვა. მაგრამ იგი შორსმჭვრეტელი კაცი იყო და ამიტომ მეტად მკაცრობდა... თუმცა კიდევ ერთხელ შეაძრწუნა „უხილავი ჯაჭვის რკალმა“, ზოგ რამეზე „თვალების დახუჭვის“ მომხრე.

ვიღაც ზორბა, ცეცხლაქერა შემოდგა და ქვაბი თითქმის ამოავსო, ჩამოაბნელა, მუშტი მკერდზე უროსავით შემოიკრა და სადა ჩოხის ქვეშ აბჯარი უნებურად დააზრიალა. თავწახრილად ქვაბის ჭერს მიებჯინა და მძიმედ შეჰხედა წინამძღვარს...

— მე ქართველი ვარ!

ქვაბმა უფრო ჩაბზარა და ჩაგუბა მოსულის ხმა.

— შენ ქართველი რომ ხარ, ეს ახლა — მონღოლობაში, აღარ კმარა— საპირველსიტყვოდ! — დაღლილად უპასუხა ბერმა.

— დავითისი ვარ...

— ასე გასინჯე — აღარც ეგ კმარა... რომელისა?

— ვაგლახ... ჩემი დამღუპველი მესაზღვრე ულუსი იყო, მე — ნარინისი... ამან ჩამოაგდო ჩვენს შორის თიშვა... ისინი ბოლოს შერიგდნენ, ჩვენ კი შევაწყდით ერთმანეთს და ბოლომდე ნასისხლად დავრჩით...

— დამარცხებულთ ბანაკში თიშვის საბაბი და მიზეზი უამრავია... თავის მართლებისაც! — მწარლმობიერად უპასუხა წინამძღვარმა. ეს, დარჩენაზე უარის თქმის დასაწყისი იყო.

— აბა რას მერჩოდა, მომიხტა, ციხე ამიფორიაქა! — უეცარ ჩხუბის ხმაზე გადახტა მოსული — მე ლიხთიმერს ვიყავი... ოჯახი ერთიანად გამინადგურა... ახლა აღარცვინ მყავს...—უკვე ძლივს ამოგუდა მეომარმა და ისევ აბჯარი აახმიანა. — ახლა მე მივუხტი, ციხე გავუტეხე... მოვსრე, ვისაც წავასწარ მისიანს! თავად ერთი ვაჟით გამასწრო... ახლა მეტი აღარც იმას დარჩა ვინმე! მერმე მონღოლები მოვიდნენ და ორივეს დაგვინგრიეს ჩვენ-ჩვენი, უკვე ბჭეშერყეული ციხენი.

— ამის იქით კიდევ თუ გაქვს გზა და სათქმელი? — დაღველფა ბერმა.

— ორფა შურისძიების გზა დავიდე — მონღოლები და თაყა!

— ვინა?

— თაყა ოთაისძე... ხომ არ გეცნობა?

— არც შენ მეცნობი! — ბერმა პირდაპირ შეჰხედა შურისმაძიებელს. ახლა უფრო ეცეცხლა ქერა უსწორო წვერ-ულვაში. თავპირს ბურჩხად უფარავდა ბანჯგვლი, მაგრამ შუბლიდან ყბაზე ჩაგრეხილ ნაწიბურს კი ვერ უმალავდა....

— სულ აგრე ხარ დაჩეხილი? — ხერხიანად სხვაგან გადუგდო სიტყვა.

— სულ აგრე... თავად და ტანად! — თითქოს ქვაბმა დაიგუგუნა და ბანიც მისცა. როგორღაც ორ ხმაზე მოდიოდა კილო სიტყვისა. უდაბნოს წინამძღვარმა ისიც ინიშნა — კეთილი მგალობელი დადგებოდა, თუ დადგებოდა დაჩეხილი. ბერმა სხვაც ინიშნა და „თვალი დახუჭა“.

— ჰოდა მერმე... მიაგენ თორღვას?

— თაყას და არა თორღვას... — დაჩეხილს ნაწიბური აუთამაშდა, — მიწამ ჩაყლაპა! ბოლოს მივაგენ, თავის ციხის ნანგრევებში იყო მარტო, სნეულ-ხიზანი!

— ძე მისი, ერთადერთი?

— მე არც ერთი არ შემატოვა მტერმა, მათ შორის პირველმა თაყამ, — ჩოხის ქვეშ აბჯარი ერთიც აძგრიალდა, — არ ახლდა! სადღაც შორს შეუფარებია... როგორც თავად მითხრა, მამის ცოდვათა მოსანანიებლად!

უეცრად სულ დადუმდა, სულიც საბერველივით მოითქვა და ბულ დაბალი ბანით ჰკითხა ბერს და თვალებში შეაჩერდა:

— აქ ხომ არ არის? ერთი ძაფი აქეთ მოსდევდა?

— შემეცნებული ვერ ვარ... თუ იცნობ — გაჩვენებ ყველას! — აღარც ბერმა დაჰხარა თავი.

— არც მინახავს... ღმერთმა ნუღარც შემახვედროს! — ახმახმა ქერაბუსუსიანი ხელი გულზე იკრიფა, განზე მიდგა და ხმა გაიკმინდა.

—ამ უდაბნოში მაინც რაღამ მოგიყვანა, შვილო? — მოლბა ბერი, დააყოვნა და ისევ განაგრძო, — ვინაობას არ გკითხავ, მოსვლის მიზეზი კი უნდა ვიცოდე — სიყვარულმა და სასოებამ მოგიყვანა ღვთის საფარველში, თუ სიძულვილმა და ცოდვამ?

— არ ვიცი! ასე მიიჩიხა წუთისოფელი! — ხელი ქვაბს გარეთ გაჰყო, თავის გუდა-ნაბადს წაავლო, თითქოს საყრდენებს ეძებდა, — ალბათ დიდმა ცოდვამ და შურისძიების აბნეულმა გზამ! — გუდა მოწიწებით დაასვენა და უეცრად მორღვეულ კლდესავით აროხროხდა... — აი, ხვნის დროს რომ მოჰკლა გუთნისდედა! ან ლეწვის დროს კალოს გამშლელ თავკაცს გაუყარო გულში ხანჯალი!? ან ციხის დაცვისას კეფაში დაჰკრა მოძმეს დაშნა! ...ხელი მოსჭრა ზარის რეკვისას მნათეს! საწნეხელში ჩამდგარს ფეხში ჰკრა შუბი!

მოსული აჩეხილ-დაჩეხილად, მაგრამ სულის მოუთქმელად სთვლიდა თითქოს დაზეპირებულს, ალბათ, არაერთგზის ნაფიქრსა და ნადარს.

გაიოზ ბერმა შეაწყვეტინა...

— ყველა ამისა მოქმედი ხარ, დიდად ცოდვილო!?

— არა, არც ერთისა, მაგრამ უარესისა! წიგნის გადამწერი ვიმსხვერპლე! თვით წიგნს ნუ მკითხავ და ცოდვას თუ მომთხოვ, წვრილად ვაღიარებ! — ისევ გუდისაკენ წაუვიდა ხელი.

ბერმა შენიშნა, გუდაში დიდი წიგნისდაგვარი რაღაც ედო.

— გიჭირს თქმა?

— მიჭირს...

— უთქმელობა?

— კიდევ უფრო! ბოღმა მახრჩობს!... ომში მოკლულებს ნუ მათვლით — იარებზე უმეტე მაქვს... გადამწერი კი არ მომიკლავს, მხოლოდ მიზეზი ვარ!

— გოროზობა და ხორცი გაწვალებს! წადი, მოუმზადე აღსარებისთვის ... არაფერს არ გედავები!

მაგრამ ეს ვეება კაცი შეკრთა. ისევ გაებზარა ხმა...

— მზად ვარ! — და სულმოუთქმელად აღსარებაზე გადავიდა, — ვეძებდი, ბოლოს წავადექი სულთამხუთავი, მაგრამ ის წერდა... სისხლი მომე-მეთქი! — ჩემი ბედისწერა ყოფილხარო!.. სისხლი-მეთქი! — არა მცალიაო!

— ეს რა პასუხია ვაჟკაცისა — რაისა გამო-მეთქი?! საქვეყნო წიგნის გადაწერას ვეძალებიო!.. — რა დროს წიგნია?! და ამ წიგნის დრო ყოველთვის არისო! მეც გვიან შევიგნე, შენ კი ჯერაც შეუგნებელი ხარო! მონღოლობას კიდევ გავუძლებთ, სულ უმეფობასაც... მაგრამ ეროვნულ შეუგნებლობას კი ვეღარაო! — რა წიგნია-მეთქი? — მე განსწავლული აზნაური ვიყავი — ბიბლია მეგონა — ცოლშვილი ამომიწყვიტე და ახლა „დაბადე-

ბას“ ეფარები-მეთქი!? — განა ჩემი ნებითა და სურვილითაო... შენ ერთ მეფეს ექლესები და ემსახურები, მე — მეორესო... ქართველობა და მონღოლობა კი სულ სხვა — მესამე და მეოთხე ეროვნულ-ზნეობრივი საქმე ყოფილაო! მებრალებიო, მაგრამ შენ ამის გამგები ვეღარა ხარო, სხვა თაობა უნდა მოვიდესო!...

... აგრე რამ დაგაბრძენა-მეთქი!..

...და შენი წამებული ცოლის ნამზითევმაო... მეც, შენი არ იყოს, დიდად ცოდვილი ვარო... გადაწერა!ı გავასრულებ და მერმე შენი წერა გახლავაროო! უპრიანიაო! — თუ ვეღარ გაგასრულებინე-მეთქი!? — ხელნაწერზე შიშველი დაშნა დავუდე... — მაშინ ქართველ ღმერთის წინაშე მიუტევებელ ცოდვას ჩაიდენო. მერმე შენ დაჯექ და გაასრულეო! უნდა შემომფიცოო! — და დამიხარა, კისერი წარმომიჩინა... არა, მშიშარა არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ასეთი შემართება!?

ხელნაწერს თავფურცელი მოვუნახე და მივხვდი...

— გატყუებდა!? — შეშფოთებულად შესძახა წინამღვარმა.

— არა, მართლაც ჩემი დაღუპული მეუღლის ნამზითვი იყო, თაყას მიერ ჩემი ციხიდან გატაცებული!

— შენი მეუღლეც სამცხის გვართაგანი იყო? — ყრუდ იკითხა ბერმა.

— სამცხისა! — აღმოხდა და მუხლებზე დაეცა აღსარების მთქმელი.

გაიოზ ბერი უფრო შეშფოთდა:

— მოჰკალი? შურისგებამ გძლია!?

— არა, ვაცალე... ყოველ დღე დაშნას ·.ესავდი — ის კი წერდა, სულ წერდა... ჩაკრიჭინებულად, მაგრამ სხარტად... გასრულებას ნამდვილად ეშურებოდა... მერმე კითხვა დავიწყე. ვეღარ მოვშორდი...˙ სულ დამავიწყდა თავი და დაშნა! დავეწიე კიდევაც გადამწერს! სიჩქარისათვის — ვუკარნახებდი. მაგრამ შეცდომები მოუვიდა და ისევ დაშნას დავუწყე ლესვა! ახლა სნეულებამ დასძალა, მაგრამ არც უკლო შრომას, არც მე მანდო წერა, ვიდრე სათანადოდ არ გამომწურთნა... მერმე ჩანს, ვერ გაძლო, დამასწრო. თავადაც წაიწყმიდა სული და მეც წამწყმიდა!

— გაგეპარა!? — ცეცხლი მოიკიდა წინამძღვარმა.

— გამეპარა! წიგნის ბოლო მე — ერუშელს შემატოვა... უჩემოდ, ჩემივე დაშნით მოიკლა თავი!

წინამძღოლმა სანთელი აანთო და კარგა ხანს ილოც-იფიქრა... ერუშელი ისევე იდგა მუხლებზე. მისი გული შეფარულ აბჯართან ერთად ჟღერდა.

— მოინანიე... ამ სავანეში მოიპოვე სულის სიმშვიდე! შენს მძიმე ამბავს მეტს ნურც ვინმეს გაუზიარებ... სხვასაც ნუ ჰკითხავ დიდ-პატარას... ძმობაში მოსვლა ახლა დაუცადელი ლოცვითა და შრომით დაიმსახურე! აბჯარი დაიტოვე, დაშნა ტახტის კარზე შეანახვინე, შენი დარდისა და სხეულის თანაბარი წერაქვი გამოართვი... იმ საერო წიგნს კი სამონასტრო საცავში ვერ მივიღებ. მაგრამ არც გკიცხავ! კეთილ გზას ათასი უხილავი ჯაჭვი გააჩნია... შენს ნამზითევს თუ მის პირს, შენ თავად ეპატრონე... მე არც მინახავს, არცრაი მსმენია!

ბერ-წინამძღვარმა ერთიც გაიხედა გარეთ და გასძახა:

— წიორა მორჩილს მიხმეთ!

ქვაბიდან ქვაბში, უბან-უბან, გუთნის ღვედივით, წაღმა-უკუღმა ჩაგრეხილად ჩაჰყვა ჩუმი ძახილი.

— წიორავ! ირმების წიორავ! სამოძღვროში მოგიწოდებენ!

— მოვდივარ! — ახლა ბჭისგარეთიდან ამობრუნდა ჩუმი პასუხი.

მალე თავადაც მოჰყვა.

— ამბა ახალბერი წაიყვანე! მიძინების ქვაბტაძარი მოალოცვინე... ახლო-მახლოში დადგეს, მოთხაროს ქვაბი. აღთქმის მისაღებად შეემზადება! ჯერ შენი სამფარველო იყოს. პური და წყალი მიაწოდე, ეგეც შენსავით მარტოხელაა!

„ამბა კი არა ბუბაქარი“! — უნდა ეთქვა ცეცხლაქერა ერუშელს, მაგრამ მიხვდა, რომ ამიერით იგი მხოლოდ ამბა-ბერია და ამბა! — გაიოზ წინამძღვარს ეამბორა ხელზე და თავისი გუდა-ნაბადით წიორას გაჰყვა.

## ვეფხის ქვაბი

დაწაფებით ვუმზერ გარემოს... საქვაბეთის ყოველ ძგიდესთან, უნებლიეთ, შაშარივით ილესება თვალი და ალღო. ყველაფრის განჭვრეტას ლამობს. თუ გონება და გუმანისყური გიჭრის, აქ ყოველ ბზარში საგალობელს ამოიკითხავ, ხატოვან ხვითოს ჰპოვებ! და თუ გულსაც უწილადებ — ახალ სიცოცხლეს მისცემ!



ჰოი, გარეჯულავ — შემოქმედების, სიყვარულის, კვლავ აღდგენის უბერებელო ძალავ! ვიცი, სამი ხელი გაგაჩნია. ნაკლები არც შენ ახალჟამიერ ძეთათვის კმარა!

აქ ყოველი სიტყვა ნაწერაქვალ ქვასავით ქუხს და ხმიანობს, რამოდენიმე წახნაგიც თავად უჩნდება. წერასა და თხზვას, ბევრი რამე აქვს საერთო ქვის თლასთან, გამოყვანასთან... მათ შორის, ვგონებ, სათავეც!

პირველი „წიგნი“, რომელზედაც ასო დაიწერა, ალბათ ქვა იყო. პირველი კალამიც წვეტიანი ქვა იქნებოდა. ამიტომ ყოველ ქვის მკოდავს, მწერლის წინაპრად და ქვის სახლიკაცად ვრაცხ!

დავით-გარეჯში კი ყველაფერი ქვაკუთხურია, წინაპრულია და ვეებერ-

თელა, ჯერ ამოუკითხავ წიგნისდარად დევს, კაბადონგაშლილი ათასფურცელა!

. . . . . . . . . . . . . .

ტახტის კარისა და მიძინების ქვაბტაძრის შორის აიკვლია ადგილი ამბამ.

წინამძღვრის ქვაბიდან ისე გამოჰყვა წიორას, რომ არც მისთვის შეუხედია, არც სხვა ბერებისათვის.

მიძინების ტაძარში შესვლისას, კეფა მიარტყა საძრომს. შიგ რომ გაიმართა, თვალში, ყველაზე უფრო, კანკელის თავზე აღმართული ჯვარი მოხვდა. ერთი ისახა, მართლაცდა ამ ჯვრის ზომის პირჯვარი და გამობრუნდა. მიჯნის კლდეს მიადგა და მაშინვე წერაქვი შემოჰკრა... და ვიდრე კარგა არ შეწიაღდა, არც დაეთხოვა.

სულ გახვითქული და თვალ-წარბშემტვერილი გამოძვრა. წიორამ გამოსავალში პური და წყალი დაახვედრა. ამბამ ხმაამოუღებლად იხმია, წაიხემსა და ისევ კლდეში შეძვრა. უფრო აღმა ასჭრა და მოფართოება იწყო.

კვირის სწორს ქვაბი საკმაოდ მოზრდილზე იყო გამოღებული. წიორას მკაცრი ულუფა უკვე შიგ შეჰქონდა. მეცხრე დღეზე, პურსა და წყლის სურას კათხაც შეაყოლა და უკვე გამოყვანილ ქვის თახჩაზე დაუდო.

— ეს რაღა არის? — იკითხა ამბამ, როდესაც ჩაუხედავად და სულმოუთქმელად გამოსცალა, პირიც დაიგემრიელა, — სამარხვო არაფერი შემაპარო!

— ირმის რძე იყო... წმიდა ირმებია, გარეჯული და რა ვიც… — შეჭოჭმანდა ჭაბუკი.

— ირმებიო!? — აზრის მიღმა იკითხა ამბამ, თავისი გუდიდან დიდი ხელნაწერი ამოიღო, ქვის თახჩაზე გადაშალა.

ჩამობნელებულ ქვაბში თითქოს ერთბაშად იმატა შუქმა. ამბა მიუჯდა, ფურცლა და ფურცლა, თან პური გაღეჭა, წყალიც დააყოლა და დაბოხებულად ჩაიკითხა:

„მაგრა განბჭე, რა მიქნია სამსახური ტყვესა ტყვისად,
გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი, ძებნად წყლისად“.

ჭაბუკს გარეჯულა კლდის ბუბუნად მოესმა ლექსი, ელვად დაუარა, ფეხი წარსდგა და წიგნს უფრო ახლო დაჰხედა. მაგრამ მისი მხედველობისათვის ქვაბში მაინც ბნელოდა. თუმცა ამ ბოლო დროს აღარც ირმის რძე აკლდა, აღარც მრავალძარღვა. ზოგი სხვა რამეც უმკურნალა გაიოზ ბერმა და თვალების ანთება დაუცხრო.

— ვისია? — დაბნეულად შეეკითხა და წიგნს ხელი შეახო.

— ვისია და ვეფხისა! თუ კითხვა იცი, — მთელ ქვეყნად არის გადაშლილი, თუ არა და მაინც ბრმა ყოფილხარ და ხელს ნუ ახლებ!

ამბამ კიდევ ჩაფურცლა, აქაიქ ჩაიდუდუნა და კვლავ წერაქვს მიუბრუნდა. ქვაბის ჭერის ამაღლება, კუთხეების გამოყვანა იწყო. ახლა შიგ თავისუფლად მიმოდიოდა და მუშაობა უფრო მარჯვედ წარიმართა.

წიორა კი მონუსხულივით უტრიალებდა წიგნს, და გული საგულეს აღარ უდგებოდა. თითქოს წიგნიც ეცნობოდა, მისი სადა ყდაც, კაბადონებიც... სინგურთაურებიც. ახლა უფრო კარგად არკვევს სტრიქონებსაც, ასოებსაც. ვერ კითხულობს, თორემ არკვევს. და ვგონებ, ხელიც ეცნობა... ხელი გადამწერისა! რაღაც მშობლიური იერი და სურნელი ასდის ყველაფერს! მაგრამ საიდან სადა!? შეუძლებელია, მაგრამ ეს შავი გედის ფრთა-კალამი? უტყუარი ნიშანია, უტყუარი! თუ იქნებ თვალი ატყუებს?

ყმაწვილს კანკალი აუვარდა.

— მამა!?..

ამბამ ყური მოჰკრა, მოჰხედა ზურგით მდგარს.

— რის მამაო, რა მამაო. ერთი უბირი კლდის მღრღნელიღა ვარ. ვერც შურისძიების მიმგები, ვერც ცოდვების მომნანიები! როგორიც გაბოროტებული ვიყავი, ისეთივე ვარ! ასეთს ვინ მაღირსებს ბერად აღკვეცასა? ან კი ბერობაში რა მინდა, უბირობაში ყოფნა იქნებ მირჩევნია!? — თავისთავს შემოსწყრა ამბა და წერაქვი გაშმაგებით კლდეს დაუშინა.

ჭაბუკი სულ დაიბნა და გარეთ გავიდა, მაგრამ ამის შემდეგ, თავდაუღწევლად იზიდავდა წიგნი იგი, „ქვეყნად გადაშლილი“, თავიდანვე მშობლიური გრძნობა-მოგონებით აღსავსე.

ამბამ კი ზედა სარკმელიც გაუჭრა ქვაბს. ახლა შიგ უფრო მეტი სინათლეც ჩადგა და გადაშლილ წიგნის თავთით მუდამ სანთელიც ენთო.

როგორღაც თავისთავად მოხდა, რომ ჯერ მოუმთავრებელ მღვიმეს ვეფხის ქვაბი შეერქვა.

წიორას აბა რა გამოეპარებოდა, თავისი უკვე განკურნებული თვალებით, არა ერთგზის უნახავს, როგორი ფარვითა და კრძალვით შედიოდნენ ბერ-მამანი ვეფხის ქვაბში. ერთმანეთს აცლიდნენ, თვალს არიდებდნენ, შორიახლოს თავის რიგს ელოდნენ...

ჯერ ჯვარს ისახავდნენ უხატო ქვაბში, მერმე სასოებით ხელს შეახებდნენ წიგნს. შრიალიც სმენია ჯადოქრულ ფურცლებისა. ყველას თავისი კაკბის ფრთა, ბრტყელპატრუქიანი სანთელი ან ჯვრის თასმა ჰქონდა სანიშნოდ ფურცლებშუა დატანებული... შავი გედის ფრთა კი ერთადერთი იყო! ვერ იქნა, ვერ დაიმარტოხელა რომ კარგად, მზის სინათლეზე გაესინჯა.

ამბა შორეულ კუთხეში სარეცელებს ჰკვეთავდა, მოსული კი თავისთვის ჩაჰყურებდა ხელნაწერს. ზოგი ჩუმად, სანთელმინათებით კითხულობდა, ზოგი ნახევარი ხმით — ლოცვასავით, ჩამღერებით.

წიორას ერთობლივ კლდისა და ჩანგის ხმად გამოესმოდა ლექსი და თითქოს შიგნიდანაც, რაღაც დიდი ხმარხეული დაეძრებოდა, სმენად აქცევდა, თვალებს კი სულაც ახუჭვინებდა.

ზოგს ალბათ თვალთ აღარ უჩანდა. კლდეში აჭრილ სარკმელთან მოსწევდა თავის საკითხავს. მაშინ ნათლის სვეტი ამ საოცარ „ქმნილთა ქმნილებას“ დაადგებოდა, რომელიც არც ხატი იყო და სანთელ-საკმელის უფაქიზესი შვება-სურნელი ასდიოდა, არც აბჯარი — და გულს უმაგრებდა ყველა მოსულს, არცა ზედაშე — და ყველას აღფრთოვანებდა, დაკუტულ ბერ-სალოსებსაც აღაგზნებდა და აქ თავჩახრილად და თვალშრეტილად მოსულნი, უკან უკვე ამაყად და თვალბრიალად მიაბიჯებდნენ. ახლა უსიტყვოდ, მაგრამ სრულგასაგებად სხვებსაც უთხრობდნენ „წიგნის სასწაულის“, ზიარებისა და ვეფხის ქვაბის ადგილსამყოფელს.

ჭაბუკი ისე მიეჩვია ამას, რომ ბერ-მამანი სხვაგანაც რომ ენახა სადმე, თითქმის უმცდარად ხვდებოდა — ეს ბერი „ნავეფხარი“ იყო თუ არა!

ამ ხელნაწერის არსებობა თანდათან ყველამ გაიგო დავით-გარეჯში და მის ირგვლივ უდაბნოებში. ყველამ იცოდა, მაგრამ საჯაროდ არ „უმხელდნენ“ ურთიერთს და იყო ასე — ფარულად და გამეფებულად! არც ვინ იწერდა — ეს უკვე წაწყმენდას ნიშნავდა. მაგრამ წაკითხვით ყველა კითხულობდა, იხიბლებოდა და მერმე ხშირად ლოცვის დროს მამაო ჩვენოში თუ საგალობლებში „ვეფხის“ ტაეპს ურევდა და ურთიერთმალვით ღიმილად ჩაურბენდა წმიდა მამებს.

ამბა „ცეცხლაბერი“ კი სულ ადიდებდა და აპირკეთებდა ვეფხის ქვაბს, თან ცოდვებს გაბუსუნებულად ინანიებდა. წიგნზე უფრო ახლოს კი არვის იკარებდა, გარდა „ირმების მწყემსისა“, იმისგანაც მხოლოდ საჭმელს იღებდა, თორემ ხეირიანად სახელიც კი არ უკითხავს.

## ჭიანჭველები

წიორას ცხოვრებაში ახალი დიდი გარდატეხა მოხდა. სულ უბრალო შემთხვევამ კი გამოიწვია — ჭიანჭველები დაინახა! ჩვეულებრივი, წვრილი, ბაციფერა ჭიანჭველები.

ერთი მოზრდილი და ძველთა-ძველი ბეჭის ძვალი ნახა გველეშაპის ხევში. ქაღალდივით თეთრი იყო და გაწმენდილი. ხელში აიღო. სწორედ მის ქვეშ ჭიანჭველებს ჰქონოდათ ბუდე. აირივნენ. ზოგი ბეჭზედაც შერჩა. ესენი წვრილად ნაწერ ასოებად ამოეხატა ანბანმოწყურებულს. ბუდის ჭიანჭველებმა კი ერთ პწკარზე გაწკაპულად იწყეს სხვაგან გადასვლა.

ეს პირველი იყო წიორას ცხოვრებაში. თვალები რომ გამოუსაღდა, ამას კი გრძნობდა, მაგრამ ჭიანჭველების დანახვამ საოცარი შინაგანი ძალა და რწმენა შეჰმატა, ახლა ანბანსაც სრულკეთილად დაინახავდა... პირველყოვლისა, ბეჭის ძვალი წამოიღო და ირგვლივ ყოველ წვრილმანს დაუწყო ჩაძიებული ჭვრეტა... ჰოი, რამდენი რამე აღმოაჩინა! ათასგვარი მუმლი და ქინქლა, ფუმფლათა მთელი სამყარო... ჭიამაიებს ხალები შეუნიშნა ფრთებზე. ჯოჯოებს ხორკლები და ორკაპა ენა... ახლა ბნელაშიც სცადა თვალი. ღრმა ლაკვაში, მზეწვიას ბარტყი ჩავარდნოდა. უმალ თოკჩაბმული კათხა ჩაუშვა და გადაარჩინა. მეტი ვეღარც მოითმინა. დროც იყო, საჭმელი წაუღო და ვეფხის ქვაბს მიაკითხა.

ამბას ქვაბის სიღრმეში დიდი ნიში გამოჰყავდა.

— სამხარი მოგართვი...

— მომართვი, თორემ ირმის ბეჭი არ იყოს! — დაღლილ-აღრენილად და თავგაბეზრებულად შემოუტია ამბამ.

ჭაბუკს არც მიუქცევია ყურადღება. ფიქრარეულად უპასუხა:

— ირმის რძე კია დამატებით... ენამ გიყივლა — ბეჭიც არის... ცოცხ-

ლებს კი თვალის ჩინივით ვუვლი! — ახლა წიგნს გადაჰხედა, აქაც ასოები ჭიანჭველებივით ჩამწკრივებულად, სტრიქონ-სტრიქონ, თითქოს ბუდიდან ბუდეში გადადიოდნენ!

— ახლა შენი სამადლოცა და დასაცინავიც გავხდი! — ძვალი დაინახა ამბამ, — ამ წერაქვზე არ წამომეგო!

მაგრამ ჭაბუკს დღეს თვალშიშიანობა გაუქრა და რაღას შეეპუებოდა. მიეტანა, წერაქვზე ხელი შეჰბედა.

—აბა, დაპურდი. წერაქვი კი აქეთ მომე. ეს ქვაბიცა და ეს წიგნიც განა მარტო შენია! აქ ძმობაა ყველაფერში!

ამბა სახტად დარჩა. შეუბღვირა, წერაქვს კი ხელი უშვა:

— შენ თავს შემომაკლავ, ბიჭო! — მერმე თვალი დაატანა წიორას მუშაობას, — განიდან შემოჰკარ, განიდან! კლდეში ვართ, განა გარეთ! წიაღური-მეთქი!

ნაწიბურევი ყბით ერთ ლანდზე გადაყლაპა საჭმელ-სასმელი და ისე დასჭყივლა წიორას, რომ ქვაბმა ბანი მისცა.

— შენ კითხვა არ იცი ჯერა და წერაქვს ეპოტინები? — არც ეს აკმარა, ვეება მუშტი ხელნაწერს დაჰკრა, — მთელი გარეჯის ბერობა ფეხაკრეფით მოდის და ჩურჩულით კითხულობს! შენ ერთად-ერთი არა ბერი ხარ, არც ცოდვილი და წიგნს რომ იჩემებ, ირმის კიკოს ხომ არ უნდა წააკითხო?

წიორამ წერაქვი გააგდო, წიგნთან შუქზე წამოდგა...

— ვერ ვხედავდი. ველარ მასწავლა მამამ! ახლა ვხედავ და ვნახოთ! ყველგან ანბანი მელანდება! ჭიანჭველებივით მესევიან!..

ამბამ უეცრად შეაჩერა:

— მოიცა... მოიცა! ვინ იყო მამაშენი? სადაური ხარ?

წიორა გაჩერდა, მაგრამ გაჩუმდა კიდევაც. მოაგონდა წინამძღვრის მკაცრი აკრძალვა — „მამაშენი არ გაამხილო!“

— წიორა ვარ, მორჩილი და მორჩა!

ჭაბუკი სხივში იდგა. მხარვიწრო და მართლაც კისერწიორა. ამბა უმზერდა და თითქოს პირველად ჰხედავდა. შვილი საოცრად ჰგავდა მამას. ამბამ იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი საფეთქელს, მერმე უკან დაიძრა, ახლა კიდურებში გაჰკრა...

— არ თქვა! — თითქმის უხმოდ აღმოხდა და წიგნს ეცა, ფურცლა, რჩევით იკითხა, მერმე მიყოლებით ცხვირში იბუბუნა, ვიდრე გული არ დაიცხრო. ბოლოს ისევ წიორას მიუბრუნდა, — მე ვინა ვარ — ეს იცი მაინც?

— ამბა და მორჩა! — ხელში ბეჭის ძვალი მიაჩეჩა ბიჭმა და კისერი მუდარით წაუგრძელა. ამბამ ავად გამოსტაცა:

— ბედი გქონია და მე რას დაგაკლებ? წერა-კითხვა რომ არ იცი, ისეც მკვდარი ხარ! მერმე მაინც მოგკლავ! აქ დაეგდე, ამ შენი ბედის წიგნთან! — ვეება, ქერა ბუსუსებიანი ხელი სტაცა და დასვა, მერმე შავი გედის ფრთაკალამი აიღო, კბილზე შეისწორა, ახლა სამელნე გამოაჩინა, კალამი ამოაწო და ბეჭზე მხედრული ასოები ჩამოუწერა, — აჰა, წერე და შალე, იზეპირე! ირმის ბეჭით დაიწყე და ვეფხის წიგნზე გადადი! მოკვლით კი მაინც მოგკლავ!

მერმე ისევ წერაქვს დაავლო ხელი და კლდეს ახალი ძალით შეებრძოლა.

— ვხედავ! დიდებულად ვხედავ! — აღმოხდა წიორას და თვალები ცრემლმა დაუნისლა, ამოიწმინდა და ისევ ყოველი ასო მკაფიოდ გაარჩია, მნიშვნელობაც თითქმის ყოველისა უკვე ახსოვდა. ხუთიოდ ასო შეეკითხა დამატებით. მერმე წერა და იმეორა, ვიდრე სულ არ აავსო ბეჭი. ახლა ლაკვასთან გაიქცა, წყალი ამოიღო და ბეჭს ასხურა, ქვიშით გაუხეხა ცალი მხარე, ასოები გადმოიწერა, თან ხმამაღლა იმეორა. ახლა მეორე მხარე ხეხა და წერა, ვიდრე უმცდარად არ დაიზეპირა, ბოლოს სულ წაშალა და პირველ სიტყვად „ჭიანჭველა“ დასწერა, მერმე — „მზეწვია“, „ირემი“ და „გარეჯულა“. ახლა კი ამაყად წავიდა ვეფხის ქვაბში.

წიორას, მამის წერილისა არ იყოს, „სწორედ საოცარი მეხსიერება“ აღმოაჩნდა. ზეპირად იმახსოვრებდა ერთხელ წაკითხულს. კითხვაშიაც მალევე ჩამარცვლა და აერთა სიტყვანი. წიგნის ირგვლივ თავისებურად შემეგობრდნენ მოწაფე და მასწავლებელი, მაგრამ ხშირად დაობდნენ კიდევაც. ზეპირად ნათქვამში, თითქმის ყოველთვის, მოწაფე სჯობდა. ამბა წყრებოდა და ისევ მოკვლის მუქარით წამოეტოტებოდა, მაგრამ მოწაფე წიგნს იყენებდა მოწმედ და მსაჯულად... და ისევ ცოცხალი რჩებოდა.

ერთხელ წინამძღვარი წააწყდა მათ [illegible] კითხვას. მისი შესვლა ქვაბში არც კი გაუგიათ ვეფხის წიგნის მოჩალიჩეთ. წინამძღვარს აღარც უმჟღავნებია თავისი აქ ყოფნა... „უკეთუ ის ნაკრძალი წიგნი ასე „გზად და ხიდად“ გადგა შურისმაძიებელ გვართა შორის, დაე, მე ხელს არ ვუშლი!“ — ხელები ერთმანეთს შეაშმუშნა და გარეთ გავიდა, — „დიდება, შენდა ღმერთო! არც ხელს ვუმართავ, მაგრამ არც ვებრძვი! ხანდახან უდიდესი სიბრძნეა თვალის დახუჭვა!“

## სამხედა ღვთაება

იქ ქვევით, სუროს აბჯარში ჩამჯდარი მრგვალი კოშკი, ოდესღაც სამთაგანად იყო ნაზრახი: წიგნსაცავად, იარაღსაცავად, გვირგვინოსან ბერთა სადგომად! გარეჯულავ, ესეც შენი სულის ნაერთი ნიშატია!

ახლა ეს „სამთაგანა“ — ტახტის კარი, მრავალჯერ გადაკეთებულია, აღდგენილი, ხელახლად ნაშენი. მაგრამ საქართველოში მიჩვენეთ ისეთი ციხე ან ტაძარი, რომელსაც ერთხელ ჰყოფნიდეს აღშენება!

...და მაინც შენდებოდა, გარეჯულავ, შენი ქვეყანა! კვლავაც შენდება!

. . . . . . . . . . . . . . .

მონღოლები კი მძვინვარებდნენ. გარეჯს ირგვლივ ქვეყანაში აღარც „გზა“ იყო, აღარც „ხიდი“ აუკლებელი. ურდოები ხან ერთ მხარეს ანადგურებდნენ, ხან მეორეს. ხან ერთმანეთს ებრძოდნენ და მათი ურთიერთშუღლი ქართველობის კისერზე გადადიოდა.

ახლა ბერქა-ყაენი დაიძრა. სათვალავი აღარ ჰქონდა ლაშქართა და ხარგათა დენას. მტკვრის მარცხენა ნაპირი, შირვანი და ალაზანი ამოვლო, ამოტკეპნა, მოასირსვალა. იორის ზეგანს მოადგა. გარეჯის უდაბნოების ყოფნა-არყოფნის დღეები დადგა. იძირებოდა ოქროს ხანის უკანასკნელი კუნძული.

ხელშემორჩენილი ხატები და წიგნები გადამალეს. ხელი არ ახლეს მხოლოდ მიძინების ტაძარს. ერთი ღია სალოცავი მაინც დაიტოვეს. ან მსხვერპლად, ან სასწაულად. გაიოზ წინამძღვარი თავად არჩევდა სამალავსაც და დასამალავსაც.

ამბამ იფიქრა, იფიქრა და „ვეფხისტყაოსანიც“ მიიტანა, მაგრამ წინამძღვარმა ტახტის კარიდანვე გამოაბრუნა.

— მე არ ვიცი, შენ რა მოგაქვს, მაგრამ ისეთი რამე არა გქონდეს, ცოდვილსა და ჯერ აღუკვეცელს, რომ დაბადებასთან და ხატებთან არ ეგებოდეს მისი მალვა! ერის წინაშე ვდუმვარ, ღვთის წინაშე კი არ შემიძლია! მით უფრო ახლა — განკითხვის ჟამსა!

— მე თავად ვეპატრონები! ჩემი დაშნა დამიბრუნეთ! შუბიც მომეცით!

— მოგცემ, ოღონდ განუკითხავი ჟლეტა თუ დაგვიწყეს! ისე ხელი არ გამოიღო! იქნებ გადავრჩეთ და ყველაფერი გადავარჩინოთ!?

— ამაოა, მამაო! — წაიდუდუნა ამბამ, შუბი და დაშნა გამოართვა...

— წიორა კი უნდა გავხიზნო მაინც!..

— გვიანია! — ყრუდ აღმოხდა ამბას და მოძღვარი ცისკენ აახედა.

კაკბების გუნდები, გარეჯის თავზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადადიოდნენ.

ბერი შეშფოთდა, აჩქარდა, აამოქმედა ყველა... მაგრამ მალე გუნდებმა უკან იწყეს გადმოფრენა და ჰაერბორიალი.

ყველამ ინიშნა, მტერი აურაცხელი, არამცთუ ახლოა და მოდის, არამედ უკვე ირგვლივ არის და გზაც მოჭრილია.

წინამძღვარი უეცრად დაცხრა, დადინჯდა, მოწამებრივი ფერი იკრა და სამგზის აკურთხა ყველა. სანიშნეზე აგზავნა ბერები, მაგრამ ნიშნის კვამლის აშვება აკრძალა. ასევე სდუმდნენ და ნიშანს არ იძლეოდნენ ბერთუბანი, დოდოს რქა, ნათლისმცემელი, განსაშორისი.

მხოლოდ ჩიჩხიტურის მაღალ კოშკზე იდგა დიდი კვამლის სვეტი. მას, შორიდანვე ისედაც შესამჩნევს, მეტი გზა აღარ ჰქონდა და თავისკენ იზიდავდა მტერს. დანარჩენთ კი არამც არ უნდა ემჟღავნებინათ თავი. მხოლოდ ამაში იყო რომელიმე სავანის გადარჩენის იმედი.

მალევე ირმის რემა მოიჭრა. პირდაპირ ლავრაში შემოვარდნენ დამფრთხალნი. ზანზალაკების ხმით აავსეს განაბული ქვაბები.

— წიორავ! გადაიყვანე, ზანზალაკები შეხსენი და გაუშვი... იქნებ ესენი მაინც გადარჩნენ!

გახევებულმა ჭაბუკმა გადაიყვანა, ბჭეს გააცილა, ზანზალაკები შეხსნა, თვალები დაუკოცნა ოთხთა და შეუძახა.

როდესაც მობრუნდა — ბერები დავითის ცრემლის წყაროსთან მოგროვილიყვნენ. ასე ყველა ერთად შემოსილად და შემშვენებულად გარეჯელნი არც ენახა წიორას. უეცრად გაცოცხლებული, ქვაბებიდან გამოსული წმინდანების კედელხატულები ეგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აქვე, დიდ ლაკვასთან, ურთიერთს წყალს უსხამდნენ. ხელფეხს იბანდნენ. ცრემლის წყაროსაკენ საზიარებლად მიდიოდნენ.

იქ, მაღლა, ჩარჩოდაკარგულ ხატივით გაიოზ-წინამძღვარი იდგა და ღაღადებდა. დილის მზეს კი უკვე ბურის თუ მტვერის კთრიანტელი სწვდებოდა.

წიორა გაოგნებული უმზერდა ერთიან სამზადისს და ადგილიდან არ იძროდა. უეცრად ვიღაცამ სტაცა ხელი და გაიყოლა, ამბა იყო, სახეზე თითქოს ცეცხლი ეკიდა. ვეფხის ქვაბში შეიყვანა. წიგნი და წერაქვი აიტაცა. მიძინების ქვაბტაძარში ჩაიტანა. წიორამ კართან მიყუდებული შუბი და დაშნა შენიშნა.



აქ სულ სხვა განწყობილება და ლტოლვა სუფევდა.

დიდ კანკელს უკან, ყრუ თახჩაში განიზრახა წიგნის ჩამალვა და ამოშენება. მაგრამ ვიდრე ქვებს მოზიდავდა, გარედან ყოველმხრივი დგანდგარი და ველური ყიჟინი შემოკრთა.

გარეთ გავარდნენ. ზევიდან, ქვევიდან, განიდან მტერი ნიაღვარივით დიოდა. თითქოს კლდეებიდან და ხაროებიდან ჩნდებოდნენ იარაღალმართული ქვეითნი და ცხენოსნები. გაღმა უბანში უკვე რბევა ბორიალობდა. ცრემლის წყაროს მხრიდან გალობა და ყიჟინი ერთად ჩამოდიოდა. ქვედა ეზოში უკვე კვამლად იბოლქვებოდა ბზისა და ზეთისხილის ნაზარდი. ტახტის კარზე უკვე თავგაჩეხილი ბერები ეყარნენ...

ამბამ ქვაბ-ტაძარში შემოაგდო წიორა, ტაძრის კარს ურდული და რაზა დაუგდო, ქვე?ითაც მიჯორგა.

მაგრამ ძველმებრძოლმა იაზრა, ყველაფერი ამაოაო. არც არის არსაით საშველი და გასაქანი. მონღოლები მცირე თარეშებად კი არ დადიოდნენ, არამედ დიოდნენ უანგარიშო სპათა სიმრავლით.

გარედან საზარელი ხმა მოდიოდა. მერმე ძლიერად შემოჰკრეს ტაძრის კარს. ვეფხივით დაბორიალდა შეაბჯრული ამბა, დაშნა აიტაცა... უკან მოიხედა. კანკელის ძირში ზედ მიკრულ წიორას გაჰკრა აკვესებული თვალი...

— მადლია, ერთბაშად მოვკლა... მეც მოვითავო! — მაგრამ წიორას ხელში ვეფხის წიგნი დაუნახა და დადრკა. თვალი არიდა, ზევით აიხედა... მაგრამ ზევითაც, კანკელის თავზე, ადამიანის სიმაღლე ჯვარზე, ჯვარცმულია ცოცხალივით მიხატული და იგი საოცრად ჰგავს წიორას. შებინდულ შუქში ერთნაირად ჩანს ორთა წამოზრდილი კაუჭა ღინღლი, წახრილად ჩამოკიდებული კისერი, მოგრძო თმა. მაგრამ ერთი შიშველია და ხელებგაშლილი, მეორე კი ჩაცმული და ხელშიაც ვეფხის წიგნი აქვს!

მსგავსებამ ულოდნელი აზრი წარმოშვა. მაგრამ ახლა რაღაც მძიმე შემოჰკრეს კარს და ჩარჩომ დრეკა იწყო. ფიქრის დრო აღარ იყო.

— ტანთ გაიხადე, სულ გაშიშვლდი! — დახშული ხავილით შესძახა ამბამ.

— მკლავ მაინც?!

— შენ ჩემგა. ისეც გეკუთვნის სიკვდილი. მაგრამ ახლა ჩქარა! ესენი კი მოგკლავენ! ამასაც დასწვავენ! აბა რაღა ვიღონო!?

წიორამ ხელად გაიხადა სამოსი. გარედან უკვე კარს გრიალით ტეხდნენ.

— ადი მალე, ჯვარს გაეკარი! წიგნიც! თუ გადარჩი, მერმე, შენ იცი! ეპატრონე! — წიორა აახტუნა, თავად კართან მიიჭრა, მხარით შეუდგა და შემობრუნდა...

ჯვარზე თითქოს იგივე ქრისტე იყო გაკრული, ოდნავ ახალგაზრდა. ცოცხლისა და მიხატულის ერთობაში — სამხელა! მესამეში დიდი წიგნი ეპყრო და წელს უფარავდა... მხოლოდ ეკლის გვირგვინი აკლდა ახალ ქრისტეს!

ამბამ შუბს სტაცა ხელი, სარკმლიდან ჭაღივით ჩამოკიდებული ეკალი მოიწოდინა, ჩამოჭრა, დააგორგლა და ზევით აუგდო...

— ესეც გვირგვინი, სამხელავ! თვალები დახუჭე ახლა, თავი უფრო ჩაჰკიდე! ილოცე, მამაო ჩვენო თქვი! სულ ჩუმად იმეორე, ყველა ლოცვა! ყველაფერი, რაც ზეპირად გახსოვს!

— შენც ამოდი, შენც! — ჩურჩულებდა წიორა და საფეთქლებში გვირგვინის ეკლებს გრძნობდა.

— ეჰ, შენცა! ყველას თავისი ჯვარი აქვს!

ზედაც კარი გადმოეყუდა და ტაძარში მონღოლები შემოვარდნენ.

ამბას ქვაბის სიბნელე დაეხმარა, ვიდრე შემოსულები რაიმეს გაარჩევდნენ, ცეცხლაბერმა ერთი ველური ყიჟინი ამოუშვა და მეწინავეს დაშნა დაჰკრა, მეორეს, უკან შემობრუნებულს, გვერდში უწვდინა... კარს იქით გადაჰყარა, მაგრამ ახლა დიდი, მძიმე ფარი აჩვედრეს, დაშნა ჩაუსხლიტეს და ხელიდან გააგდებინეს. ახლა შუბი იმარჯვა ამბამ, ქვევიდან ზედ წამოაგო ფაროსანი, მაგრამ ხელი უტაცეს და უკან ვეღარ დააძრო შუბი.

— ეჰეი, ჩემო ჯვარო და წერაქვო! — ყიჟინ-ყიჟინით შემობრუნდა, წერაქვს სწვდა, „სამხელასაც“ თვალი უწვდინა... ახალი ქრისტე თვალდაკაკლულად და ტანაკანკალებულად უმზერდა ამბას...

ტაძრის ბინდ-ბუნდში ახლა ხმლოსნები შემოდიოდნენ. ამბა წერაქვითა და ყიჟინით მიეტანა, თან გულიდან ამოსული ნართაული თქმა წამოაბა. ხმლებისა და წერაქვის ჩახაჩუხში არეული და ჩამარცვლული...

— ჰოიდა, ჩემო ჯვარო და წერაქვო, ჰოიდა..
მოვიდა დღე აღსასრულისაო, ჰოიდა...
არ შეშინდე, სამხელა გარეჯულავ, ჰოიდა...

თვალი დახუჭე და ილოცეო, ჰოიდა...
თუ არ გიშველა — ვეფხისა თქვიო, ჰოიდა...
მე ვარ ბუბაქარ ერუშელიო, ჰოიდა...
წადი და ეს წიგნი იხსენიო, ჰოიდა...
მე კი კვლავ გარეჯულ კლდეს ვგოდავო, ჰოიდა...

არა, ლოცვა ვერ უშველის წიორას, ყველა ლოცვა დაავიწყდა ჯვარზე გაკრულს. მაგრამ ხელში შეჯავშნული ვეფხის წიგნი ხომ აქვს და ახსოვს კიდევაც! ბრძნული დასაწყისის შემდეგ, ჯერ როსტევანის ამბავია... სულ ზეპირად ახსოვს. მერმეც — ნადირობისა! სულ შაირ-შაირ სთვლის. ქვევით ბრძოლის ხმაცა და ამბას ლექსიც ესმის. ამბა — ბუბაქარი ყოფილა! ერუშელი! აკი იცნო კიდევაც შავი გედის ფრთა-კალამი! მაგრამ ვეფხის წიგნს ამბობს ზეპირად — და ყველა სხვა ფიქრი გაჰქრა! ვგონებ შიშიც! კანკალიც აღიკვეთა! ქვევით კი დიდი ხმაურია, ქვის ჭერი აძლევს ბანს! საფეთქლებზე ეკლის გვირგვინი აწევს და ამაგრებს. ხერხემალში თითქოს ჯვარი აქვს გაყრილი და ისიც შველის... არა, არ გაახელს თვალებს, არ გაიხედავს! მერმე ტარიელის ამბავი იწყება! მერმე მისი ძებნისა!.. რაც არ ახსოვს — გადაახტება, მაგრამ ზეპირთქმას არ შეწყვეტს. რომ შეწყვიტოს მერმე ყველაფერი გათავებულია! გამომჟღავნდება, რომ იგი მხოლოდ წიორაა, უბრალო მორჩილი, ირმების მწყემსი და არა ქრისტე, ჯერ ცოცხალი და არა უკვე ჯვარცმული! ლოცვის დამვიწყებელი, მაგრამ ვეფხის წიგნის ზეპირად მთქმელი!

ამბამ კი მოიგერია ხმლები, მაგრამ სიკვდილის ჟამი დგებოდა. არც ამას შიშობდა მებრძოლი, შიგ ტაძარში ეკრძალებოდა სიკვდილს. მერმე წიორას ვეღარაფერი უშველიდა, უნებურად ამჟღავნებდა თავს. ზედაც ისარი სტყორცნეს გარედან, ყბაში აძგერეს. ცეცხლა-ქერა წვერი ახლა წითლად შეელება. ისარი ამოიგლიჯა და ამეტყველდა:

— ირმის გმირო და ვეფხის წიგნოო, ჰოიდა...
თავი დასდეთ და ერს უსაშველეთო, ჰოიდა...
სამი ხელითა და უკვდავ სულითა, ჰოიდა...
უბირ მებრძოლსაც მახსენებდეთო, ჰოიდა...

წერაქვი აღმართა და ჯგროთ შემოსულთ მიუხტა. ხმლები კი აიცდინა, მაგრამ მონღოლურ შუბზე წამოეგო, აღარ შეეპუა და შუბის პატრონთან ერთად გარეთ გაიტანა... იქ, ზღურბლის მიღმა დაეცა.

წიორას არც გაუგია მისი დაღუპვა.

ტაძარში უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა, მერმე ვილაცები შემოვიდნენ. ხორხისებრი ხმა ეუცხოვა ჯვარზე გაკრულს, მაგრამ აბა სად ეცალა წიორას. ავთანდილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სრულ ძებნაშია. ქვეშეცნეულად კი გრძნობს, რომ უცხონი არიან ქვევით.

ხატების ჩხრიალიც ისმის. ალბათ ძარცვავენ!? დახუჭული თვალებით, თურმე რამდენი რამის დანახვა შეიძლება. არც ლექსის ზეპირად თქმა არის ძნელი, ძნელი ხელის, ამდენ ხანს, გაშეშებულად, ჯვრის გასწვრივ გაჩერება ყოფილა!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა... ისევ ხმაური... ტალღა-ტალღა დაძრწიან, მაგრამ ზევით არავინ არ აქცევს ყურადღებას, შიშველ ქრისტეს, რა ბისონი უნდა გაჰხადონ?! რა თვალ-მარგალიტები უნდა გააცალონ!?

მაგრამ აი, უფრო დინჯად შემოვიდნენ. დგანან. ესენი არ დაძრწიან, არ სძარცვავენ ხატებს. ჩანს, ათვალიერებენ, ეცნობიან ქართველთ ღმერთებს და ხელოვნებას. ესენი თუ საჭიროა, სულის დასაყრდენს უსპობენ ერს!

აი ბაასიც ესმის ჯვარზე გაკრულს. მაგრამ არ უსმენს, რუსთაველს უსმენს მხოლოდ, შოთას... იგი არა მარტო სიტყვის ჯავარია, არამედ სულიერი ფარი ქართველობისა! ამბამ რომ დაუბარა... თვით ამბა-ბუბაქარზე კი ფიქრს გაურბის!

— უჰ ღოლი გურჯი ალაჰ!

შოთას ლექსში გაცრილად ესმის, ამიტომ არ აძრწუნებს ეს საუბარი. თითქოს არც ეხება მას! ამდენი კი ესმის — „სამხელა ქართველი ღვთაება!“.... მათ რა იციან, რომ „სამხელას“ რომ უპყრია „მესამე“ ხელში, სწორედ ის არის ქართველთა სულიერი მრწამსის ღვთაება!

უეცრად ისარმა დაიწივლა, წიორამ იგრძნო — წიგნს მოხვდა ისარი. შიგ შეერჭო, ხელიც გაუკაწრა ქრისტეს მაგიერს. წიგნმა იხსნა, როგორც აბჯარმა, თორემ გულ-მკერდს შეუნგრევდა. ახლა კი არც შერხეულა სამხელა, მხოლოდ თანმიმდევრობა დაჰკარგა ლექსთ თქმაში, ისრის გეზი მიიღო:

— „გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესით ლა ჩანს ნასამალი!“

მერმე ესეც გაუწყდა და უეცრად ნესტან-დარეჯანის წერილზე გადავიდა, მერმე ქაჯეთის ციხის ომზე.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. აღარც გარედან მოისმოდა ხმა რამ. მაგრამ, ვიდრე ქაჯეთის ციხე არ აიღო, ვერ გაჰბედა შეჩერება, თვალის გახელა.

ბოლოს სარკმლიდან ირიბი ჩრდილი მოხვდა დახუჭულ თვალებს. მზეწვია შემოფრინდა. ეს იყო მონღოლურ წარღვნის ჩავლის ნიშანი.

წიორას თავბრუ ეხვევოდა. ფეხებსა და ცალ ხელში თითქოს მართლა ჰქონდა ლურსმანი გაყრილი.

თვალი რომ გაახილა, ქვევით, პირველყოვლისა, თვალდათხრილი და გაძარცვული ხატები დაინახა. ჯერ უძლურად ჩაჯდა კანკელის თავზე. აქედან გაჰხედა გასავალს. იქითაც არავინ ჩანდა. დავით-გარეჯში სრული მდუმარება სუფევდა და აკლების ზათქზე არანაკლებ შემზარავი იყო.

ჯვარს რომ მოშორდა, კანკალი აუვარდა. თავისი სამოსი მოჰხელა, მაგრამ არ ჩაიცვა. ჯერ გაიხედა. თვალში მონღოლთ გვამები მოხვდა. მრავალრიცხოვანი მტერი აღარც თავისიანებს ითვლიდა და ნაღვლობდა.

ტახტის კართან შავჩოხიანნი ეყარნენ. მეტი გონება ვეღარ დაატანა წიორამ, თავისი სამოსი მოიგდო და გარეთ გავარდა.

ზღურბლს იქით ამბას თავმოჭრილ გვამს წააწყდა... წერაქვით იცნო. ერთიც შეფეთდა, მთელი სხეულით აიწურა, მაგრამ მეხსიერებამ სულ სხვა რამ მოაგონა...

— წიგნი ვეფხისა! — და ახლა მიხვდა, რომ შოთას ლექსთან ერთად ამბას წართქმული „ჰოი და შეგონება“ სულ ყურთასმენაში უჟღერს, კვესავს, როგორც მისი წერაქვი! არა, ამასაც წაიღებს — ამბას წერაქვია! ახლა უკან შევარდა, ხელი დასტაცა წიგნს, ისარი ამოაძრო და თავადაც ისარივით გარეთ გავარდა.

ჩაურბინა შუა ეზოს, ამონგრეულ კიბის ძირს, დამწვარ-დახეულ წიგნებს, დახოცილ ბერებს. ქვედა ეზოს თვალი უნებურად გაჰკრა. იქაც დახოცილთა კალო იყო. გადაქცეული ბჭე გადაირბინა... ყველგან სიკვდილი და მონღოლები ელანდებოდა.

მირბოდა და ნათლივ ესმოდა ფლოქვების ხმა. მაშ შეამჩნიეს, დაედევნენ, ახლა კი მორჩა... თუ ვერ გაასწრო!

კლდეზე შევარდა, ბილიკს სულ უგანა. მხარიც იცვალა. და მაინც მოსდევს ფლოქვების ხმა! ეწევა გულშეხუთულს!... და აქ ვეღარც „ვეფხის წიგნი“ მისცემს საშველს! გათავდა ყველაფერი, მოსწვდნენ... წიორა დაემხო, წიგნს გადეფარა და შოთას მიწას, ამბას მიწას გაებლაუჭა... და თითქოს ამბას ხმით, მიწამ ამოსძახა.... „განა მარტო წიგნს უნდა მოერიო, ან კლდეს? მტერსაც, თორემ ყველაფერი ოხრად დაგრჩება!“

წიორა წამოვარდა და კლდეს წერაქვმოღერებულად ამოეფარა.

ფლოქვების ხმაც სულ ახლოს შედგა.

წიორა ისევ მიწაზე დაემხო და კარგა ხანს იქვითინა, ვიდრე ხაოიანი ენა არ იგრძნო კისერზე.

დიახ, მისი სამწყსო ირმები იყვნენ. არა, ღარიბად და მარტოხელად აღარ ითქმოდა. ირმის არვე, ვეფხის წიგნი და ამბას წერაქვი. თითქოს ისევ სამხელად იყო გარეჯულა: მონღოლთ შემდეგ ნეტავ ყოველ ქართველს დარჩენოდეს ასეთი გულსაიმედო საგზალი!

ახალგაზრდა მწიგნობარი ადგა და ალღოსმიერ ბილიკს ბეჯითად გაჰყვა...

. . . . . . . . . . . . . .

ხილვისეული ყველაფერი გადაიწურა. მე მარტო დავრჩი. ქვები და ქვაბები ისევ დადუმდნენ. დაღლილ მგზავრივით სადღაც ჩაწვა კორიანტელი. მზემ უმატა ხვატს. წამებულთა ხრიოკ ფერდოდან კაკბების კაკანი ჩამომესმა. უდაბნოს ეს მარადჟამიერი ხმა გარემოს ძილქუშივით ამყუდროებდა, თავისებურ აღთქმის კილოს საწყისს მაინც აძლევდა... ჩემს ფერხთით — გრძელი სტრიქონივით ჩაწკაპული ჭიანჭველები ახალ ბუდეში გადადიოდნენ, ყველას ჰქონდა მოდებული ზურგზე თეთრი საგზალი.

დანგრეული ციხის თაღზე მზეწვია ჰკენკავდა უხილავ საზრდოს. თაღში კი ობობას დაექსელა სასროლი ბადისოდენა აბლაბუდა და მსხვერპლს ელოდა.

გვირაბში ჯოჯოები დასდევდნენ პეპლებსა და ჭიამაიებს.

ქვევით, ვარვარა მზით გახურებულ ლორფინებზე, ხვეულ მორგვებად უხსენებლები იწვნენ და თვლემდნენ.

აქ, გარდა ადამიანისა, ყველას ჰყავდა შთამომავალი, მაგრამ ნაღვაწი მხოლოდ ადამიანისა ჩანდა!

დიდი მდუმარებაც შენი იყო, გარეჯულავ, ქვასა და კლდეში ხილვით ნათქვამო სიტყვავ! ყველა ელის შენ სამხელა შემობრუნებას...




მხატვარი დ. ზარაფიშვილი

# იყალთოს აკადემია

უბრალო შუშის ქილაში მინდვრის თეთრი ყვავილები იცინიან. საწოლის უკან, კედელზე, ნახაზია გაკრული. ეს იყალთოს ნაგებობათა გეგმაა...

მცველი დიმიტრი ბეჟუაშვილი ჭიქაში ღვინოს ასხამს და ილოცება, შენდობას უთვლის დიდ წინაპრებს — დავითსა და ვახტანგს, ზენონსა და არსენ იყალთოელებს (შოთასთვის ცალკე სადღეგრძელო აქვს შემონახული). სტუმრებს გვადღეგრძელებს და არც თავისთავს ივიწყებს: ოცდაათი წელია ამ ეკლესიას, მონასტერსა და აკადემიას ვიცავო. ჩხირს არავის გადავატანინებ ამ ეზოდანო. აქ ექსკურსანტები ხშირად დადიან. მიყვარს შეგნებული კაცი, შეუგნებელს კი არ დავერიდები, ლამაზად მიგითათხავო... (ალბათ ამიტომ თუ შეარქვეს ზურგსუკან ,,პაპა გროზნა").

კახეთის თაკარა მზე ალაპლაპებს ფერისცვალების ეკლესიის გუმბათს. მზეში იშაშრება შირიმის ქვის პერანგიანი სამების ტაძარი. მზეს გადაუტრუსია მაღალი ბალახი, სადაც აკადემიის დაქცეული კედლებიდან ჩამონგრეული ქვა და კრამიტი ყრია: მე-6 საუკუნის, მე-9 საუკუნის, მე-12 საუკუნის ქვა და კრამიტი! მაგრამ ამ დაქცეულ მასალას თავისი წონა ოქროს ფასი აქვს! — ალბათ, უფრო მეტისაც. არქიტექტორი გურამ ჭეიშვილი კრძალვით უსვამს თითოეულ ქვას თურმე ხელს. მერე ხარაჩოებზე ააქვს და ახალი დროის ხუროთმოძღვარი პაპანაქება სიცხეში კვლავ ადუღაბებს წარსულის დიდოსტატთა ნამუშევარს. იყალთოდან ისე წამოვედით, გურამისათვის თვალი არ დაგვიკრავს (,,კვეტერას ციხეზე ავიდაო", — გვითხრა მცველმა). მაგრამ ჩვენ მაინც ვეზიარეთ მამულის სიყვარულით გამთბარ მის დიდ გულს. აქ ალბათ, მრავალი წლის წინათ მხოლოდ ჯოჯოები თუ ითბობდნენ ცივსა და გლუვ ტანს (უპატრონო ეკლესიას ეშმაკებივით ეპატრონებოდნენ). მაგრამ ქართველმა კაცმა გადაწყვიტა თვალისჩინივით გაუფრთხილდეს, აღნუსხოს და აღადგინოს დიდი წინაპრების ყოველი დანატოვარი, დანატოვარი, რომელიც ჩვენი ერის კულტურასა, განათლებასა და ზნეობრივ სიფაქიზესიმაღლეზე მეტყველებს. გელათი და სვეტიცხოველი, გრემი და იყალთო, ბიჭვინთა და არმაზი!..

და იყალთოს მონასტრის ეზოში ჩუმად, გულმოდგინედ შრომობენ ხუროთმოძღვარი და არქეოლოგი, მცველი და სოფლიდან ამოსული გლეხები, მუშები, კალატოზები... ესაა დიდი საერთო საქმე: იპოვო, შეკრიბო, დაახარისხო და გამოამზეურო ყველაფერი, რაც წარსულის სიდიადეზე მეტყველებს, რაც ერთიათად გაგზრდის და თავს ამაყად აგაწევინებს. აქ, ამ განდგომილ ბორცვთა შორის დუღდა ჩვენი კულტურის კერა, მე-6 საუკუნიდან მოყოლებული, აქ ამოვიდა სამოღვაწეოდ ათცამეტი მამათაგანი — ზენონ იყალთოელი, რათა თავისი განათლება და გული მტლედ დაედო მშობლიური ერისათვის... აქვე სამოღვაწეოდ გამოგზავნა დავით აღმაშენებელმა მეორე იყალთოელი — არსენ, რომელსაც იყალთოში აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული ცენტრის აღშენება დაავალა. საქვეყნოდ განთქმულ იყალთოს აკადემიას არც მოჰკლებია საუკუნეთა მანძილზე მზრუნველი ხელი, სანამ ჟამთა სიავემ არ გააავერანა და

დაიქცია იგი: შეწყდა ხმა ღაღადებისა, ჩაჩუმდა წიგნის შრიალი აკადემიის პალატებში, ზენონ და არსენ იყალთოელები თავშექცევით უწვნენ ერთმანეთს აკლდამაში და გული ქართველისა ცრემლიანად გაჰყურებდა იყალთოს ბორცვებს. აქ, ტყეში რომელიღაც წყაროს „უკვდავების წყარო“ შეარქვა ხალხმა! ვინ იცის, ამ წყაროსთან იჩოქებდა ჭაბუკი შოთა რუსთაველი. ჰო, ასე სჯერა კახელ კაცს! იყალთოში ბავშვი რომ შეაჩერო, ისიც კი დაბეჯითებით გეტყვის — შოთა რუსთაველი იყალთოს აკადემიაში სწავლობდაო. „შენ რა იციო?“ — რომ ჰკითხო, „პაპამ მითხრაო“, ...იმან რაღა იცისო? — „იმასაც პაპამ უთხრაო, იმის პაპას კიდევ თავისმა პაპამაო...“

და როდესაც ფერისცვალების ეკლესიის მაღალი ბჭენი იხსნება, გულს უნდა წარმტაცი სურათი დაინახოს: შავადშემოსილ ბერთა და მორჩილთა შორის ყელმოღერებით დგას ულამაზესი ჭაბუკი შოთა. და მაღალი თაღები გუგუნებენ ქართულ საგალობლებს, უკვდავი სიყვარულის საგალობლებს... ეს სიყვარული ხომ თითოეული ჩვენთაგანის გულშია დაბუდებული. შოთას უკვდავ სიყვარულზე გვეხმიანება ალაზნის ველზე ავარდნილი ფერთა ლიცლიცი, ცაცხვის ტოტებში გაბმული შაშვის ჭახჭახი. აკადემიის მიდამოებში ნაპოვნი თიხის პატარა სასმისი — შოთას ხნისა ვარო, გეუბნება, მოჭიქული ქაშანური ჯამი, — შოთას ხელში ვჭერივარო, თითქოს იჩემებს. სულ ცოტა — ეს რამდენიმე დღე და: ხელადები, ქვევრები, ქაშანურები, საქვეყნოდ იყვირებენ: შოთასი ვართო, შოთას მოვწონდით, შოთას ხელი შეგვხებიაო.

„საქვეყნოდ“-მეთქი, — იმიტომა ვთქვი, რომ დიდი რუსთაველის ზეიმის დღეებში იყალთოელები აქაც მოიწვევენ სტუმრებს, აქაც გამართავენ დიდ დღესასწაულს და სიამაყით უჩვენებენ დამთვალიერებლებს ნაწილობრივ აღდგენილ იყალთოს აკადემიის ნაგებობებს, უჩვენებენ მუზეუმს, სადაც ამ მიდამოებში მოპოვებული შოთას ეპოქის დროინდელი ექსპონატები იქნება გამოფენილი.

თითქმის ერთი წელია, აქ ტრიალებენ და სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებენ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიეროსარესტავრაციო სახელოსნოს მუშაკები. თითქმის ერთი წელია, ამ მიდამოებში მონაპოვარ ყოველ ნივთს სათუთად იღებს, წმენდავს და ელოლიავება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი რამინ რამიშვილი. არქეოლოგი ცისანა ჩიკოიძე პასპორტიზაციას უკეთებს ამ ნივთებს, მოწიწებითა და სიყვარულით ალაგებს მუზეუმის თაროებზე. ეს მუზეუმიც ხომ იყალთოელი მშრომელების ინიციატივით იხსნება. იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გოგი შათირიშვილიც სულ აქ ტრიალებს, თავს დაჩარის ყოველ ექსპონატს...

მოღლილი რამინი ცაცხვის ქვეშ ჯდება. ვიღაცამ დოქით წყაროს წყალი ამოიტანა (ალბათ „უკვდავების წყაროდან!“). მადლობა თქვენ, უკვდავო გულებო! მადლობა უბრალო ადამიანებო, ქართველო კაცებო, თვალგაბრწყინებული რომ ჰყვებით შოთას ჩირაღდნის შესახებ: ეს უქრობი ჩირაღდანი აქედან, იყალთოს აკადემიიდან, ხელიდან ხელში გადაცემით, ესტაფეტით უნდა ჩამოვიდეს ჩვენს დედაქალაქში, გელათიდანაც, ვარძიიდანაც ამგვარად უნდა ჩამოიტანონ ჩირაღდნები „ქარიშხალას“ სტადიონზე, 25 სექტემბერს. სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ხელიდან ხელში, როგორც სიმბოლო უკვდავი შოთას სიყვარულისა!..

...დამშვიდობებისას პაპა დიმიტრი კიდევ ერთხელ გვლოცავს, გვეპატიჟება და ბარათის მიწერას გვავალებს. მერე მანქანის ღია სარკმელში თავსა ჰყოფს და ჩუმად, შეთქმულივით მეუბნება: „უბრალოდ მოიწერე. სახელი და გვარი თუ დაგავიწყდეს, ნუ გეშინია: თელავი. იყალთოს აკადემია. „პაპა გროზნას“-თქო. ჰო, ჩემმა მზემ, სულ ამ მისამართით მომდის წერილები, რომელი ქვეყნიდან არ გინდა“.

. . .

თბილისის ბაზარზე მინდვრის თეთრ ყვავილებს ვყიდულობ. ეს ყვავილები იმ კაცს მახსენებს, ვისთვისაც თვალიც არ დაგვიკრავს, ვინც, ჩვენთვის შუშის უბრალო ქილაში თეთრი ყვავილები დატოვა, თავად კი კვეტერას ციხეზე წავიდა, რათა იქიდან გადმოხედოს ოქროს მზეში ჩაძირულ კახეთს, ზღაპრულ ალაზანსა და ლარივით გასროლილ გზას, სადაც მალე გაიელვებს იყალთოს ჩირაღდანი, დიდი ქართველის უკვდავი გულის ჩირაღდანი!

ნაზი კილასონია

იყალთო



10053.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი მიხაი ზიჩი

# „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია."

პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე

რუსთაველის მთავარი თემა მიჯნურობა ანუ სიყვარულია. ავთანდილის პირით დიდი პოეტი აცხადებს: „სიყვარული აგვამაღლებსო". ამ ამამაღლებელ, ადამიანის ღირსების დამამშვენებელსა და ზნეობრივი ცხოვრების განმასპეჭტაკებელ სიყვარულს უმღერის რუსთაველი წარმტაც ჰიმნს.

„ვეფხისტყაოსნით" ასახული სიყვარული ალამაზებს,ააზრიანებს და ახალისებს ადამიანის სიცოცხლეს, ამასთან მამაცობისა და გმირობის სტიმულს იძლევა. ნესტანი სწერდა ტარიელს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!"

„ვეფხისტყაოსნის" სიყვარული აწრთობს ვაჟკაცის ნებისყოფას, უძლიერებს სულიერ მხნეობას, უმახვილებს საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას. სიყვარული უღვივებს ადამიანს ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რაც პოტენციურად ჩასახულია მის არსებაში.

სიყვარულმა გამობრძმედა და გააკაჟა „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები, გმირული სული შთაბერა როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. სიყვარულმა დააახლოვა და დაამმობილა პოემის სამი შესანიშნავი რაინდი: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი. სიყვარულმა შემუსრა ქაჯეთის ციხე-სიმაგრე. სიყვარულმა შესძინა ნესტან-დარეჯანს ვაჟკაცური მორალური ძალა, ყმაწვილი ქალი აქცია ჭეშმარიტ გმირად. უკიდურესი განსაცდელის დროსაც ინარჩუნებდა ნესტანი სულიერ მხნეობას, სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა, არ ჰკარგავდა წონასწორობას, ეძებდა გამოსავალს, გონებას ეკითხებოდა და ბრძნულად მსჯელობდა:

„ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!"

ქაჯეთის შემზარავ ციხეში გამომწყვდეულმა ნესტანმა საკუთარი ვნებები და გრძნობები დაიმორჩილა, თავის თავზე აღარ ფიქრობდა, სატრფოს კი მიჯნურული შმაგობის დაძლევა და უმწეოდ დარჩენილი სამშობლოს დასახმარებლად გაშურება მოსთხოვა:

„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა".

მძიმე დავალება გარდაუწყვიტა თავის მიჯნურს თინათინმაც (უცხო მოყმის ძებნა). ამ დავალების შესრულებას უნდა განემტკიცებინა მათი მხურვალე სიყვარული („შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარეო", — უთხრა თინათინმა ავთანდილს). თინათინმა მოუწონა ავთანდილს ტარიელის დახმარების განზრახვა და არ მოერიდა საყვარელ ადამიანთან ხანგრძლივად დაშორების ჭირს.

რუსთველური სიყვარული საფუძვლად ედება მ ე უ ღ ლ ე ო ბ ა ს. რუსთაველი თანამიმდევრულად ავითარებს და იცავს ურთიერთ სიყვარულზე დამყარებული, თავისუფალი, ძალდაუტანებელი მეუღლეობრივი კავშირის იდეას. კდემამოსილი ნესტანი პირველი წერილითვე უმხელდა თავის სათაყვანებელ მიჯნურს:

„შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია,
მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია".

ზრდილი და თავდაჭერილი თინათინიც ფიცით არწმუნებდა ავთანდილს:

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი".

„ვეფხისტყაოსანში" აწერილი ადამიანური ტრაგედიის ამბავიც ხომ ძალდატანებითი მეუღლეობის განხორციელების წადილმა გამოიწვია. ფარსადანი და მისი მეუღლე ბრმანი უნდა ყოფილიყვნენ, რომ არ დაენახათ და არ ეგრძნოთ ნესტანისა და ტარიელის ურთიერთისადმი სატრფიალო მიზიდულობა. იმის ნაცვლად, რომ მშობლებს პატივი ეცათ შეყვარებულთა გრძნობებისათვის, მათ თათბირი გამართეს, საბედისწერო ფაქტის წინაშე დააყენეს ტარიელი და მას, არსებითად, მორალური თვითმკვლელობის დასტური მოსთხოვეს. ზრდილი მოყმის მდგომარეობა აღემატებოდა ყოველგვარ სასჯელს. აღმზრდელი პატრონისადმი ერთგულების, მორიდებისა და მორჩილების რაინდული შეგნება მას თავშეკავების საჭიროებას უკარნახებდა, მაგრამ აუტანელი იყო „დამწვარი", „დანაცრებული" ტარიელის ტანჯვა. ფარსადანმა არ დაინდო შვილი და შვილობილი, ანგარიში არ გაუწია მათ უმწიკვლო გრძნობებს, თითქოსდა სახელმწიფოებრივი ინტერესები აიძულებდა მეფეს თავისი ერთადერთი ასული მიეთხოვებია უცხოელი კაცისათვის, ხვარაზმშაჰის ძისათვის. მეფე და დედოფალი ასე მსჯელობდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“.

მეფე ფარსადანი ძველ, დრომოჭმულ თვალსაზრისზე იდგა. ამ თვალსაზრისით ქალს არ ეკითხებოდა საკუთარი ბედ-იღბლის საქმე. შუა საუკუნეებში ყველგან, და კერძოდ საქართველოშიც, ქალისათვის საქმროს არჩევა, როგორც წესი, მშობლების პრეროგატივს შეადგენდა. ნესტანის გათხოვების საკითხს ფარსადანი იყენებდა ხელსაყრელი პოლიტიკური გარიგებისათვის. ხვარაზმშაჰის შვილის ჩასიძებით იგი ძლიერ მოკავშირესა და მფარველს იძენდა. ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ყმაწვილი ქალის გულისთქმასა და გრძნობითს მიდრეკილებებს. უმნიშვნელო როდია, რომ უფლისწული ტარიელი ტახტის მემკვიდრედ იზრდებოდა. ხვარაზმშაჰის ძის მოწვევით ილახებოდა ტარიელის მემკვიდრეობითი უფლებები: ინდოეთის ტახტი ეკუთვნოდა ან ნესტანს, როგორც მეფის ღვიძლ შვილს, ან ტარიელს, როგორც მეფის შვილობილს და სამეფოდ აღზრდილს. ნესტანმა თვითონ შესთავაზა ტარიელს: „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა“. ფარსადანმა მეფური სიტყვა გატეხა: იგი უსულგულოდ, უკანონოდ და უსამართლოდ მოიქცა. ნესტანი აღაშფოთა მშობლების საქციელმა. მიუხედავად სათნო ხასიათისა, მან არ დაუშვა თავისი ადამიანური ღირსების დამცირება; განმაცვიფრებელი გამბედაობა გამოიჩინა: ნესტანი არათუ დაემორჩილა მშობლების გადაწყვეტილებას, საქვეყნო ამბოხსაც არ მოერიდა. ნესტანმა ტარიელს ურჩია მოქიშპის დაუყოვნებლივი მოსპობა და საჭირო შემთხვევაში ძალაუფლების ხელში აღება. ფარსადან მეფის წინდაუხედაობა, მისი ჩამორჩენილი შეხედულებები და ცრურწმენა გახდა მიზეზი ნესტანის და ტარიელის დიდი უბედურებისა, ამან მიიყვანა კატასტროფამდის ინდოეთის სახელმწიფო. მწარედ დაისაჯა თვითონ ფარსადანიც. რუსთაველმა მას მკაცრი განაჩენი გამოუტანა: სამაგიერო მიეზღო ბეც პოლიტიკოსს, პატრონყმური წესრიგის დამრღვევსა და შეყვარებულთა უსპეტაკესი გრძნობების აბუჩად ამგდებს.

რუსთაველმა გადალახა შუასაუკუნეობრივი შეზღუდულობა, თავისი პოემით იგი იმ თვალსაზრისს ავითარებს ქორწინების საკითხში, რაც იმდროინდელობისათვის „გაუგონარ ამბავს“ წარმოადგენდა. მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი ბოროტებად თვლის ქალ-ვაჟის ძალდატანებითს შეუღლებას. რუსთაველი გმობს იძულებითს ქორწინებას; იგი პრაქტიკულად ქადაგებს იმ პრინციპებს, რაც მხოლოდ ოცნებაში, რომანტიკაში არსებობდა. ფარსადან მეფეს გარკვევით უპირისპირდება როსტევან მეფე. ისევე როგორც ინდოეთში, არაბეთშიც შეიქმნა დინასტიური კრიზისი: არც როსტევანს ჰყავდა ტახტის მემკვიდრე ვაჟიშვილი. მაგრამ როსტევანმა არ დააყოვნა, სიცოცხლეშივე ტახტზე აიყვანა და მეფედ აკურთხა თავისი ქალი, მშვენიერი და გონიერი თინათინი. ვაზირებმა მოუწონეს მეფეს არჩევანი და დასძინეს:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ამრიგად, არაბეთში სამეფო ტახტზე ავიდა და გახელმწიფდა ქალი (მეფის ასული). შემდეგ, როდესაც როსტევანმა თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის ამბავი გაიგო, ძლიერ გაიხარა და სიამოვნებით დალოცა ქალ-ვაჟის შეუღლება. ოღონდ მოხუცმა მეფემ იმთავითვე მტკიცედ განსაზღვრა საქმის ფაქტობრივი და უფლებრივი მხარეები.

როსტევანმა განაცხადა:

„მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა;
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა“.

მაშასადამე, გათხოვების შემდეგაც თინათინი რჩებოდა ტახტის კანონიერ მპყრობელად, სუვერენ, გვირგვინოსან მეფედ, ქვეყნის უზენაეს მბრძანებლად და გვარის გამგრძელებლად.

მეფე-ქალს მოსიყვარულე მეუღლე ეყოლებოდა თავის შემწე-მოსაყრდენედ, საიმედო მრჩეველ-მოამაგედ და ერთგვარად თანა-მეფედ. როსტევანმა



მხატვარი კობა გურული

შეჰყარა დიდებულნი, წარუდგინა თავისი სიძე და შეკრებილთ აუწყა:

„ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება,
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე — სიბერე ვითა სნება,
ჩემად სწორად ჰმსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება“.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა საანალიზო ეპიზოდების ქვეტექსტი და მისი პოლიტიკური შინაარსი. უეჭველზე უეჭველია, რომ საქმე გვაქვს მე-12 საუკუნის საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის თავისებურ მხატვრულ ანარეკლთან.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული საქართველოს მეფეს — გიორგი მესამეს (1156-1184) დინასტიური კრიზისი შეექმნა, მას მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა. გიორგიმ გამოსავალი იპოვა — ტახტზე აიყვანა და მოსაყდრედ გაიხადა თავისი ასული თამარი. თამარის გამეფებამ შეაშფოთა და ფეოდალურ-დინასტიური ბრძოლის გუნებაზე დააყენა მთელი კონსერვატიული საქართველო. მეტისმეტად გართულდა თამარის მდგომარეობა მამის გარდაცვალების შემდეგ. შეთქმულება და აჯანყება ახალგაზრდა მეფე-ქალის წინააღმდეგ ერთიმეორეს ცვლიდა. თავდაპირველად თამარს თავზე უცხოელი კაცის მეუღლეობა მოახვიეს. როცა თამარმა მოიშორა უღირსი ქმარი, ფეოდალურ-რეაქციულმა წრეებმა მეფის ქმარყოფილი ვითომ მეთაურად გაიხადეს, მისი დროშის ქვეშ დაირაზმნენ და ქვეყანა საშინელი ხიფათის ქვეშ დააყენეს. ამ ხიფათისაგან საქართველო ქვეყნის მოწინავე ძალების თავგამოდებამ და თვითონ თამარის პირადულმა პოლიტიკურმა გამჭრიახობამ იხსნა.

ქალის გამეფების პრობლემა მაშინდელ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ერთი ქვაკუთხედია. გიორგი მესამის გაბედული ნაბიჯის შემდეგ „ბრძოლა არ ჩამქრალა“ (ივ. ჯავახიშვილი), მან მხოლოდ სხვა — გარეგნული ფორმა მიიღო. ქალის უფლებისა და ქალის ღირსების პრობლემა იქცა მოაზროვნე საზოგადოებისა და მწერლობის ერთ-ერთ მთავარ საკითხად. ამ პრობლემას აქტიურად ეხმაურებიან საეკლესიო მწერალი ნიკოლოზ გულაბერის-ძე და საერო პოეზიის დიდება შოთა რუსთაველი. ქალის ღირსების დასამტკიცებლად ნიკოლოზ გულაბერის-ძემ გამოიყენა წმ. ნინოს სახელი. გულაბერის-ძის მოსაზრებით, ღმერთმა ქალი იმიტომ მოავლინა საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად („განმანათლებლად“), რომ ამით საყოველთაოდ ცხადეყო ქალის განსაკუთრებული

პატივი და ღირსება. აქედან გამომდინარეობდა ბუნებრივი დასკვნა, თუ კი ღვთაებამ ქრისტიანული სარწმუნოების დამნერგავად ქალი აირჩია, რად უნდა ყოფილიყო საცილობელი, რომ წარჩინებულ ქალს წარემართა სახელმწიფოებრივი ცხოვრების საჭე. ნინოს მაგალითის მომიზეზებით, გულაბერისძე ქებათა-ქებას ასხამს საზოგადოდ ქალის ღირსებას და ამით ასაბუთებს, კერძოდ, თამარის კანონიერ უფლებას — უხელმძღვანელოს ღვთისმშობლის წილხდომილ საქართველოს.

თავის მხრივ, რუსთაველი გადაჭრით იცავს ქალის გამეფების კანონზომიერებასა და გონივრულობას. სავსებით სწორად ამბობს გამოჩენილი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი: „საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისა და კერძოდ თამარის პირადი თავგადასავლის ანარეკლი შოთას თხზულებაში საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს". ქალის გახელმწიფების შესაძლებლობას შოთა რუსთაველმა გამოუძებნა შესანიშნავი პოეტური ფორმულა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია". ამ აფორიზმით რუსთაველი ასაბუთებს „ქალ-უფლისწულის მამაკაც-უფლისწულთან თანასწორუფლების" თვალსაზრისს. საგულისხმოა, რომ რუსთაველის დიდებული აფორიზმის კავშირი თამარის გამეფების საკითხთან ადრეც ჰქონიათ შენიშნული. მე-17 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე პირდაპირ ამბობს: „მეფემ გიორგიმ თავისი ასული თამარი მეფედ აკურთხა, აქ თქმულა „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია".

რუსთაველი სრულიადაც არ დაკმაყოფილებულა ბრძნული აფორიზმის მოხმობით და თინათინის გამეფების აღწერით; მან შექმნა უაღრესი მორალური და ინტელექტუალური ქალი-უფლისწულის—ნესტანის უკვდავი სახე. თუ თინათინის გამეფება ადვილად მოხდა, ფარსადანმა არ მოისურვა თავისი ქალის გახელმწიფება და ტახტის დასაუფლებლად გადამთიელი კაცის მოყვანას აპირებდა. ამას უკავშირდება პოემის ტრაგიკული ამბების ისტორია. ცხადია, რუსთაველმა წინდახედულად შეუპირისპირა ერთიმეორეს არაბეთისა და ინდოეთის ამბები. მეტიც, პოეტმა ერთიმეორეს დაუპირისპირა როსტევანი და ფარსადანი. იგი მთელი არსებით როსტევანის მხარეზეა. რუსთაველი პოეტური ენით ასაბუთებს როსტევანის ნაბიჯის გონივრულობას, ნათელყოფს როსტევანის მეფურ სიბრძნესა და მდაბიურ კეთილშობილებას. ფარსადანმა კი ვერც საჭირო მეფური ჭკუა გამოიჩინა ტახტის მემკვიდრეობის საკითხში და ვერც ადამიანური დიდსულოვნება. თავისი ზნეობრივი, გონებრივი და სულიერი თვისებებით ნესტანს სავსებით შეეფერებოდა მეფური პატივი. ფარსადანმა არა თუ მოისურვა მისი ღირსეული ასულის გამეფება, არამედ მის გრძნობებზე ძალდატანებასაც კი არ მოერიდა. რუსთაველი ბუმბერაზული პოეტური ხმით ილაშქრებს ქალის გრძნობებზე ძალდატანების წინააღმდეგ. ის მოითხოვს ქალის პოლიტიკურად, საზოგადოებრივად და მორალურად რეაბილიტაციას.



ჯამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

რუსთაველი ქალს თვლის სრულყოფილ ადამიანად. ამით ქართველმა პოეტმა დაარღვია მუსლიმანური აღმოსავლეთის შეხედულება ქალის უსრულობასა და ზნეობრივ-გონებრივ შეზღუდულობაზე. ასეთი შეხედულება გაშიშვლებულად არის გამოთქმული სპარსული ვის-ო-რამინის ქართულ თარგმანში („ვისრამიანში"). აქ ვკითხულობთ: „დედანი ნებისაკენ უფრო იზიდვენ, ვიდრე სახელისაკენო. დედანი უსრულად დაბადებულნია, მით მიწყივ თავისა წადილი მორევს. საწუთროსა და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ჟამსა მოვყივნდებითო". „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი ქალები, ნესტანი და თინათინი, ყოველმხრივ სრულყოფილი არიან. ისინი იმორჩილებენ წადილს, გრძნობებს არ თიშავენ გონებისაგან, საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ და საქვეყნო-ეროვნულ ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებენ... საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ რუსთაველმა დაგვიხატა ზნეობრივად და გონებრივად სრულყოფილი ქალი — პერსონაჟები არა მარტო საზოგადოების მაღალი წრიდან, არამედ მან შექმნა მდაბიოთა წრიდან გამოსული ასმათის უზომოდ მიმზიდველი და სიმპათიური სახე. შოთა რუსთაველი ამტკიცებს, რომ მამაკაცის მსგავსი ქალიც კაცია, ადამიანი, დედაკაცი. ამ დებულებას რუსთაველის შემოქმედებაში უნივერსალური ხასიათი აქვს. რუსთაველივით ამაღლებულად შუა საუკუნეებში არავის უმღერია ქალის ღირსებაზე. შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ არ იცის ნესტანის მსგავსი თაოსანი, ენერგიული, გონიერი და ზნეფაქიზი ქალის მხატვრული სახე. ნესტანი კი თვით თამარია, შეფარვით გამოხატული. თამარისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სტროფში რუსთაველი საგანგებოდ შენიშნავს: „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია". ასე უპასუხა რუსთაველმა მე-12 საუკუნის საქართველოსთვის მღელვარე კითხვას. ასე ბუნებრივად და გამჭვირვალედ აისახა „ვეფხისტყაოსანში" საქართველოს ისტორიული სინამდვილის ნიშანდობლივი სურათი.

ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ქალის პატივისცემას, საზოგადოდ, დიდი ტრადიცია მოდგამს ქართველ ხალხში. ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ: „ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს" ეძახის, როგორც მამას „მამა-კაცს". ილიას დაკვირვების თანახმად, ქართულის ენობრივი მონაცემები საუცხოოდ გვიჩვენებს ძველ საქართველოში დედაკაცისადმი (დედობისადმი) განსაკუთრებულ მოწიწებითს დამოკიდებულებას. მე-19 საუკუნის დიდი მწერალი და მოაზროვნე ამბობს: „ქართველებისათვის „დედა" მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას" ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქსა", მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს", უდიდესსა, უმაგრესს ბურჯს — „დედა-ბურჯსა", სამთავრო აზრს — „დედა-აზრს", გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნის-დედას".

ქართული ხალხური სიტყვიერება ყოველთვის აიდეალებდა ზნეფაქიზს, ოჯახისა და სამშობლოს მოყვარულ ქალს. ხოლო ქართულმა მწერლობამ ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში შეამკო რწმენაურყევი, პრინციპული, შეუპოვარი მებრძოლი ქალის — შუშანიკის შესანიშნავი სახე. შუშანიკს უსამართლობად მიაჩნდა ქალის დამამცირებელი მდგომარეობა ოჯახში; იგი ოცნებობდა იმ სამყაროზე, სადაც არ იქნებოდა უფლებრივი სხვაობა ქალსა და კაცს შორის. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი სამყარო შუშანიკს მაშინ საიმქვეყნოდ ესახებოდა. მე-9 საუკუნეში უცნობმა ქართველმა მწერალმა ძუ ლომს მიამსგავსა ნინო. გიორგი მერჩულეს (მე-10 ს.) გამოყვანილი ჰყავს გრძნობიერი, თაოსანი, დამოუკიდებელი ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალთა პერსონაჟები. ქალები აქტიურად მოღვაწეობდნენ საქართველოში სამოქალაქო და პოლიტიკურ სარბიელზე. ცნობილია, მაგალითად, თამარის თანამედროვე მანდილოსნების ხვაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი როლი.

რა თქმა უნდა, ქალის პატივისცემის ამ დიდებულ ტრადიციასაც ემყარება შოთა რუსთაველი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

# რუსთაველის აკვანი

„ხან იფიქრებდა: უდედოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა?!“

ვინ არის, როგორ გავიგო,
რომელს უნდა ვცე თაყვანი, —
რომელმა ქალმა არწია
დიდი რუსთველის აკვანი?

იქნებ მზის სხივი ერია,
იქნებ მთოვარი ნათელი, —
რომელმა დედამ გაზარდა
ეს დიდებული ქართველი?

თითქოს სამცხეშიც ყოფილა,
თითქოს რუსთავშიც მინახავს,
სარფს გაღმა თვალი მომიკრავს, —
საზღვრები გადმილახავს...

ვინ არის, როგორ გავიგო,
რომელს უნდა ვცე თაყვანი, —
რომელმა ქალმა არწია
დიდი რუსთველის აკვანი?

სად ხარ, ვინ ხარ, რომელი ხარ,
რა სახის ხარ, ნეტა?
იქნებ მცხეთის დუღაბი ხარ,
აღმართული სვეტად.

იქნებ მწუხრის ფრინველი ხარ,
იქნებ რძია-რძია,
იქნებ მთელი საქართველოს
ცხელი გული გქვია.

იქნებ თეთრი ცისკარი ხარ,
თეთრი ფრთების ციმციმით,
მზეს ბავშვივით სულ რომ მკერდზე
იხუტებ და იცინი.

იქნებ მხოლოდ იმედი ხარ,
იქნებ მხოლოდ ლამპარი,
იქნებ მხოლოდ თბილისი ხარ,
სინათლე და ზღაპარი.

იქნებ ხე ხარ სიმართლისა,
ხე სიცოცხლის, შვების,
მზის სხივებად გაგიშლია
მზის ტოტები-თმები.

დედაქალო, ეთერ ქალო,
იქნებ ცირა ქალო,
მარეხო და გურანდუხტო,
ლურჯო მინანქარო.



შოთა რუსთაველი

მხატვარი უჩა ჯაფარიძე

ლურჯო ცეცხლო, მინავლულო,
ქარში გადამქრალო,
ნესტან ქალო, ყამარ ქალო,
იქნებ თამარ ქალო.

რა გიწოდო, აღარ ვიცი,
არ შემრისხო მეტად,
სულ უბრალოდ დაგიძახებ
— საქართველოს დედა!

დედავ, დედა-სამშობლოვ,
ამღერებულს გხედავ
ისევ შენი შვილი წევს
მზის აკვანში ბედად...

მზის სხივების ბაბთები
ახვევია ზედა,
ფიქრი საქართველოზე
დაფარფატებს მტრედად,
მთები კავკასიისა
გაუშლია მხრებად,
ჭრელი ცისარტყელები
გაჰფენია გზებად.

რუსთაველის აკვანი,
საქართველოს აკვანი,
უკვდავების აკვანი
კვლავ ირწევა, დედა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რუსთაველის პროსპექტი

## რუსთაველის სახელობისა

# ႫႰႠႥႠႪႨ ႵႳႹႠ

ვინც პირველად მოხვდება საქართველოს დედაქალაქში, შეუძლებელია ყურადღება არ მიაქციოს მის თავისებურებას, რთულ და ლამაზ მდებარეობას, განაშენიანების ხასიათს. თბილისის ეს თავისებურება ვლინდება როგორც ძველ ისტორიულ უბნებში, ასევე შემდგომ განვითარებულ რაიონებში. თბილისის თანდათანობითი ზრდა და ახალი ტერიტორიების ათვისება განაშენიანებისათვის განსაზღვრა მისმა რელიეფმა. რელიეფმა განსაზღვრა, აგრეთვე, თბილისის ქუჩების მიმართულება, მისი პროფილი და, საერთოდ, ქალაქის დაგეგმარებითი სტრუქტურა. ჩვენს მიმოხილვაში საუბარი გვექნება თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩაზე — რუსთაველის სახელობის პროსპექტზე.

დღევანდელი პროსპექტი, გოლოვინის პროსპექტის სახელწოდებით, წარმოიშვა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მე-19 საუკუნის 50-იან წლებში მას უკვე ჩამოყალიბებული არქიტექტურული სახე ჰქონდა, განსაკუთრებით იმ მონაკვეთში, სადაც გაშენებული იყო მეფისნაცვლის სასახლე. დღეს (შიდა სათავსოების მთლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ) ამ შენობაში მოთავსებულია პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე თავისი შესანიშნავი ბაღით. აქვე ახლო იყო ჰაუპტვახტი (მის ნაცვლად აშენებულია რუსთაველის სახელობის კინოთეატრი), არსენალის შენობა და კავკასიის არმიის ტაძარი. ტაძარი აგებული იქნა 1870 წელს, მეფის რუსეთის მიერ მთელი კავკასიის დამორჩილების აღსანიშნავად. მათი დანგრევის შემდეგ გაშენდა საქართველოს მთავრობის სახლი.

პროსპექტის განაშენიანება შემდგომში საკმაოდ ინტენსიურად წარიმართა. გაშენდა რამდენიმე შენობა, რომელთა არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს დღესაც გარკვეული ადგილი უკავია პროსპექტის საერთო ანსამბლში, სახელდობრ, აიგო საარტისტო საზოგადოების სახლი, სადაც დღეს მოთავსებულია რუსთაველის სახელობის ქართული დრამატიული თეატრი, დამთავრდა სახაზინო თეატრის მშენებლობა, სადაც ამჟამად ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრია. 1915 წელს კი აშენდა სასტუმრო „მაჟესტიკი", დღევანდელი სასტუმრო „თბილისი". გარდა ამისა, პროსპექტის ორივე მხარეს თანდათანობით შენდებოდა 2-3-სართულიანი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. საქართველოს მუზეუმის, კინოთეატრ რუსთაველის, მთავრობის სასახლის, კავშირგაბმულობისა და „იმელის" შენობებმა, რომლებიც აგებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გარკვეული მხატვრული სახე მისცა პროსპექტს.

რუსთაველის სახელობის პროსპექტი დამსახურებულად ითვლება ერთ-ერთ ლამაზ ქუჩად. მას აქვს განუმეორებელი და თავისებური მაღალმხატვრული იერი. პროსპექტზე სულ რამდენიმე შენობაა, რომელთა არქიტექტურულ-მხატვრული ღირსება თვალსაჩინოა და იპყრობს მნახველის ყურადღებას. დანარჩენი შენობების არქიტექტური სახე კი დაბალ მხატვრულ დონეზეა.

პროსპექტს გეგმაში აქვს ლამაზი მოხაზულობა, იგი სწორ ხაზს არ მიჰყვება, დაახლოებით შუა წელში მეტად რბილად უხვევს, რაც თავის დროზე გამოწვეული იყო ამ ადგილის რელიეფით. მოღუნულობა იმდენად ზომიერია, რომ ხელს არ უშლის პროსპექტის მთლიან აღქმას, კარგად იკითხება შენობების მწკრივი და იძლევა თანდათანობით გადასვლას. განსაკუთრებულ სილამაზეს აძლევს პროსპექტს მწვანე ნარგაობა. პროსპექტი მთლიანად ჩაფლულია სიმწვანეში. მრავალწლიანი ჭადრების ერთმანეთში გადახლართული ტოტები და ვაზონები იძლევა მწვანე მოცულობის ერთ მთლიან ხაზს, რაც თავისებურ იერს აძლევს პროსპექტის საერთო მხატვრულ სახეს. გარკვეულ მონაკვეთში 2-3-სართულიან, არქიტექტურულად დაბალი ხარისხის შენობებს მთლიანად ფარავს მწვანე ნარგავები.

პროსპექტის დასაწყისიდან სასტუმრო „თბილისის" ჩათვლით მონაკვეთის სივრცითი გა-

დაწყვეტის მხატვრულ სახეს ხელს უწყობს დიდი მწვანე მასივის შემოყვანა პროსპექტის სივრცეში და შენობების თავისებური განლაგება. პიონერთა სასახლე, მთავრობის სასახლე, პირველი საშუალო სკოლისა და სხვა შენობები საგრძნობლად არიან უკან დაწეული ქუჩის წითელი ხაზიდან და პროსპექტზე შექმნილია შესანიშნავი ხეივანი. ყველას გვახსოვს პროსპექტისათვის შეუფერებელი ერთსართულიანი შენობები. 1938 წელს ეს შენობები დაინგრა და მოეწყო კარგი გამწვანება. გაიხსნა ხედი ქაშვეთის ეკლესიასა და პირველი საშუალო სკოლის შენობაზე. სკოლის წინ დაიდგა ილიასა და აკაკის ძეგლი. ჩატარებულმა ღონისძიებამ საგრძნობლად გაამშვენიერა ეს მონაკვეთი. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პროსპექტი უშუალოდ გადის ბაღში. სწორედ ამ მონაკვეთში ყურადღებას იპყრობს საქართველოს მთავრობის სასახლის მონუმენტური შენობა. რომლის მთავარი კორპუსის მშენებლობა დამთავრდა 1958 წელს. იგი წარმოადგენს ქართული საბჭოთა არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშს, განსაკუთრებით ლამაზია პროსპექტის მონაკვეთი პიონერთა სასახლიდან მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობამდე და არ მოითხოვს არავითარ რეკონსტრუქციას ათეული წლის მანძილზე.

დღესდღეობით პროსპექტი ფაქტიურად მთავრდება ყოფილ მელიქ-აზარიანცის შენობის გვერდითი ფასადით. ამის შემდეგ იწყება პროსპექტის ყველაზე ულამაზო ნაწილი თვით რუსთაველის მოედნის ჩათვლით, და ცხადია, ამ კვანძის მოწესრიგება აუცილებლობას წარმოადგენს.

რუსთაველის სახელობის პროსპექტის საერთო რეკონსტრუქცია უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, მოითხოვს ჩვენი არქიტექტურული საზოგადოების მაღალ შემოქმედებით შრომას და დიდ როლს.

შეიძლება გამოითქვას ზოგიერთი ძირითადი დებულება, თუ რა სახე უნდა მიეცეს მომავალში პროსპექტს.

დასახულია, რომ რუსთაველის პროსპექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ლენინის მოედნიდან სპორტის სასახლემდე, განხილული უნდა იქნეს როგორც თბილისის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი, მოხერხებულად და ორგანიულად დაკავშირებული თბილისის მთლიანი ქალაქგეგმარებით სტრუქტურასთან. ამ მონაკვეთის გეგმარებითმა პრინციპებმა უნდა მოგვცეს ქალაქის ცენტრის განაშენიანების მოცულობითი კომპოზიციის მაღალი არქიტექტურულ-მხატვრული სახე, რაც თავის მხრივ მოითხოვს პროსპექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის თავისებური გეოგრაფიული პირობების სწორად განსაზღვრას და ნათლად გამომჟღავნებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კლიმატი, გეოგრაფიული პირობები, ბუნებრივი ფერების სფერო, წყლის სარკე, მთები, მიმდებარე ველები და სხვა გარეშე ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ ქალაქმშენებლობის ესთეტიკურ სახეზე. დღეს უკვე დროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ქალაქმშენებლობის ესთეტიკურ მხარეს, მით უმეტეს, რომ ამ დიდ რთულ საკითხს, სამწუხაროდ, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

ქალაქის სილამაზეს უაღრესად დიდი პრაქტიკული და იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ლამაზი გარემოცვა დიდი დადებითი ფაქტორია ადამიანის აღზრდისათვის, მისი ნაყოფიერი შრომისათვის, დასვენებისათვის, მომავალი თაობის ჩამოყალიბებისათვის.

ქალაქმშენებლობა არის მრავალი ფაქტორის, მრავალი ელემენტის შემოქმედებითი შედეგი, გაერთიანებული ერთ საერთო დასაბუთებულ კომპოზიციაში. როდესაც ეს შემოქმედებითი პროცესი და მისი შედეგი მიგვიყვანს გარკვეულ მხატვრულ მთლიანობამდე, რაც ყველასათვის გასაგები იქნება და დააკმაყოფილებს ხალხს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედებითმა პროცესმა მიაღწია თავის მიზანს. ქალაქის ესთეტიკური პრობლემების გადაწყვეტა ყველაზე დიდი და რთული საკითხია არქიტექტურულ შემოქმედებაში, რადგან ის დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან — მასალასთან, საამშენებლო ტექნიკასთან, მშენებლობის ხარისხთან, მატერიალურ შესაძლებლობასთან და, თუ გნებავთ, თითოეული ჩვენთაგანის მხატვრულ გემოვნებასა და სუბიექტურ შეხედულებასთან. ქალაქის სილამაზე არ განისაზღვრება ცალკეული ობიექტების მაღალი მხატვრული სახით. ქალაქის სილამაზეს შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ მისი დაგეგმარებითი სტრუქტურის ბუნებრივ პირობებთან სწორად შეთანხმებით.

როგორც იტყვიან, ქალაქი მაშინ არის ლამაზი, როდესაც ყველა მისი ელემენტი გამოიყენება როგორც ფონი ერთი მეორესათვის და ამავე დროს, ყველა ეს ელემენტი განუყოფელი ნაწილია ქალაქმშენებლობის საერთო კომპოზიციისა. ამის შესანიშნავი მაგალითია რუსთაველის პროსპექტის განაშენიანების მხატვრული სახე.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თუ ჩვენ თბილისის ამ მიკრორაიონის თავისებურებას, დამახასიათებელ ბუნებრივ პირობებს სწორად გამოვიყენებთ და მივცემთ მას მაღალმხატვრულ ჟღერადობას, მივიღებთ განაშენიანების თავისებურ განუმეორებელ მხატვრულ სახესაც.

ჩვენი აზრით, ვინაიდან პროსპექტის განაშენიანება წარმოადგენს მთაწმინდის ფერდობის გაგრძელებას, მისი სართულიანობა საგრძნობლად უნდა შეიზღუდოს და არ აღემატებოდეს ცხრა სართულს. ცალკეულ შემთხვევებში, სანაპიროს გასწვრივ, მსგავსად სასტუმრო „ივერიისა“, კიდევ შესაძლებელია მრავალსართულიანი შენობის აგება, რომელიც გარკვეულ სიახლეს შეიტანს ქალაქის მოცულობით გადაწყვეტაში და შეეგუება მთაწმინდის ფერდობსაც.

პროსპექტიდან კარგი ხედი იხსნება მტკვარზე, სანაპიროზე, და საერთოდ ქალაქის მარცხენა და მარჯვენა მხარეს. დაგეგმარების დროს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს მომგებიანი მდგომარეობა და გაიხსნას ხედები ქალაქის სხვადასხვა თვალსაჩინო და ლამაზ ბუნებრივ პეიზაჟზე. საჭიროა პროსპექტი მაქსიმალურად განიტვირთოს ქალაქის ტრანსპორტისაგან და შეიქმნას პირობები ხალხის თავისუფალი მოძრაობისათვის. ამისათვის გათვალისწინებულია დაგეგმარდეს პროსპექტის მარჯვენა და მარცხენა მხარეს პარალელური გრძივი ქუჩები და ტრანსპორტის მოძრაობა ძირითადად გადავიტანოთ ამ ქუჩებზე. ეს თავის მხრივ მოითხოვს რუსთაველ-



რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი



თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე



ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტთან არსებული პარტიის
ისტორიის ინსტიტუტი

ლის მოედნის კვანძის რადიკალურ რეკონსტრუქციას, რადგან თავისი გაბარიტებით სრულებით ვერ უპასუხებს თანამედროვე ქალაქმშენებლობის ტექნიკურ ნორმატივებს. ჩატარებული ანალიზისა და კონკურსის შედეგად საჭიროა ყოფილი მელიქ-აზარიანცის შენობის დანგრევა და პროსპექტის გასწორება. ამ შემთხვევაში პროსპექტი მიიღებს თავის ლოგიკურ გაგრძელებას, დამთავრდება გმირთა მოედანთან და გახდება მასშტაბური თბილისის მომავალი განაშენიანებისათვის. მოედნიდან გაიშლება ხედი მტკვარზე, სანაპიროსა და ქალაქის მარცხენა მხარეზე, რაც უპასუხებს თბილისის რელიეფს და გაამდიდრებს პროსპექტის მოცულობით მხატვრულ სახეს.

რუსთაველის მოედანი უნდა გახდეს თბილისის მთავარი ადმინისტრაციული მოედანი და გადაიქცეს ქალაქის ერთ-ერთ საინტერესო და ულამაზეს კვანძად.

რუსთაველის ძეგლის ადგილის შერჩევა თავისი სახელობის პროსპექტზე და მოედანზე წარმოადგენს ღირსშესანიშნავ ამოცანას. ძეგლმა უნდა დაიკავოს წამყვანი ადგილი მოედნის კომპოზიციაში. საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულია კონკურსი რუსთაველის ძეგლის პროექტზე. კონკურსის მონაწილეთა წინაშე დგას უაღრესად საპატიო ამოცანა — შექმნან ქართველი ერის გენიალური პოეტის მაღალმხატვრული სახე. განსაზღვრულია ძეგლი დაიდგას დაახლოებით ქიაჩელისა და პეროვსკაიას ქუჩების გადაკვეთაზე, პროსპექტისა და ელბაქიძის დაღმართს შორის მოედნის ღერძზე. ეს ადგილი უაღრესად მომგებიანია, ძეგლი წაიკითხება ქალაქის მარცხენა ნაპირიდანაც და წამყვანი მდგომარეობა ექნება თბილისის საერთო კომპოზიციაში. აღნიშნული რეკონსტრუქციის ჩატარების შემდეგ ჩვენი დედაქალაქი მიიღებს ღირსეულ მოედანს — რუსთაველის სახელობის მოედანს საინტერესო არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით.

რუსთაველის მოედნის დაგეგმარებასა და რეკონსტრუქციაზე გამოცხადებული იყო კონკურსი. უმრავლეს პროექტში რუსთაველის მოედნის კვანძი ზემოთაღნიშნული პრინციპებით იყო გადაწყვეტილი. რეკონსტრუქციის შედეგად მოედნის კომპოზიციაში შედის მშენებლობაში მყოფი სასტუმრო „ივერიის“ 20-სართულიანი შენობა, რაც კიდევ მეტად გაამდიდრებს პროსპექტისა და მოედნის საერთო კომპოზიციას. გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შენობიდან სამხედრო ქუჩამდე გაშენდეს ცენტრალური ტელეგრაფის შენობა. გაშენდება მონაკვეთი რუსთაველის მოედანსა და ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შენობას შორის, აქ აიგება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა, შესაძლოა — სასტუმროც.

რუსთაველის პროსპექტზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინ, ერთ და ორსართულიანი ამორტიზირებული შენობების ადგილას დაიწყება მრავალსართულიანი უნივერმაღის მშენებლობა. ამ მონაკვეთზე, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაღის კუთხეში გათვალისწინებულია მეტროს ზედა ვესტიბულის მშენებლობა, რომელიც ჩართულია უნივერმაღის მოცულობაში. უნივერმაღის შენობა დაიდგმება სვეტებზე და ამით პირველი სართული გაიხსნება. რაც მთავარია, გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინ შეიქმნება დიდი სივრცე საზეიმო ეზოს სახით და თეატრიც ჩაირთვება პროსპექტის კომპოზიციაში. მშენებლობის დამთავრების შემდეგ პროსპექტზე მივიღებთ კიდევ ერთ საინტერესო მხატვრულ მონაკვეთს.

რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში დიდი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამწვანების მხატვრულ სახეს, ვიტრინების გაფორმებას, ქუჩის სავალი ნაწილისა და ტროტუარის მოპირკეთების ხარისხს, განათებას, რეკლამას და სხვ. პროსპექტი პრინციპში კარგად არის გამწვანებული, განხორციელდა პროსპექტის რეკონსტრუქცია, შეიცვალა ქვის ბორდიური, დაიგო ახალი ასფალტი ქუჩის სავალ ნაწილზე, შეიცვალა ტროტუარები და განახლდა გაზონები. მოცულობითი ღამის რეკლამები და ქადრების განათება მოგვცემს დიდ ეფექტს. ამ უკანასკნელ დროს გაფორმდა სკვერები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, რაც მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული და კარგად არის ჩართული რუსთაველის პროსპექტის საერთო კომპოზიციაში.

შენობების პირველი სართულების გაფორმებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქუჩის მხატვრული გაფორმებისათვის. ამ მიზნით რუსთაველის პროსპექტზე ყველა კაპიტალური შენობის პირველი სართულები შეიმოსება ბუნებრივი ქვით, შეიცვლება ვიტრინები და სათანადოდ გაფორმდება მაღაზიები, მოეწყობა ვიტრინებში ძლიერი განათება და გაკეთდება მხატვრული რეკლამები. ეს ეფექტურს გახდის და კარგად გაანათებს შენობების პირველ სართულს და მის



საცხოვრებელი სახლი
რუსთაველის პროსპექტზე

წინა ტროტუარებს, რაც ფაქტიურად გადაწყვეტს ღამით პროსპექტის გაფორმებისა და განათების საკითხს. პროსპექტის ღამით გაფორმებაში აგრეთვე დიდ ეფექტს მოგვცემს შენობების შენათება, ეს ნათლად ჩანს მთავრობის სახლის მაგალითზე. განსაზღვრულია ყველა წამყვანი შენობის მხატვრული შენათების მოწყობა. აღნიშნული სამუშაოები უკვე მთავრდება.

რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქცია მოხდება თანდათანობით, რამდენიმე წლის და, შესაძლოა, ათეული წლის განმავლობაში. სამუშაო უაღრესად დიდია და ამავე დროს საპასუხისმგებლო, მოითხოვს დიდ სიფრთხილეს და ჩვენი, არქიტექტურული საზოგადოების დიდ შემოქმედებით შემართებას.

**ივანე ჩხენკელი,**

ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგო დოლაბერიძე



**რუსთაველის სახელობისა**

# ველოდოთ გინდა, როგორც...

რეპორტაჟი

იმერეთში თავაზიანი მიპატიჟება იციან. ახლა კი არავინ იხედება ჩვენს შესახვედრად. მხოლოდ სახლები გადმომდგარან ქუჩებში და გვეპატიჟებიან. სასიამოვნო სანახავია იმერული სახლები — წინ მწვანე, ფერგაუხუნარი კოინდარი აფენია, თუთის ხეები დარაჯებივით დამდგარან. გოჭები, წიწილები, კრუხები, ბოჩოლები... ადამიანები კი მაინც არ ჩანან.

ერთ ეზოში ჟრიამულია. ბავშვები გარშემო უვლიან ქვის ჭას, „დაჭერობანას" თამაშობენ. მაისურიანი შავტუხა ბიჭი გამხდარ სახეს ჭისკენ აბრუნებს და შიგ იხედება. ბავშვები მასთან ერთად ჩერდებიან და ისინიც ჭაში იხედებიან. ბიჭი ჯაჭვიან ვედროს აჩხარუნებს, ჭაში აცურებს და უკან მძიმედ ამოაქვს. მერე ფეხებს განზე დგამს, გრძელ კისერს იგრძელებს და ვედრო პირთან მიაქვს. ვედრო ხელიდან ხელში გადადის, პატარები პირებს აბჩენენ და მუცლები ებერებათ.

— თქვენ ყველანი ერთისა ხართ, პატარებო?

— არა.

უფროსს ჰკონია, წყლის დასალევად ჩავედი ეზოში. ჭიქისთვის გარბის. ვიცი, რომ კარგია მაღლაკის წყალი, ცივი და სარკესავით კრიალა. ჭები ამ სოფლის სიამაყეა და დამამშვენებელი. საამაყოდ ისიც კმარა, რომ მაღლაკის ჭის წყალი მილებით კურორტ წყალტუბოში ჩადის.

— სად არიან თქვენი დედები, პატარებო?

— რუსთაველის ჩაიში.

— რუსთაველის ბოსტანში.

— რუსთაველის ყანაში.

— თუ გინდათ მიაგნოთ ჩვენს მშობლებს, წაბრძანდით რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ჩაიში, ბოსტანსა და ყანაში. აი, ხელმარჯვნივ რომ ფართობებია. ან პირდაპირ წადით და მერე გადაუხვიეთ, — იქაც ჩვენი ნათესებია, — არ აცლიან ერთმანეთს.

— იცით, ვინ არის რუსთაველი? — ვეკითხები და ბავშვების ღიმილს რომ ვხედავ, ვგრძნობ შეკითხვის უადგილობას.

— როგორ არა.

— სოფლის ცენტრში რუსთაველის ძეგლს ვაშენებთ.



ნაზი კუტივაძე

— რუსთაველის იუბილესთვის ახალი კლუბი ავაგეთ.

— რუსთაველის დღეებისათვის ეზო-კარმიდამო გავალამაზეთ.

— რუსთაველის დღეებისათვის ჩვენმა კოლმეურნეობამ მახარაძის რაიონის სოფელ ჭანიეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა შეჯიბრებაში გამოიწვია, — ამბობს ყველაზე უფროსი და გრძნობს, მის სიტყვას უფრო მეტი წონა რომ აქვს.

პატარები მას უყურებენ, ელიან, რას იტყვის მათი „მეთაური“, რას ნიშნავს ეს შეჯიბრება და რა უნდა გაკეთდეს. „მეთაურმა“, ეტყობა, მეტი არაფერი იცის და მეც რომ არ შემეკითხო, კითხვას მასწრებს:

— გინდათ, გაჩვენოთ ფართობები?

ბავშვებს ვემშვიდობები, მათ თამაშს ხელს აღარ ვუშლი და მივდივარ მათი ნასწავლები გზით.

ჭანიეთელებთან შეჯიბრების შესახებ კი რაიონულ ცენტრში მითხრეს: მაღლაკელებმა დიდი ვალდებულებები აიღესო.

მაღლაკელ კოლმეურნეებს განზრახული აქვთ დაგეგმილ 365 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მოკრეფილი ნედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხისა იყოს.

მებოსტნეები კვლავაც თავდადებით იშრომებენ, რომ წარმატებით შეასრულონ ბოსტნეული კულტურების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება. კოლმეურნეობაში ბოსტნეული კულტურებით დაკავებული 80 ჰექტარის თითოეულ ჰექტარზე აიღებენ 125 ცენტნერ მოსავალს.

მათ სანახავად მივიჩქარი. ცხელია მაღლაკა ზაფხულობით. დილით მზის ამოსვლას ქარიც ამოყვება ხოლმე და კიდევ უფრო აცხელებს იქაურობას. სოფლის მთავარ გზაზე მიქრიან მანქანები, თითქოს ისინიც სიცხისაგან შეწუხებულან. სასადილოს კარებში დგას ახალგაზრდა მზარეული, თეთრი ტილო მკლავზე გადაუგდია, თვალს აყოლებს მანქანებს და მუშტრების მოლოდინში მალიმალ ფეხს იცვლის. ხშირად გაიქროლებს გზაზე ქუთაისის ავტომობილი. ლამაზია იგი, მძლავრად დგას საბურავებზე და მაღლაკელების გულში სიამაყეს იწვევს. ქუთაისის ავტოქარხანა მათ ველებზე, მაღლაკის ველებზე წამოიმართა, აქ გამოუშვა პირველი პირმშო და შემდეგ მას დაადევნა ათასები...

თამარ მუავანაძე



კოლმეურნეობას წლის ბოლოსათვის ეყოლება 950 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. თითოეული ფურიდან 1200 კგ რძეს მიიღებენ.

მეაბრეშუმეებმა იკისრეს გამოკვებონ 157 კოლოფი აბრეშუმის ჭია და სულ მოიყვანონ 157 ცენტნერი აბრეშუმის მაღალხარისხოვანი პარკი, ანუ თვითეულ კოლოფზე — 100 კილოგრამი, ნაცვლად. გეგმით გათვალისწინებული 78 კილოგრამისა.

565 ჰექტარზე სიმინდს აიღებენ — სამარცვლედ 425, სასილოსედ 140 ჰექტარზე. დაგეგმილი 16 ცენტნერის ნაცვლად თითოეულ ჰექტარზე მაღლაკელები აიღებენ 18 ცენტნერ სიმინდის მარცვალს, ხოლო 180 ცენტნერს — სასილოსე მწვანე მასას.

ამიტომაა, რომ ეს ლამაზი სახლები უმასპინძლებოდ დარჩენილან. 330 შრომისუნარიან კოლმეურნეს ჭიშკარი გამოუხურავს და მინდვრად წასულა.

მზარეული **ახლა კარებში არ დგას**, სასადილოდან ისმის ლაპარაკის ხმა, მოდის ცხელი მჭადის, პიტნისა და კიტრის სუნი.

აი, ისინიც, ვისი ნახვაც მინდოდა:

ახალგაზრდა მაღალ-მაღალი კაცია ოთარ მაღლაფერიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. დილიდან საღამომდე ნაკვეთიდან ნაკვეთზე გადადის და წითლად აღაჟღაჟებულ ოფლიან სახეს და კისერს მალიმალ იწმენდს. კოლმეურნეობის მიღწევებით კმაყოფილია ოთარი. ის ამბავი, რომ ივნისის ბოლოს წყალტუბოს რაიონი რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდა ჩაის ფოთლის ჩაბარებით, მას მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დამსახურებადაც მიაჩნია. კოლმეურნეობაში ბევრია ისეთი მეჩაიე, რომელმაც ივნისისათვის წლიური ვალდებულება 90-100 პროცენტით გაანაღდა.

...ამ ქალის ღონე, იფიქრებ, მთელ პლანტაციას ეყოფა. ჩასხმული, მკვრივი აგებულებისაა, შავ-

ირწყვება საკოლმეურნეო ფართობები



ეროვნული ბიბლიოთეკა

გვრემან სახეზე ლოყები წითლად უელავს. ახლახან შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. სოფლის გზები მისი თაოსნობით შეკეთდა. ახლა სკოლის ახალ შენობას აგებენ. მაღლაკში ერთი საშუალო სკოლაა, ერთი — რვაწლიანი, ერთი — დაწყებითი, მაგრამ ბავშვები მრავლდებიან და უკეთესი, უფრო დიდი სკოლა უნდათ. მოწინავე მეჩაიეს მარგო დოლაბერიძეს ვალდებულება ჰქონდა აღებული 0,5 ჰექტარზე 5.500 კილოგრამი ჩაი მოეკრიფა. მან კი ივნისის ბოლოს 5.300 კილოგრამი ჩაი ჩააბარა სახელმწიფოს. რამდენი გადააჭარბებს ვალდებულებას წლის ბოლომდე, ვინ იცის?

ნაზი კუტივაძე სულ ახალგაზრდაა. თავისი შრომით კი მაისში 1.500 მანეთი შეიტანა სახლში. დაფიქრებული გოგონა ნაზი, ლაპარაკისას ყოვნდება და ისე იძლევა პასუხს. შრომაში ხელსწრაფია. თავის იმედი ჰქონდა, ნახევარ ჰექტარზე 6.000 კილოგრამი ჩაის მოკრეფა რომ იკისრა. ივნისის ბოლოსათვის კი უკვე მოასწრო 4.305 კილოგრამის ჩაბარება. რა შეიძლება ვთქვათ ასეთ ქალიშვილზე? საპატიო ნიშნის ორდენი, რომლითაც ნაზი დააჯილდოეს, ნამდვილად დაიმსახურა.

ამდენ ქართველებში ერთი რუსიც ვნახე. სადაურობა ვკითხე და ქართულად, იმერული კილოთი მიპასუხა სახელი და გვარი — „ლუსია დოლაბერიძე“. მაღალი, ხმელ-ხმელი, ქერა ქალია. თითქმის 20 წლის წინათ მოვიდა ჩელიაბინსკიდან და ქართულ ოჯახში პატარძლად მიიყვანეს. უჭირდა ენის სწავლა, იმერული საჭმელების დამზადება. ახლა კი უაქცენტოდ ლაპარაკობს, ყოველდღე კეცებზე მჭადს აკრავს და წიწაკას ბლომად ხმარობს. მისი ქმარი გიგლა დოლაბერიძე კოლმეურნეობის ბრიგადირია. შრომა უყვარს ლუსიას და ხელებს სიამაყით გვიჩვენებს: „ნახეთ, როგორ გამიშავდა ბოსტნის მოვლაში“. სამაგიეროდ ორსართულიანი სახლი აიშენეს, შეძლებულად ცხოვრობენ, ყოველწლიურად 8-9 ტონა ბოსტნეული მოჰყავს ლუსიას საკოლმეურნეო ნაკვეთზე. ერთი ჯილდო მასაც ერგო: მედალი „შრომითი მამაცობისათვის“.

სასიამოვნო გარეგნობა აქვს ქეთევან შალამბერიძეს. მას სოფლის მოწინავე მეაბრეშუმედ თვლიან. ეზოში თუთის ხეები ბლომად უდგას. თავი არ დაუზოგავს იმისათვის, რომ 24 კილოგრამის ნაცვლად 69 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩაებარებინა.

კარგი მეაბრეშუმეები არიან დარიკო კვერნაძე, ქეთო მარჯანიშვილი, თამარ ფაჩუაშვილი, ნაზი დოლაბერიძე.

მიქეს მეჩაიეები: ქუქუნა ჩეჩელაშვილი (რომელმაც ივნისისათვის წლიური ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა), ლილი კოღუაშვილი, თამარ ტყეშელაშვილი, შუშანა ფეტვენიძე.

საუცხოო სანახავია მაღლაკის ჩაის პლანტაციები. ცხელი ზაფხულიც რომ იყოს, გვალვა არ აწუხებს ბუჩქებს. 181 ჰექტარი პლანტაცია რიონის წყლით ირწყვება. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას სარწყავი სისტემა აქვს. წყალი აცოცხლებს რუსთაველელთა ყანებს, ბაღებს, ბოსტნებს. წყალთა სამმართველოს ინჟინერი ჟენია ნაფეტვარიძე ხშირად ამოდის მაღლაკში და ამოწმებს სარწყავი სისტემის მუშაობას. მაღლაკელები ემადლიერებიან სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მრავალწლიანი კულტურების დარგის აგრონომს თამარ მჟავანაძეს, რომელიც ყველა კოლმეურნის მრჩეველია, დამხმარე და მათი საქმის გულშემატკივარია.

საოცარი, განსხვავებული მიწაა მაღლაკში. ბოსტანსა და ბაღებში შორიდანვე შეამჩნევ ქვაღორღებს. ამ ქვებში შესანიშნავად ხარობს პამიდორი, კიტრი, საზამთრო, ნესვი. ეს ქვები იცავს მიწას გამოშრობისაგან, უტოვებს სინესტეს და საზრდოს უნახავს ფესვებს.

მაღლაკელებს შეუძლიათ მოიწონონ თავი ახალი, მექანიზებული ფერმით. მათ ესახელებათ თევზის ხელოვნური აუზი, რომელიც რიონის წყლით ივსება და წელიწადში 20-30 ტონა თევზს ამრავლებს, მათ ესახელებათ ყოველი რიგითი გლეხის გამოჩენა შარაზე, მისი ხოდაბუნებიანი სალამი და სიტყვა-პასუხი, მათ ესახელებათ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები, სადაც მშრომელი კაცის ხელს 2-3 მოსავალი მოჰყავს წელიწადში.

წარმომიდგენია, როგორ გადიხდიან ისინი შოთას იუბილეს. სოფელი გაივსება დიდი მოსავლით, ოჯახებში დადგება ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მთები, კარმიდამოები მოირთვება ზღაპრულად, ადამიანები გამოეწყობიან საზეიმოდ, კულტურის სახლში ჩატარდება დიდი საღამო, ახალაგებულ კლუბში შეასრულებენ საგუნდო სიმღერებს. რუსთაველელები ამ ზეიმს ჩათვლიან საკუთარ დღესასწაულად და დაგუგუნებენ შრომის დიდებას, რუსთაველის მიწის დიდებას.

**ლია კაკაბაძე**

## გმადლობთ, დაო!



ჩვეულებრივი ქალია. ოჯახის დედა, დიასახლისი. უყვარს თავისი კოლმეურნეობა — მახარაძის რაიონის საქვეყნოდ განთქმული სოფელ შრომის კოლმეურნეობა, სადაც ეს რამდენიმე წელია, თბილისიდან ჩავიდა. როგორც კი დროს იშოვის, ჩაის პლანტაციაში გადის და სოციალისტური შრომის გმირის, ტატიანა ჩხაიძის რგოლს ეხმარება. ივსება ჩაის ლორთქო დუყით კალათები, თავბრუდამხვევად მოძრაობენ გაწაფული თითები... ზღვიდან მონაბერი სიო სასიამოვნოდ ელამუნება გაფიცხებულ ქალებს. ისინი ჭილის ქუდებს იხდიან და შუბლს უშვერენ ბორიოს. „პელო, — ეუბნება ტატიანა, — აბა, წაგვიკითხე თინათინის გამეფების ამბავი“. პელო ჩხაიძე იღიმება, ცოტა ხანს ჩერდება, თავისთვის ბუტბუტებს რაღაცას და მერე ზეპირად იწყებს: „სხვა ძე არ ესვა მეფესა...“

ქალიშვილები რკალად შემოერტყმიან. იცინიან. უხარიათ: „აბა, ახლა ტარიელის ველად გაჭრის ამბავი გვითხარ... ახლა წიგნი „ნესტან დარეჯანისა...“ და პელო ჩხაიძეც თავისებური ღუღუნით კითხულობს უკვდავ სტრიქონებს.

დიდი პოემის სიყვარული პელო ჩხაიძეს ბავშვობიდანვე გამოჰყვა. გამოჰყვა, როგორც ყველა ქართველს, მაგრამ მან უფრო მეტი იკისრა: ზეპირად ისწავლა მთელი „ვეფხისტყაოსანი“. დაიწყო თუ არა სამზადისი დიდი შოთა რუსთაველის იუბილესათვის, პელო ჩხაიძემ ამ მტკიცე გადაწყვეტილებით გადაშალა ძვირფასი წიგნი...

ისვენებს კოლმეურნეობიდან დაბრუნებული ქმარი. მშვიდად სუნთქავენ შვილები: 17 წლის კოტე და 7 წლის დათო. ახლა კი შეუძლია გაესაუბროს ბრწყინვალე სტრიქონებს. ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტანის ცოდვით დაიწვას და ავთანდილის სიმღერა გულზე შემოეთოს... რიჟრაჟი ეპარება ზაფხულის ცას, წიგნზე ჩასძინებია ქალს, ვისაც სურს გაიზიაროს ჩვენი დიდი წინაპრების, ჩვენი დედების ტრადიცია: ზეპირად ისწავლოს შოთას წიგნი. აი, ამისთვის მადლობას გიხდით, ძვირფასო დაო. შენ შემოაღე ჩვენი რედაქციის კარი შოთას დღეებში და კიდევ ერთი საჩუქარი უძღვენ ჩვენს ზეიმს.



ახალი რესტორანი „ნატახტარი“

# ტფილის-ქალაქი

„მობრძანდით, გულით გაშლილი ხელით“, — თქვა ქართველმა პოეტმა და სამშობლოს ზეიმზე მოიწვია ბევრი მეგობარი, შორეული თუ ახლობელი. როგორ შეჰფერის ჩვენს დღევანდელ ზეიმსაც ეს სტრიქონები! საქვეყნოდ განთქმულმა ქართულმა ხელგაშლილობამ, სტუმრის დაფასებამ და პატივისცემამ, გულუხვობამ და სიქველემ ერთად იჩინა თავი და დაგვამშვენა ამ დღეებში, შოთას დღეებში. თბილისში კუთხეც კი არ დარჩა, რასაც საზეიმო ელფერი არ დაჰკრავდეს. „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ — უთქვამს სულმნათ შოთას და სწორედ მისი ზეიმის დღეებში დამტკიცდა, თუ რამდენი მოყვარე და პატივისმცემელი ჰყოლია დიდ პოეტს, მის მშობლიურ ერს და კულტურას. მოწვეულ სტუმართა ერთი ნაწილი პირველად იმყოფება საქართველოში, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ხელს, რომ გაიგოს, იგრძნოს და დააფასოს ჩვენი ერის სიამაყე. მადლობა ამ კეთილშობილ ადამიანებს, ჩვენი სიხარული რომ გაიზიარეს, ჩვენთან ერთად რომ უმღერეს დიდების საგალობელი უდიდეს შემოქმედს. ბუნებრივია, რომ დიდი და ძლიერი იყო ჩვენი სურვილი ღირსეულად დავხვედროდით სტუმრებს, შოთასი და ჩვენი ერის პატივისმცემლებს. დღეს უკვე ყველამ იცის როგორ გამოიყურება ჩვენი დედაქალაქი ამ დღეებში, როგორ იწონებს თავს თბილისი. და მაინც, მოდით, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი მოზეიმე თბილისს, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რა გაკეთდა სახალხო დღესასწაულისათვის, ეროვნული ზეიმისათვის. ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ჯერ კიდევ ივლისის პირველ რიცხვებში ესაუბრა ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს: მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ნინო ჟვანიას, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს ელენე ჩოფიკაშვილს, ქალაქ თბილისის სასტუმროების სამმართველოს უფროსს ზაქარია მუზიაშვილს, სასადილოების ტრესტის სამმართველოს უფროსს ივანე ბოკერიას და სასტუმრო „ინტურისტის“ დირექტორს ვიქტორ ღუდუშაურს. მათ ბევრი რამ საყურადღებო უთხრეს ჩვენს კორესპონდენტს.

აი, იუბილარის სახელწოდების პროსპექტი, შოთას პროსპექტი! აქ ხომ მთლიანი რეკონსტრუქცია ჩატარდა: გაკეთდა გრანიტის ბორდიურები, ამაღლდა, ახლად მოასფალტდა პროსპექტი, ტროტუარებზე ასფალტი ქვაფენილებით შეიცვალა, ვარდყვავილებით შეივსო გაზონები. ლენინის მოედანზე მიწისქვეშა გასასვლელი გაგრძელდა და პუშკინის ქუჩის მარჯვენა ნაპირს დაუკავშირდა. მტკვრიდან გადმოიქაჩა წყალი და კუს ტბის დონე ექვსი მეტრით აიწია. ტბის სანაპიროზე დაიდგა პავილიონები, განახლდა პლაჟი თბილისის ზღვაზე, შეძენილია ახალი ნავები და ორმოტორიანი კატერები. ორთაჭალის ხიდიდან აკვედუკის ხიდამდე მტკვრის ნაპირის გასამაგრებლად გაკეთდა ჯებირები, აშენდა ოთხსართულიანი შენობა მეტროპოლიტენისა და რკინიგზის სამმართველოებისათვის, შეკეთდა ძველი ნარიყალას ქონგურები, განახლდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ჩაის სახლი, გაფართოვდა და კეთილმოეწყო მტკვრის მარჯვენა სანაპირო ფიზკულტურის პარკიდან სამხედრო გზამდე. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ქართველ ხალხს საუკეთესოდ მიეღო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები. თბილისის სადგურში გაიხსნა ახალი რესტორანი, რუსთავსა და ბორჯომში აშენდა უნივერსალური მაღაზიები, მცხეთაში, ნატახტარში აიგო ახალი რესტორანი, სადაც მზადდება მაღალხარისხოვანი ეროვნული კერძები, ახალციხეში კაპიტალურად შეკეთდა რესტორანი „ვარძია“, აშენდა კაფე, ორსართულიანი მაღაზია, დაიდგა პავილიონები, ბორჯომის, რუსთავის, გორის, ახალციხის და თელავის ტრასებზე გაიხსნა პავილიონები და კიოსკები, და ვინ მოთვლის საქართველოს ყველა კუთხეში რამდენი კარგი რამ გაკეთდა ამ ღირსშესანიშნავი დღეების შესახვედრად. მაღაზიებში იყიდება სხვადასხვა ასორტიმენტის ქსოვილები, სურსათ-სანოვაგე, სუვენირები. თბილისის ყველა სასტუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის კიოსკებში გამოტანილია მე-12 საუკუნის სტილზე შექმნილი კერამიკული ნაწარმი.

ჩამოსული სტუმარი პირველ შთაბეჭდილებას ქალაქსა და მის ადამიანებზე სასტუმროებში იღებს. ამიტომაც სასტუმროები: „საქართველო“, „აფხაზეთი“, „კოლხეთი“, „რუსთავი“ და „კოლმეურნე“ კაპიტალურად შეკეთდა. მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობანი, რადიოქსელი, ვესტიბიულებში დგას ტელევიზორები. „აფხაზეთისა“ და „საქართველოსათვის“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ შემუშავებული ნიმუშების მიხედვით დამზადდა ახალი ავეჯი.

თბილისში სისტემატურად ჩამოდიან უცხოელები და მათ დასახვედრად ყოველთვის მზად არის სასტუმრო „ინტურისტი“. მაგრამ, ახლა, ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, უფრო მეტი სტუმარი ეწვია მას. სასტუმრო გამშვენიერებული დაუხვდა სტუმრებს. გარემონტებულია ყველა ნომერი, საერთო სათავსოები და სასტუმროს ფასადი. შეძენილია ახალი ავეჯი, ჭურჭელი, თეთრეული, ვესტიბიულებში დგას ტელევიზორები — „რუბინ-6“, რესტორანში მზადდება ეროვნული კერძები. საუზმე და ვახშამი სტუმრებს სურვილისამებრ მიერთმევათ ნომრებში. მათ ემსახურება სამრეცხაო, სამკერვალო და საპარიკმახერო.

ფართოდ გახსნეს ზეიმის დღეებში ქალაქის რესტორნებმა კარები. გულუხვად მიიპატიჟეს მოზეიმენი. გემრიელი კერძებითა და მაღალხარისხოვანი სასმელებით უმასპინძლდებიან მათ „საქართველო“, „ისანი“, „ვაკის პარკი“, „იორი“, „თბილისის ზღვა“, „მთაწმინდა“, „კოლხეთი“, კაფეები — „ნარგიზი“, „ცისკარი“ და „გაზაფხული“. ძველ ქართულ სტილზეა გაფორმებული „დარიალის“ და „რუსთავის“ პირველი სართულების კედლები, მე-12 საუკუნის ყაიდის ჯამებითა და აზარფეშებით შეისმება ბევრი კარგი სადღეგრძელო. ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი პერსონალი ემსახურება მოზეიმეებს, ჟღერს ქართული მუსიკალური საკრავები... და ყველგან უკვდავების შუქით მოსილი შოთას სახეა. მისი სახელი აკერია პირზე მასპინძელსაც და სტუმარსაც, მისი ბრწყინვალე სტრიქონებით სწევენ მაღლა სადღეგრძელოებს, პირველობს ძმობისა და მეგობრობის სადღეგრძელო. „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ — ამბობს ქართველი კაცი შოთას შაირით და წრფელი გულით სვამს ამ სადღეგრძელოს.

სასტუმრო „თბილისი“



# [illegible] შოთას ეპოქაში...

დიდი შოთას იუბილეს დღეებში ჩვენ ფიქრებით ხშირად გადავდივართ იმ შორეულ ეპოქაში, რომელიც ჩვენი ხალხის ისტორიაში „ოქროს ხანად“ არის ცნობილი.

როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, რა საქმიანობას ეწეოდნენ შინ და გარეთ, როგორი იყო მათი საოჯახო მეურნეობა, რა დონეზე იდგა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა?

აი საკითხები, რომელიც ჟურნალის მკითხველებს, განსაკუთრებით ქალებს აინტერესებთ. ამიტომ ვთხოვეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის განყოფილების მეცნიერთანამშრომლებს მოეთხრობთ ჩვენთვის შოთას ეპოქის მატერიალურ კულტურაზე.

— როგორ ჭურჭელს ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები შოთას ეპოქაში?

— ძველი ქართული ჭურჭელი მრავალფეროვანია მასალის მიხედვით: ჭურჭელი ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის, თიხის, მინის და სხვ. წერილობითი წყაროები მასალისა და დანიშნულების მიხედვით ჭურჭელს ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: ჭურჭელი ოქრო-ვერცხლის — მეჯლისისანი (სანადიმო, სადღესასწაულო) და ჭურჭელი არა ოქრო-ვერცხლის, არამედ უბრალო, ნიადაგსახმარი.

ოქრო-ვერცხლის ჭურჭელს მხოლოდ მაღალი წოდება ხმარობდა, მაგრამ არა ყოველთვის; ძვირფასი ჭურჭელი სალაროში ინახებოდა და საჭიროების შემთხვევაში გამოჰქონდათ. ხოლო ყოველდღიურსახმარი ჭურჭელი სპილენძისა იყო.

სამეფო სასახლის სანადიმო ჭურჭლის იშვიათი ნიმუშები აღმოჩნდა ახლახან გათხრილ ვანის ქვაბებში, რომელიც დათარიღებულია მე-13 საუკუნით. მათ შორისაა სამი ვერცხლის თასი, ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, რომელიც ერთი ოსტატის ხელითაა შექმნილი. თასები მოხატულია ქართული ორნამენტით — ბრიალა (მზე) ფსკერზე და სხივები კალთაზე. ერთერთი მათგანი შიგნიდან მოოქროვილია და ბაგრატიონთა გერბი ამშვენებს. აღსანიშნავია, რომ ორნამენტი — ბრიალა, ქართული ხალხური შემოქმედების მიხედვით, ცნობილია II-III საუკუნეებიდან.

ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშია აგრეთვე სვანეთში ნაპოვნი ვერცხლის სურა, რომლის ყელს ამშვენებს ასომთავრული წარწერა და ამით გვაუწყებს მისი პატრონის ვინაობას — ფეოდალური საქართველოს ერთერთი ძლიერი მეფეთაგანი, თამარ მეფის მამა — გიორგი III









გათხრებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში ჭარბობს თიხის, ხის და მინის ჭურჭელი. ისიც ჩანს, რომ კერამიკული წარმოება მაღალ დონეზე ყოფილა საქართველოში. ჩვენამდე მოღწეულია შუაფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლის იშვიათი ნიმუშები: საღვინე დოქები, თეთრი თიხის სასმისები, მოჭიქული ჯამები, რომლებიც მოხატულია სხვადასხვაგვარი ორნამენტებით და რომლის მსგავსი ქართული ჭურჭელი დღესაც ამშვენებს სუფრებს. თიხის ჭურჭელი, სიიაფის გამო, უბრალო ხალხის ფართო მოხმარების საგანი იყო.

ხშირად ბევრ რამეზე მეტყველებს კედლის მხატვრობა თუ ხელნაწერთა მინიატურები, სადაც ასახულია ძველი ქართული ჭურჭლის ნაირსახეობა.

ხელნაწერების ინსტიტუტში დაცულია მე-12 საუკუნის გელათის ხელნაწერის მინიატურა, რომელიც მიგვითითებს ჭურჭლის მრავალფეროვნებაზე. აქ ასახულია მაღალყელიანი სასმისები — საღვინე ჭურჭელი და ფეხიანი ჯამები. ვანის ქვაბებში ნაპოვნი ჯამები კი უკვე ბრტყელძირიანია.

— როგორი იყო მევენახეობა და რა მარკის ღვინოები ისმებოდა?

— საქართველოს ვაზის ჯიშების დიდ უმრავლესობას შორეული ისტორია აქვს. ამის შესახებ „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალურ კულტურაში“ ვკითხულობთ:

როგორც ცნობილია, მე-12 საუკუნის წერილობითი ძეგლების ნაწილი დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ ამ ხანაზე ადრინდელი, აგრეთვე შემდგომი მასალებიც საქართველოში მევენახეობის მნიშვნელობასა და გავრცელებაზე მიგვითითებენ, ამიტომ სრული უფლება გვეძლევა ვივარაუდოთ, რომ დიდი თამარისა და გიორგის ხანაში, საქართველოს ძლიერებისა და სიმტკიცის დროს, მეურნეობის ეს დარგიც სათანადო სიმაღლეზე იქნებოდა დაყენებული.

დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი ასაბუთებს: „ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, რადგან ისეთ მაღალღირსებიან ვაზის ყურძნის შექმნა, როგორიც საფერავი, რქაწითელი და სხ. ჯიშებია, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმაშეწონილი და მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო“.

მეცნიერული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ აღვადგინოთ იმდროინდელი ვაზის ჯიშები.

რქაწითელს მაშინაც ეკავა კახეთის ვენახების 70 პროცენტი, მჟღრია კი შემთხვევით ნარგავს წარმოადგენდა. გვიანობამდე შემორჩა: სამარხი, სადადეგო, პუმპულაში. მაგრამ არის ჯიშები, რომლებსაც დღესაც წამყვანი ადგილი უჭირავთ: რქაწითელი, საფერავი, ძელშავი, ხიხვი.

ჩვენი წინაპრები სანადიმო სუფრაზე და უბრალო პურისჭამის დროსაც სიამოვნებით შეექცეოდნენ: რქაწითელს, საფერავს, ბუდეშურს, ხიხვს, ძელშავს, მხარგრძელს, თითას, ფეროვანს და სხვა მარკის ღვინოებს.

— როგორ გამოიყურებოდა ქართული სუფრა და რა კერძებს ამზადებდნენ ჩვენი წინაპარი დიასახლისი ქალები?

— საჭმლის კომპლექსის პირველი [illegible] სიტყვა „პურისჭამაა“, და მართლაც, პური — მთავარი. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, რომ მეთორმეტე საუკუნეში არსებობდა ხორბლის სახეობათა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელსაც თავისი სახელწოდებები ჰქონდა: რბილი ხორბალი (მისი ერთერთი ჯიშია „იფქლი“. ეს უძველესი ქართული სახელწოდებაა და ჩვენ დრომდეცაა შემონახული), დიკა, ასლი, ზანდური, მახა, გვაწა-ზანდური და ქონდარა ხორბალი, რომელსაც კარგად არჩევდნენ და ამუშავებდნენ მიწათმოქმედნი.

ალბათ, სუფრას ამშვენებდა ღომიც, სწავლულები ღომს უძველესი მცენარეების რიცხვს აკუთვნებენ.

წყაროები გვაუწყებს, რომ მეთორმეტე საუკუნეში მთავარი საკვები ხორცი და თევზი იყო. კერძებს ამზადებდნენ ნანადირევი და შინაური ფრინველისა და იმერული „კუდიანი“ ვერძის ხორცისაგან. საეკლესიო მარხვების დროს მზადდებოდა თევზის კერძები და სხვადასხვა სახის საწებლები.

ჩვენს წინაპრებს გემრიელი და შნოიანი პურისჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინათ და მწვანილი სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენებას შეადგენდა. ამიტომ მემტილეობის ანუ მებოსტნეობის მიზანს მწვანილის მოყვანა შეადგენდა. საჭმელად ხმარობდნენ: „მხალს“ (მცენარის ფოთლები), „მდელოის“ ანუ ძირხვენულს (ხახვი, ნიორი, ბოლოკი, ჭარხალი), ხმილს (გოგრა), კამას და განსაკუთრებით ყრდელს (სალათი).

რომაელი ბუნებისმეტყველის აზრით, ყრდელს გამაგრილებელი თვისება აქვს, „პირის უგემურობის გამაქარწყლებელია და მადისმომგვრელი“. ამას გარდა, წამლადაც იყო გამოსადეგი. ძველ საქართველოში ყრდელს შვიდი სახელით იცნობდნენ.

მე-13 საუკუნის დამდეგს ხოჯა-ყოფილმა „სააქიმო წიგნში“ მოიხსენია ჭაკუნტელი ანუ ჭარხალი, როგორც ტკბილი ჯიშის საკვები. აქვეა მოხსენებული ქლაკვი — უთავო ხახვი.

* * *

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეები საქართველოს გაძლიერებისა და აყვავების ხანაა. ქვეყნის ეკონომიური ზრდისა და მშენებლობისათვის დაუცხრომლად ზრუნავენ ამ ეპოქის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები — დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე.

საირიგაციო ნაგებობათა მოწყობით ერთიორად იზრდებოდა სათესი ფართობები, ვითარდებოდა მევენახეობა და მეღვინეობა, მეხილეობა, იზრდებოდა წვრილი და მსხვილი მეჯოგეობა, გავრცელებული იყო ხელის წარმოება, აბრეშუმის დამუშავება და მრეწველობის სხვა დარგები.

თამარ მეფის ბრძანებით საქართველოს დედაქალაქს უმოკლესი გზით უკავშირებენ ჯავახეთს და ზეკარის ორივე მხარეს აშენებენ სასტუმროებს მგზავრთათვის და სამყოფელს ქარავნისათვის. უცხოელი მოგზაურები და ვაჭრები, საქართველოს ხშირი სტუმრები, ყოველთვის მოხიბლული რჩებოდნენ ჩვენი ქვეყნის სილამაზითა და მაღალი კულტურით.

ანა ღვინიაშვილი

# ქალი

## მაროკოული თქმულება

აფრიკის ერთ-ერთ ქალაქში, სასახლის წინ, იდგა უმშვენიერესი ვაჟკაცის შავი მარმარილოს ქანდაკება. იშვიათი იყო ამ ქანდაკების ტანის ნაკვთთა აკინძულობა, რომელიც კარგად მოჩანდა გადაწეული მანტიიდან.

მგზავრმა მზერა შეაჩერა. მან ახლახან მოიარა ბევრი ზღვა და ხმელეთი, კუნძული და ბორცვი, ქალაქი და დაბა. ნახა სასახლეები, მოედნები, ბაზრები, მინარეთები და მეჩეთები. ასეთი ქანდაკება კი არსად ენახა. დიდხანს შეჰყურებდა.

მგზავრმა სასახლესაც შეავლო თვალი, მოეჩვენა, თითქოს მის წინ უცხო ასულმა გაიელვა.

დაე, მოჩვენება ხანის ასული იყოს! და მგზავრს წარმოესახა:

ქალი სარკმლიდან ხშირად გაჰყურებდა შავ ძეგლს.

მგზავრმა ხანის ასულისა და ძეგლის საიდუმლოება თითქოს ამოიცნო...

ხანის ასულს მოტრფიალე ჰყავდა: ვინმე მონა არაბი, ლამაზი, ახალგაზრდა, საუცხოო მთხრობელი.

მონა არაბი ალი! დაე, ერქვას „არაბი ალი"!

მონა ეახლებოდა ხოლმე ხანის ასულს და შეპარვით უყვებოდა სამიჯნურო ამბებს, ქალი ზოგჯერ აქვითინდებოდა.

ხვდებოდა რამეს ხანის ასული? იქნებ!

...დღეს რაღაც უცნაურ გუნებაზე იყო ხანი ასული! ბუმბულის დოშაკზე იწვა და ნებივრობდა. იდუმლად უხაროდა რაღაც, თან შეუცნობელი სევდაც იპყრობდა.

მონა არაბი! რა მოუვიდა ნეტავ გულს? რად თრთის მის გახსენებაზე? სად ხანის ასული და სად მონა არაბი?! იქნებ იმიტომ ღელავს, რომ უნდა მოვიდეს და დაპირებული უამბოს?

ოი, წყეული, რარიგ ჯადოსნურად ჰყვება!

...წამოდგა. სარკმელთან მივიდა, კვლავ შემოაწვა უსაზღვრო სევდა. ქალს მოხუცი მამა მექაში აგზავნიდა; არ იცოდა, უზარმაზარი მეჩეთის ელ-ჰარამის სანახავად, თუ ქააბაში სალოცავად. იქნებ გული არ მიუწევდა? იქნებ არ სურდა ალი არაბის ამბავთა მიტოვება. ალი არაბი...

კარის ხმაურზე ქალმა მიიხედა.

გაფითრებული ალი არაბი მეტყველი თვალებით შეჰყურებდა ხანის ასულს! ალაჰ! რამდენჯერ მოჩვენებია იგი ამრიგად ჩაცმული.

ხანის ასულს მწვანე კაბა ეცვა, შინდისფერი ვიწრო ქამრით. შოლტივით მკლავებს კაბის გრძელი სახელოები ჰფარავდა. ერთ ხელზე ოქროს ვიწრო სამაჯური ეკეთა. გედივით ლამაზ ყელს კაბის საყელო ჰშვენოდა. კოხტა თავი ჯეირანივით შემოატრიალა. რომელმა ზღვამ ჩაუღვარა მოგრძო თვალებში მელნის ტბა?

ღვთაებრივი რამ იყო ხანის ასული.

ქალმა ვაჟს შეცბუნება შეატყო. ღიმილი შეაგება მონას. არაბი ამ ღიმილმა შეატორტმანა.

— ამბის მოსაყოლად მოხვედი, ალი?

— ხანის ასულო, მესმა, მექაში მიდიხარ თურმე. ნება არა მაქვს თან გეახლო. უკანასკნელად უნდა გამოგეთხოვო.

— თქვი, რაც გინდა, ალი! ალბათ ახლა აღარ აქვითინდები, როგორც მაშინ „ზღვის სიმღერა" რომ მიამბე — და თვალი თვალში გაუყარა.



მხატვარი ლ. შენგელია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ქალი სარკმელს მოწყდა, ტახტზე მიწვა, მონას დაჯდომა შესთავაზა ძირს, ხალიჩაზე.

ალი არაბი დაიბნა. ვერ აეხსნა ხანის ასულის ასეთი საქციელი. ამოხსნა კი ეწადა. შეძლებდა?!

მაინც დაიწყო:

— ხანის ასულო, მეწადა „ზღვის სიმღერის“ გაგრძელება, რაც ძველებისაგან გამიგონია. მსურდა ზღვიდან ამომეყვანა სიყვარულისათვის დაღუპული ჭაბუკი, მაგრამ არა ღირს. ვისაც რამე დაუკარგავს, უპოვია განა?

მექაში მიდიხარ. მინდა ჩემი ლოცვა თან გაგატანო. შენ არ იცნობ ქვეყნიერებას, მინდა ამაზეც გითხრა: ეს ქვეყანა მშვენიერებისა და სიყვარულისათვის არის გაჩენილი, ადამიანები კი ვერ სარგებლობენ. მათ ბევრი რამ არ იციან. სიმჩატე ადამიანს არ ამკობს, სხვაზე ავის მთქმელს ვერ იტანს კეთილშობილება. ჭარბი სამკაულის მიდევნებაც ჭკუას არაფერს უმატებს. უბიწობა უნდა შეირჩინო თუ გინდა სხვებს არ დაემსგავსო. ჰე, ხანის ასულო, სიყვარული ყველას როდი შეუძლია. რამდენი მიჯნური წასულა ამა ქვეყნიდან, სატრფოს ახლოსაც არ გაჰკარებია.

დუმილი ჩამოვარდა.

ხანის ასული თითქოს გაკვირვებული უსმენდა მონის საუბარს. ქალს გულისძგერა ემატებოდა. ვერ გაეგო: საიდან მოიძია ამ მონამ ესოდენი სიბრძნე და სიტყვის სიუხვე.

მონა კი განაგრძობდა:

— მიდიხარ. შენს წასვლას არა ვნანობ. შორსაც რომ იყო, მაინც მოგაგონდები და ეს მანუგეშებს. ქვეყანა იქნებ შენთვის კიდეც დაცარიელდეს, გვერდით რომ აღარ გეყოლები, შორს რომ ვიქნები.

მონა გაჩუმდა, წამოდგა. უცებ მიუახლოვდა ღრმად გარინდულ ხანის ასულს, სათუთად შეავლო ხელი, წამოაყენა და შეემუდარა:

— სარკმელთან გაჩერდი, რაღაცას დაინახავ.

გაშორდა. კარებისაკენ გაემართა და იქიდან დაიჩურჩულა:

— არ გეწყინოს, შენზე ოცნება და ფიქრი უფრო მიტაცებს, ვიდრე ხშირი ნახვა შენი... იმითაც ბედნიერი ვიყავი, ზოგჯერ რომ გხედავდი და სიყვარულზე გიამბობდი. იმ ბედნიერი წუთებისათვის გლოცავ... გზა მშვიდობისა. ჩემი ლოცვა მოგდევდეს თან... აბა, გაიხედე სარკმელიდან შორს, რას დაინახავ.

თქვა ეს და გაუჩინარდა.

მყის აირბინა რაბათის მაღალ, მშვენიერ მინარეთზე, წამს მის მწვერვალს მოექცა და გადმოეშვა.

ერთი შეჰკივლა ხანის ასულმა და უგონოდ ჩ იკეცა.

...დიდხანს იყო უგონოდ. გონს რომ მოეგო, ყველაფერი ძილში ნანახი და განცდილი ეგონა.

მერე გაახსენდა. გმინვა აღმოხდა და ზურმუხტის კაბას ცრემლები დააბნია მარგალიტის მძივებად.

ისეთი სიმარტოვე იგრძნო, რომ მზად იყო სიცოცხლე გაეწირა, ოღონდ ერთხელ, ერთხელ კიდევ მოეკრა მისთვის თვალი, ერთხელ კიდევ მოესმინა მისი ნაღვლიანი ხმით სიყვარულის უკვდავებაზე მოთხრობილი ამბავი, შემდეგ თუნდაც მასთან ერთად წაეღო წარღვნას ქვეყანა.

ყველაზე ძალიან უძილო ღამეები აკრთობდა. ძილ-ღვიძილში ალის სახე ელანდებოდა დაუსრულებლივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გულთამხილავი იყო ალი!

ხანის ასულისათვის ქვეყნიერება მართლაც დაცარიელდა, ჰო, ნამდვილად დაცარიელდა!

დე წასულიყო სხვა ქვეყანაში, მიყრუებულსა და უკაცრიელ მხარეს, თუ სიახლოვეს ვერ ეგუებოდა? ცოცხალი ხომ იქნებოდა. ახლა კი... რა ჩაიდინა იმ უღვთომ?

გადიოდა დღეები...

ხანის ასულმა გაიგო: ალის დაღუპვა დაენანათ. მიზეზი კი ვერ ამოეხსნათ. ალი, თურმე, დაასაფლავეს, როგორც მონა...

განა ასეთი დამარხვის ღირსი იყო სიყვარულის პოეტი?

და ქალი ფიქრს მიეცა: რა, რა ეღონა, რომ ალის სახება თვალწინ ჰყოლოდა. ეცქირა მისთვის...

და ხანის ასული გარეთ გაიჭრა, ნაღველმოდებული თვალებით ეძებდა მონას: მეჩეთთან, ბაზარში. მსგავს ვისმეს თუ თვალს შეავლებდა, ეგონა ის არისო...

და... ერთ ღამეს თითქოს სიზმარში ჩააგონესო...

მეორე დღეს ხანის ასულმა საუკეთესო მოქანდაკენი იხმო და ნაფიქრალი გაანდო.

მათ შავი მარმარილოსაგან უნდა ჩამოესხათ არაბის სახე. იგი უნდა ყოფილიყო მკერდგანიერი, ახოვანი, ჯიშიანი, ულამაზესი შიშველი ბეჭებიდან უნდა ჩამოშვებულიყო მანტია, დიახ, მანტია, და არა ბურნუსიანი ჯალაბა, რასაც არაბები ატარებენ. ქანდაკებას თავი მაღლა უნდა ჰქონოდა აწეული და თვალები ზეცისკენ აპყრობილი: იგი ხომ მხოლოდ ცასა და ვარსკვლავებს ებაასებოდა.

მოქანდაკენი გაკვირვებულნი შეაჩერდნენ ხანის ასულის გასხივოსნებულ სახეს და მიუხვდნენ, დიახ, მიუხვდნენ საწადელს.

ხანის ასულის სასახლის წინ, წალკოტში, გზის პირას აღიმართა საოცარი, უზადო მშვენების ძეგლი. ქანდაკება იყო და არც იყო მონა ალი არაბი! იგი მას მაღალი სულით, მიუწვდომელი განცდებითა და პოეტური მგზნებარებით თუ ემსგავს-ენათესავებოდა!

ხანის ასულმა ოდნავ შვება იგრძნო, თუმცა გლოვა-გოდებას ვერ შეელია, თუმცა ხმამაღლა ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს. იგი ყოველ დილასაღამოს ფიქრებით ებაასებოდა შავ ძეგლს, ფანჯარასთან მიმდგარი, ზურმუხტისფერკაბიანი.

და ერთ დღეს საოცრება იხილა: ხალხი, უმეტეს ქალები, ძეგლთან მოსულიყვნენ და როგორც ალაჰის მოციქულს, თაყვანსა სცემდნენ, ბავშვებიც კი მოეყვანათ, რათა ესწავლებინათ ძეგლის თაყვანისცემა.

მალე ხმა გავრცელდა: ხანის ასული დიდი მორწმუნეა და ალაჰის სიმბოლო აღმართაო. მას შემდეგ ხალხი რა სიშორიდან არ მოდიოდა ალის ძეგლის სანახავად, სადიდებლად, თაყვანსაცემად.

განა ამას ელოდა ხანის ასული? მან ეს ძეგლი თავისთვის შექმნა, ხალხმა კი მიისაკუთრა. იქნებ მონა მართლაც ამის ღირსი იყო? იქნებ ხანის ასულის იდუმალი სურვილიც ეს იყო?

**მაროკო. რაბათი.**

**1964 წ.**

გარეკანის პირველ გვერდზე — შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი. ქანდაკება მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა; მეოთხე გვერდზე — შოთა რუსთაველი. მხატვარი ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ბ ა ღ დ ა ვ ა ძ ე.


| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **ნ. ჭავახიშვილი.** ტექრედაქტორი **ქ. დემუროვა.** | **საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა** |
|---|---|---|

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VIII-66 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 70.000, შეკვ. 2764. უე 03207 **ფასი 80 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

**ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.**

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საფარა

ფოტო დ. იაკობაშვილისა



ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა